პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 129 (12 808) | 4 ივნისი ხუთშაბათი 2009 | ფასი 60 თეთრი

ამერიკული პრესა

# ფაჩულია ატლანტის ტოვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა




>> გვერდი 13 ლეგიონერი

# ორკარა, სამი ტაიმი და სამი გოლი

საქართველო — მოლდოვა

## ხმალაძე კვლავ საეჭვოა, დევდარიანი უფრო ალბანეთთან?



ეროვნული ნაკრები. მზადების მესამე დღე >> გვერდი 2



## კრეტაზე შაში დაუჯდათ

შაშიაშვილი საბერძნეთში ითამაშებს

>> გვერდი 3 ტრანსფერი

რაგბი. ჩერჩილის თასი

## კანადის წინააღმდეგ ორი დებიუტანტით

THE CHURCHILL CUP

>> გვერდი 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადების მესამე დღე

# ორკარა, სამი ტაიმი და სამი გოლი

## ხმალაძე კვლავ საეჭვოა, დევდარიანი უფრო ალბანეთთან?



შეკრებაზე მყოფ საქართველოს ნაკრებს გუშინ მზადების მესამე დღე ჰქონდა. წინა ორი დღისგან განსხვავებით, **ექტორ კუპერმა** გუშინ გუნდი ერთხელ ავარჯიშა. წვრთნა კვლავ საგურამოს ბაზაზე ჩატარდა. ვარჯიშში 23 ფეხბურთელი მონაწილეობდა. თბილისში ჩამოსულთაგან არ იყო „ორჰუსის" ნახევარმცველი **დავით დევდარიანი**. ის სამშობლოში ტრავმირებული დაბრუნდა და მკურნალობას აგრძელებს. ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული 25-ე ფეხბურთელი **გიორგი შაშიაშვილია**. მან გუშინ ბერძნულ „ერგოტელისთან" კონტრაქტი გააფორმა და ელადიდან ამ დილით დაბრუნდა. შაშიაშვილი დღეს ჩვეულებრივად ივარჯიშებს. ახალი ამბავია ისიც, რომ „დინამოს" კაპიტანმა **ლევან ხმალაძემ**, რომელსაც ტრავმა ჰქონდა, გუშინ სრული დატვირთვით დაიწყო ვარჯიში, მაგრამ... თუმცა ამაზე ქვემოთ...

ჯერ მივყვეთ თანამიმდევრობით. წვრთნა, რომელმაც საათ-ნახევარს გასტანა, მოთელვით დაიწყო, მერე იყო სირბილი... შემდეგ კუპერმა **მამუკა აბუსერიძეს** მეკარეთა სამეული ჩააბარა, დარჩენილები კი ორ ნაწილად დაყო და სადღაც ათი წუთით „ხელბურთი" ათამაშა, მერე ბიჭებმა ბურთი ფეხზე გადაიტანეს...

უნო, დუე, ტრე, კვატრო, ჩინკუე... - ხმამაღლა თვლიდა კუპერი ორ ნაწილად გაყოფილი შემადგენლობის სწორ, ჩაუშლელ გადაცემებს. ამ დროს, ფეხბურთელებს ბურთთან მხოლოდ ორი შეხების უფლება ჰქონდათ...

მერე კუპერმა ფეხბურთელები ხელმეორედ დაყო ორ ნაწილად, ოღონდ, სხვა შემადგენლობებით - პირობითად, „წითლებად" და „მწვანეებად". ამ გუნდებში მოთამაშეები ასე გადანაწილდნენ:

მწვანეები - **ლომაია, გიგაური, ხიზანიშვილი, ხმალაძე, სეთურიძე, დაუშვილი, მერებაშვილი, ყენია, დვალიშვილი, მარცვალაძე, მჭედლიძე.**

წითლები - **ბედიაშვილი, ლობჟანიძე, კვახაძე, კაშია, ფოფხაძე, კვირკველია, რაზმაძე, კობიაშვილი, იაშვილი, გოცირიძე, ალექსიძე.**

შემდეგ სამ 20-წუთიან ტაიმად „ორკარაც" გაჩაღდა. ტაიმებს შორის კუპერი შემადგენლობებს ცვლიდა. ბუნებრივია, არგენტინელი მოახლოებული ამხანაგური მატჩისთვის ოპტიმალურ სასტარტო შემადგენლობას არჩევდა და ფეხბურთელებს სხვადასხვა პოზიციებზე სინჯავდა.

„წითლების" გუნდში მეორე ტაიმი **გრიგოლ ბედიაშვილის** ნაცვლად მეკარე **ზურაბ მამალაძემ** დაიწყო, ხოლო მერე ბედიაშვილმა **გიორგი ლომაია** შეცვალა. ამგვარი ცვლა მინდვრის მოთამაშეებსაც შეეხოს, კონკრეტულად კი **ლევან მჭედლიძეს, ოთარ მარცვალაძეს, ლადო დვალიშვილს, ალექსანდრე იაშვილს, ბექა გოცირიძეს, გიორგი ფოფხაძეს, ლევან ყენიას, რატი ალექსიძეს**... სულ ამ სამ ტაიმში სამი გოლი გავიდა. ბურთები **გიორგი მერებაშვილმა, ალექსანდრე იაშვილმა** და **რატი ალექსიძემ** გაიტანეს. „ორკარას" დროს მარცხენა მცველად მოთამაშე ხმალაძე დაშავდა და წვრთნა ვეღარ ჩაამთავრა. მის გარდა, მეტ-ნაკლები სიმძიმის ტრავმები სხვებსაც აწუხებთ და შესაბამისი კითხვით ნაკრების ექიმ **დიმიტრი ზაალიშვილს** მივმართეთ.

*„თასის ფინალის შემდეგ ხმალაძეს კოჭ-წვივის სახსარი აწუხებდა. ამის გამო მას ორი-სამი ვარჯიში გამოვატოვებინეთ, მაგრამ ტრავმამ ისევ შეახსენა თავი. ამჟამინდელი მდგომარეობით, მოლდოვასთან მისი თამაში საეჭვოა. ხვალ მას კიდევ დავაკვირდებით, ყველა საშუალებას მივმართავთ და იმედია, უკეთ იქნება. დევდარიანს რაც შეეხება, ის დანიიდან ტრავმირებული ჩამოვიდა. მას უკანა ორთავა კუნთის მიკროდაზიანებები აღენიშნება, რის მკურნალობასაც ორი კვირა სჭირდება. დათოს ძალიან უნდა, ალბანეთის წინააღმდეგ მაინც შეძლოს თამაში. ჩვენ ყველნაირად ვცდილობთ, ამ მატჩამდე ჩავაყენოთ მწყობრში და ვნახოთ, რა გამოვა. მჭედლიძემ წინა ორ დღეს მსუბუქად ირბინა და მხოლოდ დღეს ივარჯიშა სრული დატვირთვით. ლევანი ჯერ კიდევ მოსამაგრებელია და ახლა გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. კარგია, რომ ვარჯიში ჩაამთავრა და ტრავმას არ შეუწუხებია"*, - გვითხრა ზაალიშვილმა.

რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ნაკრებს **ლევან ყენია** დაუბრუნდა. მას ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ: *„უკვე კარგად ვარ. არანაირი პრობლემა აღარ მაქვს და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. რაც შეეხება მზადებას, როგორც ნახეთ, მონდომებით ვემზადებით. მართალია, ამხანაგური მატჩები გველის, მაგრამ ამ თამაშებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მოსაგებად ვემზადებით. გამარჯვების დრო მოვიდა და გულშემატკივარს ვთხოვ, შაბათს სტადიონზე მოვიდეს და მხარი დაგვიჭიროს"*.

ნაკრების დებიუტანტმა, რიგის „სკონტოს" ფორვარდმა **ლადო დვალიშვილმა** კი გვითხრა, რომ ადაპტაციის პრობლემა არ ჰქონია.

*„პრობლემებს ავცდი. ამ შემადგენლობიდან ფეხბურთელების დიდ ნაწილს აქამდეც ვიცნობდი. ვარჯიშიც არ გამჭირვებია. ბედნიერი ვარ, რომ ეროვნულ გუნდში მოვხვდი და ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა ეს შანსი გამოვიყენო"*.

„ვიტ ჯორჯიის" კაპიტანი **ლექსო კვახაძე** დარწმუნებულია, რომ შაბათს ეროვნული გუნდი გამარჯვებას იზეიმებს.

*„შემიძლია ვთქვა, რომ ნაკრებში სრული მობილიზაციაა. თავადაც ნახეთ, რომ განწყობილება საბრძოლოა და აქტიურად ვემზადებით. დარწმუნებული ვარ, შაბათს მოვიგებთ. ქომაგებს ვთხოვ, მოვიდნენ და ერთად ვიზეიმოთ ეს გამარჯვება"*.

აი, ასეთი იყო ეროვნული ნაკრების მზადების გუშინდელი, მესამე დღე. კუპერი გუნდს დღეს უკვე ორჯერ ავარჯიშებს. დილის 10 საათსა და საღამოს 17:30 საათზე წვრთნები კვლავ საგურამოს ბაზაზე გაიმართება. პარასკევს, 18 საათზე, ეროვნული გუნდის ვარჯიში უკვე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შედგება. ვარჯიშის დაწყებამდე კი, 17:30 საათზე, ამავე არენის საპრესკონფერენციო დარბაზში კუპერის პრესკონფერენცია გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



მეტოქე

# დობროვოლსკის ხუთეული გამოაკლდა

## მოლდოვა დღეს გვეწვევა

მოლდოვის ნაკრები თბილისში დღეს, ნაშუადღევს, ჩარტერული ავიარეისით ჩამოფრინდება და „ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდება. საქართველოში გამომგზავრებამდე მეტოქეს პრობლემები შეექმნა - **იგორ დობროვოლსკის**, რომელმაც 6 ივნისის ამხანაგური მატჩისთვის თავის დროზე 25 ფეხბურთელი შეარჩია, 5 მოთამაშე გამოაკლდა. ბაქოს „ოლიმპიკის" მცველ **სერგეი ლაშჩენკოვსა** და ხარკოვის „მეტალისტის" ნახევარმცველ **ვიტალი ბორდიანს** მსუბუქი ტრავმები აქვთ და გართულებების თავიდან ასაცილებლად მწვრთნელს დასვენება სთხოვეს. „როსტოვის" ნახევარმცველი **ალექსანდრ გაცკანი** კი დღე-დღეზე შვილს ელის და თბილისში ვერც ის ჩამოვა. მძიმე ტრავმის გამო გუნდს დააკლდა „შერიფის" შუახაზელი **სერგეი კორნეენკოვიც**. ამათ ემატება „ისკრა-სტალის" თავდამსხმელი **ვიტალი მანალიუც**, რომელიც დობროვოლსკიმ რეჟიმის დარღვევის გამო გუნდიდან დაითხოვა. მიუხედავად ამისა, მწვრთნელმა გუნდს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეაშველა - იმავე „ისკრა-სტალის" ნახევარმცველი **არტურ იონიცე**. მოკლედ, მოლდოველთა შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო:

მეკარეები - **ნიკოლაი კალანჩა** (ზიმბრუ), **სტანისლავ ნამაშკო** (შერიფი), **ევგენი მატიუგინი** (დაჩია);

მცველები - **ალექსანდრ ეპურიანუ** (მოსკვა, რუსეთი), **ალექსეი სავინოვი** (ბაქი, აზერბაიჯანი), **ვიქტორ გოლოვატენკო** (ხიმკი, რუსეთი), **იგორ არმაში** (ჰამარბიუ, შვედეთი), **დმიტრი პოპოვიჩი** (დაჩია);

ნახევარმცველები - **ევგენი ჩებოტარი** (ჩახლაული, რუმინეთი), **იგორ ციგირლიში** (ვენტსპილსი, ლატვია), **ალექსანდრ სუვოროვი** (შერიფი), **ალექსანდრ ონიკე**, **ვიქტორ ბულატ...** (ორივე დაჩია), **ვალერი ანდრონიკ...** (ბოჰემიანსი, ჩეხეთი), **არტურ იონიცე** (ისკრა-სტალი), **სერგეი ნამაშკო** (ვოსტოკი, ყაზახეთი);

თავდამსხმელები - **იგორ ბუგაევ...**, **დენის კალინკოვი** (ორივე აკადემია), **გეორგი ოვსიანიკოვი** (ოლიმპია), **ვიაჩესლავ სოფრონი** (ზიმბრუ), **სერგეი ალექსეევი** (ისკრა-სტალი).

მოლდოვის ეროვნული გუნდი დღესვე, 19:30 საათზე ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ივარჯიშებს. მატჩის წინადღეს კი, 5 ივნისს 18:30 საათზე საგურამოს ბაზაზე ივარჯიშებენ.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-მოლდოვა — U21

# რატომ გაბრაზდა ცხადაძე?

## მოლდოვისთვის განლაგება გამოიკვეთა

5 ივნისს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამხანაგურ მატჩში მოლდოვას უმასპინძლებს. თამაში რუსთავში გაიმართება. **კახა ცხადაძე** შიშობდა, რომ ტრავმების გამო, გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდებოდა. მაგრამ საბედნიეროდ, ყველა მწყობრშია - გუშინ **კარლო მჭედლიძის** საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის" სტადიონზე ახალგაზრდულმა ნაკრებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა. მცირე ტრავმის მიუხედავად, თავი არ დაუზოგავს საფრანგეთის „ლე მანის" მცველ **ამირან სანაიას**. მასთან ერთად, ნაკრებს დანარჩენი ოთხი ლეგიონერიც შეუერთდა. ცხადაძემ პირველად მიიწვია მარტვილის „მერანის" მცველი **ვალერი იობაშვილი** - მაღალი, ჯანიანი და ერთობ საინტერესო ფეხბურთელი. ახალგაზრდულ ნაკრებში პირველადაა დანიური „ჰიკის" ფორვარდი **მიხეილ ბარაბაძე**, რომელსაც მალე დანიის უმაღლესი ლიგის ბინადარ „ორჰუსში" სინჯებზე ელოდებიან...

სეზონი ახლახან კი დასრულდა, მაგრამ ფეხბურთელებს ბურთი არ მობეზრებიათ, თუმცა ყველას გული მაინც დასასვენებლად მიუწევს. ეს ფაქტორი ცხადაძემ კარგად გაითვალისწინა - მოთელვისა და „ორი შეხების" შემდეგ ფეხბურთელებში ხალისი შეიტანა. ვარჯიში რაგბის ელემენტებისგან შედგებოდა, იმ განსხვავებით, რომ ორად გაყოფილ მოწინააღდეგეებს გადაცემის წინ გაკეთების უფლება ჰქონდათ, ბურთი კი ორივე გუნდს ჰქონდა და გამარჯვებისთვის კარში პირველი გატანა იყო საჭირო. ფეხბურთელები თამაშს საჯარიმოს ხაზთან, კარისგან შეტრიალებულები იწყებდნენ. დამარცხებული კი, მეორე თამაშის დაწყებამდე, აზიდვებს აკეთებდა. ბოლოს კი „ორკარაც" ითამაშეს.

**A ნაკრები:** **კვასხვაძე - ხურცილავა, თოთაძე, ხიდეშელი, სანაია - ბეგლარიშვილი, შონია, განუგრავა - კლიმიაშვილი, ივანიშვილი, თარგამაძე.**

**B ნაკრები:** **თევდორაძე - კაკუბავა, ადამაძე, იობაშვილი, თომაშვილი - თარხნიშვილი, ნემსაძე, ბოლქვაძე - მაისურაძე, ფანცხავა, კბილცეცხლაშვილი.**

როგორც ხედავთ, ორივე გუნდმა 4-3-3 განლაგებით ითამაშა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მოლდოვასთან ჩვენები სწორედ ამ სქემით გაირჯებიან. სასტარტო შემადგენლობაც, ეტყობა, A ნაკრებისგან დაკომპლექტდება, თუმცა გარკვეული ცვლილებები მაინც არის მოსალოდნელი.

მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთელებს დავალებები თამაშამდე აუხსნა, მაგრამ დაიწყო „ორკარა" და მოთამაშეთა ნაწილი მაინც თავისას „ერეკებოდა". ამან ცხადაძე გააბრაზა და ბიჭებს შეცდომებზე მკაცრად მიუთითა. რა თქმა უნდა, ეს მოთამაშეთა მწირი ტაქტიკური განათლების ბრალია. აშკარაა, რომ ახალგაზრდების დამრიგებელს მომავალში მათთან დიდი და მძიმე მუშაობა მოუწევს.

დღეს ცხადაძის გუნდი გენერალურ რეპეტიციას რუსთავში, 17:30 საათზე, „ფოლადის" სტადიონზე გაივლის. სწორედ ამ დროს დაიწყება თამაში პარასკევს, 5 ივნისს. აღსანიშნავია, რომ რუსთავის სტადიონის დირექციისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, შეხვედრაზე დასწრება უფასოა.

**მერაბ მამულაშვილი**

გიორგი ივანიშვილი

# პაინცის არაფერი გვესმოდა, ცხადაძე ყველაფერს გასაგებად გვიხსნის...

## კონტრაქტი ციურიხთან და იჯარა?

**გიორგი ივანიშვილი** ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელია. ბოლო წლებში შვეიცარიამ ნიჭიერი ფეხბურთელების გამზრდელი ქვეყნის სახელი მოიპოვა. გიორგი კი ბავშვობიდან სწორედ ამ ქვეყანაში ვარჯიშობს. დღეისთვის ის შვეიცარიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის, „ციურიხის" სარეზერვო შემადგენლობაში თამაშობს.

გიორგიმ „ციურიხის" დუბლებში საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარა და იმედი აქვს, რომ მალე კლუბთან პროფესიულ კონტრაქტსაც გააფორმებს..

*"სეზონში ჩატარებული 30 შეხვედრიდან 25 ძირითადში დავიწყე და სულ 11 გოლი გავიტანე. ამას გარდა, „ციურიხის" მთავარი გუნდის თამაშზე სამჯერ 18-კაციან განაცხადშიც მოვხვდი. გუნდის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ მომავალი წლიდან კონტრაქტს გამიფორმებენ, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ მაძლევენ. სათამაშო პრაქტიკა მინდა და ამიტომაც შევთავაზე, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, სადმე გამანათხოვრონ. ახლა შვეიცარიის ჩელენჯლიგასა და სუპერლიგაში ჩემთვის გუნდს ეძებენ. თუმცა ჯერ კონკრეტული არაფერია. სეზონის დამთავრებას სანაკრებო შეკრებაც დაემთხვა და როცა შვეიცარიაში დავბრუნდები, ყველაფერს ამის შემდეგ გავარკვევ".*

ივანიშვილი შვეიცარიულ ფეხბურთში გატარებული წლებით კმაყოფილია: *„ამ ქვეყანაში ფეხბურთელის ზრდისთვის ყველაფერია. არ არსებობს პრობლემა, რომლის მაღალ დონეზე მოგვარებასაც ვერ შეძლებდნენ. ამიტომაც ვითარდება შვეიცარიული ფეხბურთი და იმედი მაქვს, დაწინაურებას მეც შევძლებ".*

18 წლის ფორვარდს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში **ჰაინც ტოპმიოლერთან** უვარჯიშია: *„ორი დღეა, ნაკრებში ვვარჯიშობ. კახა ცხადაძის მუშაობის სტილი ძალიან მომეწონა. საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს, მწვრთნელი შენს ენაზე რომ გესაუბრება და გასაგებად გიხსნის. ჩვენი მთავარი მწვრთნელი თამაშის დროს ხშირად გვაჩერებს და ნაკლზე მიგვითითებს. 19-წლამდელებში ჰაინც ტოპმიოლერთანაც მიმუშავია, რომელზეც იმავეს ვერ ვიტყვი. ის კონკრეტულ დავალებებს ვერ გვაძლევდა, კახასავით ხშირად არ გვაჩერებდა და მიგვითითებდა, რა გვქონდა დასახვეწი. ხოლო რასაც გვიხსნიდა, იმის აზრს ზოგჯერ თარჯიმანიც ვერ გადმოგვცემდა ზუსტად და ფეხბურთელები დავალებას ვერ იგებდნენ. ცხადაძე სწორი ფეხბურთის თამაშს გვასწავლის. ევროპაში სწორედ ასე თამაშობენ, დაცვიდან სწრაფი ამოსვლით და შეტევების ასევე სწრაფი დაწყებით",* - ამბობს ივანიშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ფიფას რეიტინგი — ივნისი

# სირიამდე შორი აღარაა

გუშინ „ფიფა-კოკა კოლას" ახალი რეიტინგლისტი გამოქვეყნდა. ივნისის თვის კლასიფიკაციაში **ექტორ კუპერის** ნაკრები 105-ე ადგილზეა 339 ქულით. გამოდის, რომ მაისში უსაქმოდ მყოფმა საქართველოს ეროვნულმა გუნდმა რეიტინგში მცირედით, მაგრამ მაინც მაღლა ისკუპა, ხუთი საფეხური აირბინა გრძელ კიბეზე და 104-ე ადგილზე მყოფ სირიას (341 ქულა) კუდში მიუსკუპდა. მასთან შედარებით საქართველოს ნაკრებმა 17 ერთეულით შეივსო ქულათა მარაგი. გაგაცნობთ იმ ხუთი უიღბლო ქვეყნის ვინაობასაც, რომელთა ნაკრებებსაც ახლახან გავუსწარით: კორეა, მოლდოვა, ფიჯი, ტანზანია, ეთიოპია. როგორც ხედავთ სიაშია მოლდოვის ნაკრები, ჩვენი უახლოესი მეტოქე - 6 ივნისს ხომ სწორედ მოლდოვას გავეჯიბრებით ამხანაგურად. მოლდოველებმა ერთ თვეში 17 ადგილი დაკარგეს და ისინი 338 ქულით (ანუ სულ ერთი ქულით ვუსწრებთ) 107-ე ადგილზე არიან.

სხვათა შორის, საქართველოს „კარის მეზობელი" რეიტინგის ქვედა მხრიდანაც „საამაყო" ჰყავს - კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. უეფას წევრ 53 ქვეყანაში საქართველო 41-ე ადგილზეა. ბებერ კონტინენტზე 12 ისეთი ქვეყანაა, რომლის ეროვნულ ნაკრებსაც ჩვენი გუნდი სჯობს, თუმცა იმავე მოლდოველებს უახლოეს დღეებში შანსი მიეცემათ საპირისპირო დაგვიმტკიცონ ჩვენ და ფიფას რეიტინგის შემდგენლებსაც.

მსოფლიოს 2010 წლის თასის საკვალიფიკაციო ჯგუფში ჩვენი მეტოქეები შემდეგ ადგილებზე განლაგდნენ: 4. იტალია, 23. ბულგარეთი, 34. ირლანდია, 79. კვიპროსი, 110. ჩერნოგორია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ქვეყანა | ქულა |
|---|---|
| 1. ესპანეთი | 1761 |
| 2. ჰოლანდია | 1442 (+1) |
| 3. გერმანია | 1378 (-1) |
| 4. იტალია | 1292 (+1) |
| 5. ბრაზილია | 1288 (-1) |
| 6. ინგლისი | 1225 (+1) |
| 7. არგენტინა | 1203 (-1) |
| 8. ხორვატია | 1200 |
| 9. რუსეთი | 1167 |
| 10. საფრანგეთი | 1067 |
| 23. ბულგარეთი | 838 (-3) |
| 34. ირლანდია | 762 |
| 79. კვიპროსი | 441 (-4) |
| 104. სირია | 341 (-5) |
| 105. საქართველო | 339 (+5) |
| 106. ჩრ. კორეა | 338 |
| 110. ჩერნოგორია | 331 (+7) |

ტრანსფერი



გიორგი შაშიაშვილმა (მარჯვნივ) ახალ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა

# კრეტა: შაშიაშვილის ოდისეის ახალი ნავსაყუდელი

მაშ ასე, ორწლიანი ავსტრიული ოდისეის შემდეგ საქართველოს ნაკრების 29 წლის მცველმა **გიორგი შაშიაშვილმა** ახალ ნავსაყუდელში „შეცურა", კუნძულ კრეტაზე ქალაქ ირაკლიონის „ერგოტელისთან" ასევე 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ბერძნული სუპერლიგის კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გიორგიმ 2 ივნისს „ერგოტელისთან" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, შემდეგ კი პრესისთვის ეს განაცხადა:

*„მოხარული ვარ, რომ „ერგოტელისთან" ხელშეკრულება გავაფორმე და ამ კლუბის ღირსებას ორი სეზონი დავიცავ. ყველაფერს ვილონებ ჩემს ახალ თანაგუნდელებთან ერთად, რომ კლუბმა ევროპის ლიგის საგზური მოიპოვოს. ძალიან გახარებული ვარ, რადგან ჩემი შეძენით სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულები კლუბის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი. შევეცდები, ყველაფერი გავიღო, რათა ჩემი აქ ყოფნა ჩემი კარიერისთვის წარმატებული გამოდგეს".*

„ენეტის" ცნობით, შაშიაშვილმა პოლონელ მცველ **ტომას ვიზიოსთან** ერთად გააფორმა ხელშეკრულება. „ორივე ფეხბურთელი გუშინ ჩამოვიდა ირაკლიონში. ისინი თავის ოფისში კლუბის პრეზიდენტმა **აპოსტოლის პაპუცაკისმა** მიიღო. შაშიაშვილმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ვიზიომ - სამწლიანი. შაშიაშვილი გრაცის „შტურმში" თამაშობდა, 1 ივნისიდან ის თავისუფალი აგენტი გახდა. ქართველმა მცველმა ბრაზილიელი **მაურისიო** უნდა შეცვალოს, რომელიც გუნდის თავკაცის გეგმებში აღარ შედის. **ნიკოს კარაგეორგიუმ** შაშიაშვილის თამაში პირადად ნახა ავსტრიაში და ამის შემდეგ ტრანსფერის განხორციელება მოითხოვა.

გიორგი 2005 წლიდან ლეგიონერია (თუმცა ორჯერ მცირე ხნით დაბრუნდა „დინამოში"), მან რუსულ „ალანიაში" 7 მატჩი ჩაატარა, 2006 წელს ის ოდესის „ჩერნომორეცში" თამაშობდა (9 მატჩი). საქართველოს ნაკრების მაისურით მან 29-ჯერ ითამაშა და 1 გოლი გაიტანა. ბერძნულ პრესაში ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში დაიწერა, რომ „ერგოტელისს" მისი გადაბირება სურდა.

ორიოდე სიტყვით „ერგოტელისზეც" ვთქვათ - შარშანდელი სუპერლიგა (16 გუნდი) კრეტელებმა მე-9 ადგილზე ჩაამთავრეს. მათ აჯობეს კუნძულის მეორე კლუბ ოფი-ს, რომელიც 24 ქულით გავარდა. კი აჯობეს, მაგრამ ისტორიით ახლოსაც ვერ მოვლენ მუდმივ მოქიშპესთან, შაშიაშვილის კლუბი მეხუთე სეზონია მხოლოდ უმაღლეს დივიზიონში, მაშინ როცა ოფი-მ 35 წელი იქ გაატარა და სამჯერ საპრიზო ადგილზეც გავიდა. „ერგოტელისი" 1929 წელს დაარსდა და პირველივე ამხანაგური მატჩი ოფი-სთან გამართა, რომელიც... 35 წუთის მერე ფეხბურთელებს შორის ატეხილი ჩხუბის გამო ჩაიშალა. ამ ათასწლეულამდე „ერგოტელისი" მეორე დივიზიონს არ ასცილებია, კლუბის საქმეები მას შემდეგ მიდის კარგად, რაც ის 2006 წელს ნიკოს კარაგეორგიუმ ჩაიბარა. გასულ სეზონში 8 გოლით „ერგოტელისის" ბომბარდირი ნიგერიელი ფორვარდი **პატრიკ ოგუნსოტო** გახდა. 6 გოლი გაიტანა ხორვატმა ფორვარდმა **მარიო ბუდიმირმა**. ნახევარდაცვაში გამოირჩევიან ბრაზილიელ-პორტუგალიელი **ბეტო** (მკითხველს შეიძლება ახსოვდეს „ბენფიკადან") და არგენტინელი **დიეგო რომანო**. დაცვაში თამაშობენ ავსტრიის ნაკრების ყოფილი წევრი **მარიო ჰიბლინგერი, დანიელ კენედი** (პორტუგალია), ბრაზილიელი მაურისიო, რომლის გაშვებასაც აპირებენ და ადგილობრივი ფეხბურთელები, რომელთაგან უფრო ცნობილი **ლეფტერის იალუსისია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# ასათიანი: მესამედ კიევში?

1 ივნისს **მალხაზ ასათიანს** კიევის „დინამოში" ყოფნის მეორე საიჯარო ვადა დაუსრულდა ის მოსკოვის „ლოკომოტივში" დაბრუნდა, თუმცა უახლოეს დღეებში ქართველმა ფეხბურთელმა, შესაძლოა, მესამედაც გაიაროს გაკვალული გზა და ისევ იჯარით გადავიდეს კიევის „დინამოში".

უკრაინულმა გაზეთმა „სევოდნიამ" კიევური კლუბის პრეზიდენტის **გრიგორი სურკისის** სიტყვები გაახმოვანა, რომლის თანახმადაც მალხაზს კიევში დარჩენა თავად სურკისმა შესთავაზა:

*„დაცვაში საკადრო პრობლემები გვაქვს, დიაკატე სრულყოფილ ვარჯიშს მხოლოდ აგვისტოს მეორე ნახევრიდან განაახლებს, მიხალიკი კი - ოქტომბრიდან. ამასთან დაკავშირებით შაბათს ასათიანს დაველაპარაკე, რომელიც „ლოკომოტივს" დაუბრუნდა. მას მე სულ მცირე ნახევარწლიანი იჯარა შევთავაზე, რომ კლუბს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დაეხმაროს. ამ საკითხზე იური სიომინთან უკვე ვისაუბრე და ის წინააღმდეგი არაა, ასათიანი „დინამოში" გამოუშვას. თუკი თავად გადაწყვეტს და მას კლუბი გამოუშვებს ასათიანი შეიძლება კიევის „დინამოს" ძირითადის ფეხბურთელიც გახდეს. გაზაფხულს მისი თამაში ბოლო ტურში ძალიან მოეწონა".*

შეგახსენებთ, რომ ასათიანი კიევის „დინამოში" იჯარით ჯერ სექტემბერში გადავიდა, შემდეგ თებერვალში. მართალია, მოსკოვის „ლოკომოტივში" იური სიომინი დაბრუნდა, რაც ერთი-ორად ზრდის ერთ დროს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვური გუნდის ლიდერის შანსებს დაბრუნდეს ძირითადში, მაგრამ, ვფიქრობთ, კიევურ კლუბში და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში უფრო უპრიანი იქნება მისთვის და ქართველი გულშემატკივრებისთვისაც. 4 ივლისს ავსტრიულ შეკრებაზე მოსკოვის „ლოკომოტივი" და კიევის „დინამო" ამხანაგურად გაეჯიბრებიან ერთმანეთს. საინტერესოა, რომელ გუნდში ითამაშებს მალხაზ ასათიანი?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მალხაზ ასათიანი

# სეზონის ნომინანტები

გია ტუხაშვილის პროექტი

## მწვრთნელი — რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია)

მეოცე ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად, რალა თქმა უნდა, **რამაზ მუმლაძე** მივიჩნიეთ! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მუმლაძე ხომ ჩემპიონი-გუნდის მთავარი მწვრთნელია! თუმცა, ისეთი შემთხვევებიც გვახსოვს, როცა წინა წლებში საუკეთესო მწვრთნელის გამოვლენისას... ჩემპიონობა საკმარისი არ ყოფილა...

საბედნიეროდ, ამ სეზონში აბსოლუტურ ლოგიკურ გადაწყვეტილებასთან მივედით: როგორც „ვიტ ჯორჯიამ" დაიმსახურა ჩემპიონობა, ისე ამ გუნდის დამრიგებელმა - ნომინანტობა. როცა „ვიტ ჯორჯიაზე" ვლაპარაკობთ, მუდამ ვახსენებთ სტაბილურობას; ასეც არის - რამაზ მუმლაძის ხელმძღვანელობით „ვიტ ჯორჯია" ყველაზე სტაბილურად ასპარეზობდა; ნუ დაგვავიწყდება ის ფაქტიც, რომ საქართველოს ახალმა ჩემპიონმა სეზონში მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო (მეოთხე ტურში - „ლოკომოტივთან") და ორივე „საშუალედო ეტაპის" (შემოდგომის და ზამთრის) გამარჯვებულიც გახდა. პირველი წრის უკანასკნელ ტურში „ვეტერინარებმა" ზუგდიდის „მგლები" რომ დაამარცხეს (3:0), ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ და ჩემპიონატის ბოლომდე ცხრილის პირველი ადგილი არავისთვის დაუთმიათ! მუმლაძე-მწვრთნელს არ უყვარს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხშირი როტაციები; ერთი შეხედვით, თითქოსდა, „ვიტ ჯორჯიას" თამაშის სტილიც არ არის ძნელად გასაშიფრი; მაგრამ, თითქმის ყველა პრინციპულ შეხვედრაში მუმლაძე საკუთარ გუნდს ისე ათამაშებდა, კონკრეტული მიზნისთვის რომ იყო საჭირო.

..."ვიტ ჯორჯია" არსებობის მეთერთმეტე წელიწადს ითვლის და ადრე ამ გუნდის ლამის „საფირმო ნიშნად" ... მწვრთნელების ზომაზე ხშირი ჩანაცვლება-გათავისუფლება იყო; თუმცა რამაზ მუმლაძის შემთხვევა, მართლაც, გამონაკლისია - კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტს დიდი ნდობა გამოუცხადა და ამ უკანასკნელმაც მეოთხე სეზონში შეძლო ჩემპიონობის მოპოვება. თანაც, არც ის დაგვავიწყდეს, რომ წინა სამ სეზონშიც მუმლაძის განწრთნილი „ვიტ ჯორჯია" მუდამ მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა. მოკლედ, ურთიერთნდობის ფაქტორმაც გაამართლა და მუმლაძესაც გარჯა დაუფასდა - „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონია!

საუკეთესო მწვრთნელების სამეული: 1. **რამაზ მუმლაძე** (ვიტ ჯორჯია); 2. **ვარლამ კილასონია** (ოლიმპი); 3. **კახა კაჭარავა** (დინამო).



## ლეგიონერი — ერნესტ აკუასაგა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიაროთ: შარშან ბევრად მეტი არჩევანი გვქონდა; სამწუხაროდ, ზოგმა, მართლაც მაღალი კლასის ლეგიონერმა (**ზელიჩი, ვიეირა, კესანი**) საქართველო დატოვა, ზოგმა აშკარად მოუკლო, ზოგს კი ტრავმებმა არ მისცა თავის გამოჩენის საშუალება. თუმცა, საერთო ტენდენცია არ იცვლება და გასულ სეზონში სხვადასხვა გუნდში ოცამდე ლეგიონერი ასპარეზობდა. ამათგან საუკეთესოდ კი „ოლიმპის" მცველი **ერნესტ აკუასაგა** მივიჩნიეთ - ერთნაირი წარმატებით რომ შეეძლო დაცვის ცენტრსა თუ მარცხენა ფლანგზე ასპარეზობა. აკუასაგა ჩინებული ფიზიკური მონაცემების ხარჯზე ნებისმიერი მეტოქისათვის გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდა; ეგ კი არა, იშვიათი შემთხვევა იყო, როცა სწრაფი და ხისტი მცველი ორთაბრძოლებში წაგებული გამოდიოდა. ხშირად უყვარდა საკუთარი გუნდის შეტევებში ჩართვაც - ამის დასტურად მეტოქეთა კარში გატანილი სამი გოლიც გამოდგება. ისე, არ დავმალავთ და ვიტყვით: სეზონის დაწყების წინ ვვარაუდობდით, რომ ამ ნომინაციაში გამარჯვების ორი ყველაზე რეალური კანდიდატი თბილისის „დინამოს" ლეგიონერები იქნებოდნენ: **დიდიე ოვონო** და **მილოშ კრშკო**; თუმცა, გაბონელი მეკარე, წინა სეზონისგან განსხვავებით, უარესად გამოიყურებოდა, ხოლო სლოვაკმა მცველმა შუა სეზონში უმძიმესი ტრავმა მიიღო და საკუთარ გუნდს ველარ ეხმარებოდა. დაბოლოს, ტრადიციისამებრ, „ლელოს" ვერსიით შედგენილი ... ლეგიონერთა სიმბოლური ნაკრები: **ოვონო** (გაბონი) - **ბოიომო** (კამერუნი), **კრშკო** (სლოვაკეთი), **კოზლენკო** (უკრაინა), **აკუასაგა** (გაბონი) - **ტომიჩი** (ჩერნოგორია), **ჩასემი** (კამერუნი), **სპასოევიჩი** (ჩერნოგორია), **ოვონიკოკი** (ნიგერია) - **ჯუისი** (კამერუნი), **აკირემი** (გაბონი).

## ფეხბურთელი — ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია)




მეოცე ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგები რომ შევაჯამეთ, ერთ ნომინაციაში გამარჯვებული, მართლაც, უკონკურენტო გახლდათ. პო, **ლევან ცქიტიშვილზე** მოგახსენებთ - „ლოკომოტივის" ლიდერი იმდენად შთამბეჭდავად ასპარეზობდა, ჟურნალისტები კი არა, სხვა გუნდის მწვრთნელებიც გაოცებულნი იყვნენ, თუ რატომ არ იძახებდნენ ამ გამოცდილ ფეხბურთელს საქართველოს ნაკრებში. იმასაც შეგახსენებთ, რომ ცქიტიშვილი ერთადერთი ფეხბურთელი იყო, პირველ ეტაპზე ყოველი თვის სიმბოლურ ნაკრებში („ლელოს" ვერსიით) რომ ხვდებოდა; ფაქტობრივად, ისიც გადაწყვეტილი იყო, რომ მეოცე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც უნდა გამხდარიყო, მაგრამ ზამთარში კარიერის გაგრძელება მეორე ბუნდესლიგაში გადაწყვიტა და ამასობაში... კონკურენტებიც წამოეწივნენ; წინდაწინ ვთქვათ - ძალიან გაგვიჭირდა მეოცე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა; საბოლოოდ კი ჩვენი არჩევანი ჩემპიონი გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელზე, **ლუკა რაზმაძეზე** შეჩერდა! როგორც მთლიანად „ვიტ ჯორჯია", რაზმაძეც უალრესად სტაბილურობით გამოირჩეოდა - სეზონის განმავლობაში, ყველა მატჩი, ფაქტობრივად, ერთ დონეზე ჩაატარა; შესაძლოა, მისი თამაშის სტილი ეფექტურად არ ჩანდეს, მაგრამ სამაგიეროდ, მოედანზე უდიდეს შრომატევად სამუშაოს ასრულებს და გუნდისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელიც არის. არც ის ფაქტია უმნიშვნელო, რომ საკუთარ გუნდში თითქმის ყველა „სტანდარტულს" ასრულებს და ნახევარმცველის კვალობაზე არცთუ ურიგო შედეგიანობა ჰქონდა - მეტოქეთა კარში 9 გოლი გაიტანა. თანაც, გოლების უმრავლესობა პრინციპულ მოწინაალმდეგეთა შეხვედრებში გაჰქონდა - იმავე თბილისის „დინამოსთან" სამივე შეხვედრაში შეძლო თავის გამოჩენა! და მთავარიც: რაზმაძის სასარგებლო და ეფექტიანი თამაში უყურადღებოდ არც **ექტორ რაულ კუპერს** დაუტოვებია: არგენტინელი სპეციალისტი „ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველს სტაბილურად იწვევს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში!

საუკეთესო ფეხბურთელთა სამეული: 1. **ლუკა რაზმაძე** (ვიტ ჯორჯია); 2. **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია); 3. **ნიკოლოზ გელაშვილი** (ზესტაფონი).

## დებიუტანტი — ვაჟა ნემსაძე




1990 წელს, პირველი ეროვნული ჩემპიონატის დასრულების მერე გრანდიოზული დაჯილდოება რომ მოეწყო, საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი 18 წლის **გიორგი ნემსაძეს** გადაეცა. ამის შემდეგ ნემსაძეს მართლაც, ჩინებული კარიერა ჰქონდა: წლების განმავლობაში წარმატებით ასპარეზობდა უცხოეთში (თურქეთი, შვეიცარია, იტალია, შოტლანდია) და საქართველოს ნაკრების შეუცვლელი ფეხბურთელი და კაპიტანიც გახლდათ. და აი, საფეხბურთო დინასტია გრძელდება - 2008 წლის 13 დეკემბერს, თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა მის ვაჟს, **ვაჟა ნემსაძეს**! 18 წლის ბიჭი ერთობ აქტიურად და, რაც მთავარია, უშიშრად ჩაერთო დაძაბულ მატჩში (თანაც, იმ დღეს „დინამოს" მეტოქე ერთიანად გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ოლიმპი" იყო); იმ შეხვედრაში ნემსაძე შეცვლაზე შემოვიდა, ხოლო მას შემდეგ, რაც „დინამოს" მთავარ მწვრთნელად **კახი კაჭარავა** დაინიშნა, ჭაბუკი ნახევარმცველი ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ძირითად ფეხბურთელად იქცა! სულ ახლახან კი 18 წლის ვაჟა ნემსაძემ პირველ სერიოზულ წარმატებასაც მიაღწია - საქართველოს თასის ფინალში გაიმარჯვა! უჩვეულოდ სასიამოვნო სანახავი გახლდათ, თუ როგორი ჟინით თამაშობდა პატარა ბიჭი გამოცდილი მეტოქეების წინააღმდეგ, თანაც, 120 წუთის განმავლობაში...

საუკეთესო დებიუტანტთა სამეული: 1. **ვაჟა ნემსაძე** (დინამო); 2. **ილია პავლიაშვილი** (ბორჯომი); 3. **შალვა კვანტალიანი** (ლოკომოტივი).

## სეზონის აღმოჩენა — გიორგი გაბედავა (გაგრა)

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის არ იყოს, ამ ნომინაციაშიც გაგვიჭირდა არჩევანის გაკეთება. საბოლოოდ, მაინც **გიორგი გაბედავა** ვამჯობინეთ სხვა კანდიდატებს - უმაღლესი ლიგის დებიუტანტის „გაგრას" წარმატება-წარუმატებლობა ხომ ბევრად იყო დამოკიდებული ამ ახალგაზრდა ფეხბურთელზე. რა თქმა უნდა, 20 წლის ბიჭს მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად (თანაც, მაღალ დონეზე) ასპარეზობას ვერ მოთხოვ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გაბედავას თამაშს, მართლაც, შთამბეჭდავი ეთქმოდა! სისწრაფეც არ დაეწუნება, ფიზიკური მონაცემებიც, ორივე ფეხით ლონივრად ურტყამს, მეტოქის მოტყუებაც შეუძლია და ორთაბრძოლებსაც არ გაურბის - ასეთი მონაცემების მქონე ახალგაზრდა ფეხბურთელმა ზრდა არ უნდა შეწყვიტოს და უფრო მეტს მიაღწევს. გაბედავას კიდევ ერთი პლუსი მისი უნივერსალიზმიც არის: ამ სეზონში გამოკვეთილი ფორვარდიც იყო, გარემარბიც და ნახევარმცველიც; თანაც, ჯანიანი ახალგაზრდა კუპერსაც თვალში მოუვიდა...

სეზონის სამი აღმოჩენა: 1. **გიორგი გაბედავა** (გაგრა); 2. **თეიმურაზ ლონლაძე** (ოლიმპი); 3. **ვახტანგ კვარაცხელია** (ვიტ ჯორჯია).



## კურიოზი



მილოშ კრშკო

გასულ სეზონში იმდენ კურიოზულ სიტუაციას შევესწარით, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა; თანაც, ცოტა არ იყოს, ჩასაფრების პოზიციაში ყოფნაც არ გვინდა ვინმემ დაგვაბრალოს; უფრო ზუსტად, კოლეგიალობის პრინციპს დავიცავთ, თორემ ერთ-ერთი პატივცემული ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსებულ ლამის ყოველდღიურ „მარგალიტებზე" რომ გველაპარაკა, გვერწმუნეთ, ჩვენთან ერთად სხვაც ბევრი იხალისებდა...

ალარც იმ „წლის ფრაზას" გავიხსენებთ, ასევე ერთ-ერთი პატივცემული ორგანიზაციის ასევე პატივცემულმა შეფმა რომ განაცხადა ერთ-ერთ მატჩში მომხდარ საკამათო ეპიზოდზე. იმიტომ, რომ ნომინაციაში - „აბსოლუტური გამარჯვებული" სხვა კურიოზული სიტუაცია მივიჩნიეთ. კერძოდ კი 15 მარტს ჩატარებული შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და „სპარტაკის" მონაწილეობით. აი, იქ ვნახეთ თუ ვნახეთ: უმძიმესი ტრავმის გამო საკაცეზე დაწვენილ და გონებადაკარგულ **მილოშ კრშკოს** სასწრაფო დახმარების მანქანისკენ რომ მიაქანებდნენ, შეხვედრის არბიტრმა **არსენ ნონიკაშვილმა** „დინამოს" სლოვაკ მცველს... გზაში წითელი ბარათი „დაანია"!..

## საუკეთესო მსაჯი

### გიორგი ვადაჭკორია




საქართველოს ჩემპიონატში ბოლო წლებში გამარჯვებულები იცვლებოდნენ, საუკეთესო მსაჯის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ტიტულს კი ერთი და იგივე არბიტრი არავის ანებებდა. ჰო, ნამდვილად არ არის სახუმარო საქმე, როცა ზედიზედ სამი წელიწადი კოლეგებში გამორჩეული ხარ - ფიფას არბიტრ **ლევან ფანიაშვილზე** მოგახსენებთ. დარწმუნებული ვიყავით, რომ ფანიაშვილი მეოცე ჩემპიონატშიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა. თუმცა სეზონი ახალი დაწყებული იყო, როცა დამხმარე არბიტრებთან ერთად ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყვა და მხოლოდ ფინიშისკენ დაუბრუნდა საყვარელ საქმიანობას. არადა, თერთმეტგუნდიანი და სამწრიანი ჩემპიონატის „გადამკიდე", ლამის ყველა ტურში მაინც იყო მინიმუმ ერთი „ბომბა-მატჩი"; ჰოდა, სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩვენი აზრით, ქართველმა არბიტრებმა საკუთარ მოვალეობას თავი შეძლებისდაგვარად გაართვეს. შეცდომები, რაღა თქმა უნდა, იყო (ამისგან არავინ არის დაზღვეული); თუმცა, ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელი თუ მწვრთნელი ამ შეცდომებს მუდამ შეგნებულად მიიჩნევდა - ეს მსაჯები ქართულ ფეხბურთსაც ასამარებენ და ჩვენც „გვძირავენო"; თანაც ყველაზე ხშირად საყვედურის მოსმენა იმ არბიტრებს უწევდათ, პრინციპულ შეხვედრებს რომ უძღვებოდნენ (აბა, ერთი გუნდი რომ მეორეს 12:0-ს მოუგებს, ვის რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს). და მაინც: ჩვენი აზრით, საქართველოს მეოცე ჩემპიონატის საუკეთესო არბიტრი **გიორგი ვადაჭკორია** იყო, ვინც არაერთ რთულ შეხვედრას გაუძლვა და თითქმის ყველა მატჩში მაქსიმალურად ცდილობდა ობიექტურობის დაცვას.

საუკეთესო მსაჯთა სამეული: **1. გიორგი ვადაჭკორია; 2. ლაშა სილაგავა; 3. ლევან კვარაცხელია.**

## სკანდალები

სამწუხაროდ, საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი „ისტორიაში" ისე შევა, როგორც, ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური; ალარ გვინდა იმ საეჭვო მატჩებზე საუბარი, ასე მრავლად რომ იყო ჩემპიონატსა თუ თასის გათამაშებაში; თანაც, როგორც წესი, საეჭვო შეხვედრები სეზონის ბოლოსკენ არის ხოლმე, თუმცა სკანდალური მატჩი არც მანამდე აკლდა ჩვენს ჩემპიონატს. პირველი ხმაურიანი „მატჩი" 19 ოქტომბერს ჩატარდა: „მესხეთისა" და „დინამოს" მატჩი... სამჯერ შეწყდა! მასპინძელთა კლუბის ხელმძღვანელებს მიაჩნდათ, რომ მსაჯობა მიკერძოებული იყო და „მესხეთის" იმდროინდელი პრეზიდენტიც სამჯერ შევიდა მოედანზე და საკუთარ გუნდს თამაშის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა. საბედნიეროდ, ის მატჩი მშვიდობით დასრულდა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით 21 ნოემბრის ბოლნისურ მატჩზე, როცა „სიონისა" და „მგლების" შეხვედრის მიწურულს მოედანზე მამაპაპური ჩხუბი ატყდა! ვინვის აბრალებდა, მაგრამ უსიამოვნო ფაქტი მოხდა და თანაც, ყველაფერი ეს... ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. დაბოლოს, მესამე და არანაკლებ მასშტაბურ სკანდალზე: მეორე ეტაპის დაწყების დღეს (7 თებერვალს), დღემდე დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა (გნებავთ - ავაზაკებმა, ყაჩაღებმა) თამაშზე მიმავალი... ქართველი მსაჯი **მალხაზ ბეუქლიშვილი** მოიტაცეს! საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობით დასრულდა და ყვარლელი არბიტრიც მალე დაუბრუნდა საყვარელ საქმიანობას.



## ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები




## საუკეთესო შემცვლელი

### ილია სპასოევიჩი



**გახსოვთ, დიმიტრი ტატანაშვილი?** „ამერის" ფორვარდი, თითქმის ყოველ მეორე შეხვედრას... სათადარიგოთა სკამზე იწყებდა, მაგრამ შეცვლაზე შემოვიდოდა თუ არა, მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა. სამწუხაროდ, უმაღლეს ლიგაში ალარც „ამერი" გვყავს და ტატანაშვილიც ჩეხეთში აგრძელებს კარიერას. სამაგიეროდ, გასულ სეზონში სხვა ფეხბურთელმა დაგვამახსოვრს თავი - შეცვლაზე შესული ბევრად უფრო სასარგებლო და შედეგიანი რომ იყო. **ილია სპასოევიჩზე** მოგახსენებთ, „დინამოს" ჩერნოგორიელ ფორვარდზე - შევიდოდა შეცვლაზე, „ცეცხლს დაანთებდა" ხოლმე და გოლებსაც გაიტანდა; მომდევნო ტურში უკვე ძირითადში ვხედავდით, მაგრამ უკვე აშკარად „სხვა" სპასოევიჩი იყო - „მშვიდი" და, რაც მთავარია, ნაკლებად შედეგიანი...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ინტერვიუ



## რატი ალექსიძე

# ახლა კარგად ვარ და გოლის იმედიც მაქვს

## რატიმ რაც დაკარგა, ყველაფერი აღიდგინა

ყველას როდი შეუძლია ძნელი სიტუაციიდან თავის დაღწევა. ყოველივე ეს განსაკუთრებულად ძნელია სპორტსმენისთვის. ამ პროფესიის ხალხისთვის გაცდენილი წლები ძალიან ბევრს ნიშნავს, სპორტულ კარიერაში ძალიან ძნელია არცთუ პატარა შეცდომების გამოსწორება.

„ძალიან ძნელი" - ამ ორ სიტყვას იმიტომ ვეჭიდებით, რომ ეს არის ის, რაც რატი ალექსიძეს შეემთხვა - ოთხი წელიწადი უფეხბურთოდ, უვარჯიშებლად, რეჟიმის დაცვის გარეშე და მერე ისევ ფეხბურთი და დაბრუნება ეროვნულ ნაკრებში...

ექტორ კუპერმა ალექსიძე წლეულს პირველად გამოიძახა ნაკრებში. ამდენად, ვარაუდი იმაზე, რომ არგენტინელი რატის საერთოდ აღარ გამოიძახებდა, არ გამართლდა, თუმც ამგვარი ვარაუდი უსაფუძვლო როდი იყო. სეზონის ბოლოს, უნგრულ „დიორი ეტოში", ალექსიძე ბურთს ხშირად ახვევდა ბადეში და კუპერმაც გაიხედა მადიართა ჩემპიონატისკენ...

ალექსიძეს, რომელმაც უნგრეთის ჩემპიონატის მეორე წრეში 13 მატჩი ითამაშა და 7 გოლი გაიტანა, გუშინ ნაკრების ბაზაზე შევხვდით...

**- სანამ „დიორი ეტოში" გადახვიდოდი, თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობდი და იქ ჩატარებულ ბოლო შეხვედრებში გოლები ველარ გაგქონდა. რა იყო ამის მიზეზი? რა გიშლიდა ხელს წარმატებულ თამაშში?**

- თავად ვერ გავართვი საქმეს თავი. „ლოკომოტივში" სიტუაცია არეულ-დარეული იყო და ამან ჩემზეც იმოქმედა. „დიორი ეტოში" რომ გადავედი, თითქოს დავმშვიდდი და უკეთაც ავთამაშდი.

**- უნგრეთის ჩემპიონატი ელიტურ ლიგებს არ განეკუთვნება. როგორ ფიქრობ, იმ ადგილას მოხვდი, სადაც გინდოდა? უნგრეთში არსებული საფეხბურთო გარემო და პირობები საშუალოევროპულ სტანდარტებს უტოლდება?**

- რაც მთავარია, უნგრეთში საქართველოზე ბევრად კარგი საფეხბურთო სიტუაციაა და პირობებიც ნორმალურია. უნგრეთი ევროპაა და საქმისადმი მიდგომის მხრივ ყველაფერი ევროპულ დონეზეა. უნგრულ ფეხბურთს აქვს საკმაოდ კარგი პოტენციალი. აი, ასეთ გარემოში მოვხვდი, თან „დიორი ეტოში" ხომ მარტო არ ვიყავი, დავით ოდიკაძე ჩემთან ერთად იყო და ამან ადაპტაციაც გამიადვილა და თამაშიც.

**- „დიორი ეტო" უნგრეთის ჩემპიონატში მე-8 ადგილზე გავიდა. წარმატების მიღწევა თასის გათამაშებაში შეგეძლოთ, ფინალშიც გახვედით, მაგრამ...**

- თავიდან ყველაფერი მართლაც კარგად წამივიდა, გუნდს კარგად შევეწყვე და თასი რომ მოგვეგო, რა თქმა უნდა, ეს სეზონი ჩემთვის წარმატებული იქნებოდა. თასის ფინალში ორივე გუნდს ერთნაირად გვინდოდა გამარჯვების მიღწევა. საქართველოს ჩემპიონატში შევნიშნე, რომ, როცა დაახლოებით თანაბარი დონის გუნდები თამაშობენ, გამარჯვებას აღწევს ის, ვისაც ეს უფრო მეტად უნდა. რაც შეეხება უნგრეთის თასის ფინალს, სურვილი და მონდომება არც ერთ გუნდს არ აკლდა, მაგრამ იქაურებს თითქოს ემოცია არა აქვთ. შესაძლოა, სწორედ ემოციური მუხტი დაგვაკლდა თასის მოსაგებად. ესეც რომ არა, ჩვენს მეტოქე „ჰონვედს" საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავდა.

**- თავად კლუბში რა სიტუაციაა? „დიორი ეტოში" ქართველებს რა თვალით გიყურებენ?**

- „დიორი ეტოს" პრეზიდენტის მრჩეველი ქართველი ლაშა ოდილაძეა, ძალიან კარგი ადამიანი და სერიოზული ბიზნესმენი. კლუბში ის საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა, მე და ოდიკაძეს ყველანაირად გვერდში გვედგა. გუნდის მთავარ მწვრთნელთანაც ძალიან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, თითქმის ყოველთვის ჩემს პოზიციაზე, ცენტრ-ფორვარდად მათამაშებდა, ერთი-ორჯერ კი დამავალა ცოტა უკნიდან, მოედნის სიღრმიდან იმოქმედეო.

**- დიორი რამდენად საფეხბურთო ქალაქია? იქაურ გულშემატკივრებზე რას გვეტყოდი?**

- საფეხბურთო აჟიოტაჟი მუდმივად იგრძნობა. ქალაქი თითქოს „დიორი ეტოს" თამაშიდან თამაშამდე ცხოვრობს. დიორი პატარა და სიმპათიური ქალაქია, საიდანაც ბუდაპეშტი და ვენა ნახევარი საათის სავალზეა. გუნდის ბაზაც ჩინებულია. აუზიდან დაწყებული, სატრენაჟორო დარბაზით დამთავრებული, იქ ყველაფერია. რაც შეეხება ქომაგებს, კარგი ხალხია, სტადიონზე ბევრნი მოდიან და თამაშის „მულამში" გვაგდებენ.

**- კმაყოფილი ჩანხარ, რაც ალბათ იმის წინა პირობაა, რომ დამდეგ სეზონშიც „დიორი ეტოში" ითამაშებ...**

- ზამთარში სამწლინახევრიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ამდენი ხანი ვითამაშებ ამ გუნდში. თუ უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა, კლუბის ხელმძღვანელობას ამის თაობაზე დაველაპარაკები. ისე კი „დიორის" ხელმძღვანელობა ჩვენით კმაყოფილია. ერთი პერიოდი, გოლები ვერ გამქონდა, მაგრამ სეზონის ბოლოს ისევ მოვუხშირე გატანას.

**- ერთი სიტყვით, თუ უკეთესი შემოთავაზება გექნა, „დიორი ეტოდან" წახვალ. მალე 31 წლის გახდები და შენთვის ახლა, ალბათ, მთავარი ისაა, რომ რაც შეიძლება უკეთეს ჯამაგირზე ითამაშო. დავუშვათ, აზერბაიჯანიდან მოგივიდა სარფიანი შეთავაზება - დათანხმდები ასეთ წინადადებას?**

- არა, აზერბაიჯანში არ წავალ. ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ რაღაც შემიძლია და არ მინდა, ეს ყველაფერი წყალს გავატანო.

**- უნგრეთის ჩემპიონატი დაახლოებით რა დონისაა?**

- უნგრეთის ჩემპიონატში თამაში ძნელია. საქართველოზე გაცილებით მაღალი დონეა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი ლიგის რომელიმე გუნდმა უნგრეთის რომელიმე გუნდს მოუგოს.

**- მაინც რამდენია იმის შანსი, რომ უნგრეთის ჩემპიონატზე უკეთეს ლიგაში გააგრძელო კარიერა?**

- ეს შეუძლებელი ნამდვილად არ არის. ნახევარი სეზონის შემდეგ უკეთეს ფორმაში ვიქნები და ზამთარში ალბათ მეტი შანსი მექნება, რომ უნგრეთის ჩემპიონატზე მაღალ დონეზე ვითამაშო.

**- „ლოკომოტივში" შარშან თებერვალში მიხვედი, მანამდე, ფაქტობრივად 4 წელიწადი, ფეხბურთს ჩამოშორებული იყავი. საკუთარ თავს როგორ ატყობ, დაკარგული პერიოდი უკვე სრულად აღიდგინე?**

- შეიძლება ითქვას, რომ დაკარგული აღდგენილი მაქვს. სრული დატვირთვით შემიძლია ვარჯიშიც და თამაშიც. სეზონისწინა შეკრება რომ გვექნება „დიორში", მაშინაც სრულად დავიხარჯები. აქამდე თამაშში საშუალოდ 9.5 კმ-ს დავრბოდი, თუმცა ვილლებოდი...

**- დაბრუნდი ფეხბურთში, საქართველოს ნაკრებში, ითამაშე უცხოეთში... მთელი ამ პერიოდის განმავლობაში „ლოკომოტივში" და „დიორ ეტოში" გოლები საკმაოდ გაიტანე. მაგრამ ნაკრებში გოლის გემო ჯერაც ვერ გაიხსენე...**

- არც კი მახსოვს, ბოლოს როდის გავიტანე გოლი ნაკრებში, თითქოს ეს სხვა, იქითა ცხოვრებაში იყო... ახლა ნაკრებს ზედიზედ ორი ამხანაგური მატჩი ელის და რა თქმა უნდა, ვეცდები გოლის გატანას. ეს უსაფუძვლო სურვილი არ არის, ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ნაკრებში გოლის გატანის იმედიც აქედან მოდის.

**- ექტორ კუპერმა მოლდოვა-ალბანეთთან მატჩებისთვის ნაკრებში გიხმო. თუმცა მანამდე, ირლანდიასა და კვიპროს-ჩერნოგორიასთან გასვლითი მატჩებისთვის არ მიუწვევიხარ. როგორ ფიქრობ, რა იყო ამის მიზეზი?**

- ეს უკვე დავივიწყე. არ ვარ ისეთი, რომ რამე ჩავიხვიო გულში. ასე რომ დამემართოს, ისევ ჩემთვის იქნება ცუდი, ფეხბურთელს ეს კარგს არაფერს მოუტანს. ახლა კი ძალიან გახარებული ვარ, კუპერმა რომ გამომიძახა. არაფერი მაწუხებს, ჯანზე ვარ, უკეთეს ფორმაშიც გახლავართ და უკეთესადაც უნდა ვითამაშო.

დავით თავართქილაძე

ფეხბურთის მიღმა

# რატომ ზის ციხეში ახალგაზრდული ნაკრების ექსკაპიტანი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაოგნებელი ამბავია - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, უნიჭიერესი ნახევარმცველი თემურ (მურთაზ) ბურნაძე, რომელიც 20 წლისა ტირასპოლის „შერიფის" ძირითად შემადგენლობაში მოხვდა, უკვე 10 თვეა დაკავებულია. ის გასული წლის მარტში, გორში ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს, ხოლო 2008 წლის აგვისტოში 24 წლის ფეხბურთელს თავისუფლება 7.5 წლით აღუკვეთეს.

დღეს თბილისის სააპელაციო სასამართლო მის სარჩელს განიხილავს. ბურნაძე თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. გუშინ რედაქციაში მისი ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი დაგვიკავშირდა...

- „ლელოს" 5 მაისის ნომერში ტირასპოლის „შერიფის" კაპიტან ვაჟა თარხნიშვილთან ინტერვიუ დაიბეჭდა. სხვა საკითხებთან ერთად, თარხნიშვილმა თემურ ბურნაძეც ახსენა და სინანულით თქვა, - ეს უნიჭიერესი ფეხბურთელი დღეს საერთოდ აღარ თამაშობსო. ამ ინტერვიუმ საბოლოოდ გადამაწყვეტინა, მომემართა თქვენთვის და მკითხველისთვის გამეცნო, თუ რაოდენ მძიმე მდგომარეობაშია საქართველოს ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელი. დღეს ბურნაძე არის პატიმარი, იმყოფება გლდანის №8 საპყრობილეში და მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვის ვადით.

**- რასთან დაკავშირებით დააკავეს?**

- თემურს ყაჩაღობის უმძიმესი ბრალდება წაუყენეს, მაგრამ ის თავს დამნაშავედ არ ცნობს. მე, როგორც მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ თემურ ბურნაძეს ეს დანაშაული არ ჩაუდენია და სრულიად უსაფუძვლოდ ზის ციხეში. სიმართლე მაიმედებს, რომ შევძლებ მის დაცვას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. სულაც არ მსურს, ვინმეს სისხლის სამართლის საქმის დეტალები მოვუყვე, ან ვამტკიცო მისი უდანაშაულობა. ამისთვის არსებობს სასამართლო. უბრალოდ, საცოდაობაა, რომ ბურნაძის ბედით დღემდე არავინ დაინტერესებულა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესი 5 თვეა მიმდინარეობს, მას არც ერთი ფეხბურთელი ან ამ სფეროში მოღვაწე პირი არ დასწრებია. როგორც ჩანს, თემურის დაკავების ამბავი არ იცოდნენ, რადგან ბოლო დღეებში რამდენიმე ფეხბურთელსა და საფეხბურთო ჩინოსანს დავუკავშირდი და მათთვის ეს ამბავი დაუჯერებელი აღმოჩნდა. ყველა გაოგნებულია! ჩემთვის ნიშანდობლივი იყო მათი პირველი რეაქცია - ბურნაძეს ციხეში რა უნდაო?! არადა, ვინც თემურის პოტენციალს იცნობს, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ის არის უნიჭიერესი ფეხბურთელი, რომელსაც ჰქონდა და აქვს დიდი მომავალი. ბურნაძე არ არის საქართველოსთვის ერთი რიგითი ფეხბურთელი, ის სხვადასხვა დროს საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და ახალგაზრდული გუნდის კაპიტანიც იყო. მცირე ასაკის მიუხედავად, საკმაოდ წარმატებით თამაშობდა სხვადასხვა გუნდში, მათ შორის, ტირასპოლის „შერიფშიც". მაშინ, როცა დღეს საქართველოში საფეხბურთო კრიზისია და მაღალი კლასის ფეხბურთელი სანთლით საძებარია, ბურნაძის მდგომარეობით არავინ დაინტერესებულა და გულთან ახლოს არ მიუტანია. თემურის ასეთ მდგომარეობაში მიტოვება დანაშაულია. ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ის არავისგან პატიებას არ ითხოვს, რადგან დანაშაული, რომელსაც მას ბრალად სდებენ, არ ჩაუდენია. მე მასთან უშუალო შეხება მქონდა და მაქვს არა მხოლოდ როგორც ადვოკატს, არამედ, როგორც მის მეგობარს. აქედან გამომდინარე, ვაცხადებ - ის დღესვე მზად არის, დაუბრუნდეს ფეხბურთს და დარწმუნებული ვარ, ქართველი გულშემატკივრის იმედებსაც გაამართლებს. ვინც მას იცნობს, ამაში დამეთანხმება. ამდენად, გთხოვთ, გულთან მიიტანოთ მისი გაჭირვება, ყველანაირად შეუწყოთ ხელი მას იმაში, რომ ჩვენ, ყველამ ერთად, შევძლოთ მისი სიმართლის დამტკიცება, რათა საბოლოოდ არ დაენგრეს მომავალი კიდევ ერთ ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელს.

**- ეს მართლა გამაოგნებელი ამბავია, მაგრამ ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? სასამართლომ განაჩენი უკვე გამოიტანა...**

- მთელი საფეხბურთო სამყარო უნდა დადგეს თემურ ბურნაძის გვერდით და დაეხმაროს მას. არ შეიძლება, საფეხბურთო სამყარომ უყუროს, თუ როგორ უსამართლოდ, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე იჩაგრება ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელი. 4 ივნისს (დღეს - რედ.) არის სასამართლო. ჩვენ გავასაჩივრეთ სასამართლოს განაჩენი და იმედს ვიტოვებთ, რომ ბურნაძე ფეხბურთს დაუბრუნდება.

**- ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ყაჩაღობისთვის ტყუილად როგორ გაასამართლეს?**

- დიახ, ტაქსის მძღოლის დაყაჩაღება დააბრალეს. ეს საკმაოდ რთული და ჩახლართული ამბავია. თუმცა მის შემთხვევაში ყველაფერი დღესავით ნათელია. ტაქსისტი გორში დააყაჩაღეს. ამ დროს კი მურთაზი გორის პოკერკლუბში იჯდა. ეს ყველაფერი ამ კლუბის ოთხი სათვალთვალო კამერით არის დაფიქსირებული, ჩანაწერიც წარვუდგინეთ სასამართლოს, თუმცა ბრალდებას მაინც არ უხსნიან. როგორ შეიძლება, ერთდროულად იჯდე პოკერკლუბში და ტაქსისაც აყაჩაღებდე? ჩანაწერში ხომ ზუსტი დროც არის დაფიქსირებული. სხვათა შორის, თავიდან ტაქსის მძღოლმა მურთაზს დაადო ხელი - ამან დამაყაჩაღაო, თუმცა პროცესზე იტირა - მგონი, ეს ბიჭი არ ყოფილა, რაღაც შემეშალაო. ბოლოს და ბოლოს, იმ დაყაჩაღების შემდეგ მურთაზი გორში იყო. გინახავთ დამნაშავე, რომელიც დანაშაულის ადგილს დროებით მაინც არ გაეცლება? ისე ექცევიან, როგორც შავკანიანებს 20-ანი წლების ამერიკაში. და ეს გრძელდება უკვე მეათე თვეა. 7 წელი და 6 თვე ციხეში უნდა იჯდეს. თუ სასამართლომ გადაწყვეტილება არ შეცვალა, ფეხბურთს ვინ ჩივის, ცხოვრება სრულიად უმიზეზოდ აერევა. 24 წლის ბიჭის საამისოდ უნდა გავიმეტოთ?

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ჟოან ლაპორტა

ბარსელონა

# ლაპორტა პერესს დაუპირისპირდა

## მადრიდელებს სატრანსფერო ბაზარზე არეულობა შეაქვთო...

**კაკასა** და მადრიდის „რეალის“ ურთიერთობა დიდი სკანდალის აგორების მიზეზი გახდა. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას დაუძინებელი მტრის, „ბარსელონას“ პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** დაუპირისპირდა. წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორის უმაღლესი ხელისუფალი დედაქალაქელებს სატრანსფერო ბაზარზე წესრიგის დარღვევას აბრალებს. აი, რა განაცხადა სენიორ ჟოანმა:

„არ მინდა ვინმეს ეგონოს, რომ ფლორენტინო პერესის დაბრუნებას ეჭვის თვალით ვუყურებ. ჩემთვის სულერთია, ვინ იქნება „რეალის“ პრეზიდენტი. მე სულ სხვა რამ მადარდებს. სამეფო კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ, აგრესიული და წინდაუხედავი პოლიტიკით, სიმწრით დალაგებული სატრანსფერო ბაზარი ისევ აურ-დაურია. ჩვენ მთელი ამ წლების განმავლობაში ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ ფეხბურთელების ტრანსფერების ღირებულებას ასტრონომიული თანხებისთვის არ მიეღწია. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ პირველ რიგში სწორედ „ბარსელონას“ მეცადინეობით სატრანსფერო ბაზარზე წყალი დაიწმინდა. სამწუხაროდ, „რეალის“ მესვეურებმა შრომა წყალში გადაგვიყარეს. მათ კაკას სანაცვლოდ იმხელა თანხა დაასახელეს, რომ სხვა გუნდების ხელმძღვანელობას მადა აღუძრეს და სიტუაცია აურიეს. ეს ყველაფერი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოხდა. დიდია იმის საშიშროება, რომ ასეთმა წინდაუხედაობამ ფეხბურთიც კრიზისში ჩააგდოს.“


ფლორენტინო პერესი

ინტერვიუ

მანუელ პელეგრინი

# ბარსელონა ტახტიდან უნდა ჩამოვაგდოთ

როგორც იცით, მანუელ პელეგრინი სამეფო კლუბის ახალ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ჩილელმა სპეციალისტმა მადრიდის „რეალში“ ახალი ეპოქა უნდა დაიწყოს. ეპოქა, რომელიც მსოფლიო გრანდს ძველ დიდებას დაუბრუნებს და თანამედროვე ფეხბურთის ავანგარდში მოაქცევს. სენიორ პელეგრინის უეცარი დანიშვნა იმდენად დიდი მოვლენა გახლდათ, რომ ის უმალ ჟურნალისტების ნადირობის ობიექტი გახდა. სამხრეთამერიკელმა სპეციალისტმა უარი ვერავის უთხრა და ინტერვიუ მასმედიის უამრავ საშუალებას მისცა. გადავწყვიტეთ, თქვენს სამსჯავროზე სხვადასხვა გაზეთისა და რადიოსადგურის ვებგვერდებზე გამოქვეყნებული მასალების ნაკრები გამოვიტანოთ. ასე, ალბათ, უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებთ და ინტერვიუც უფრო საინტერესოდ წასაკითხი იქნება.


მანუელ პელეგრინი და ხორხე ვალდანო პრეზენტაციაზე

**- პელეგრინი, ყველა მწვრთნელისთვის საოცნებო თანამდებობაზე დანიშვნას გილოცავთ...**

- დიდი მადლობა. „რეალის“ მწვრთნელობა ჩემთვის უდიდესი პატივია. არ დაგილამავთ, როცა ესპანეთში სამუშაოდ მოვდიოდი, იმედი მქონდა, რომ ადრე თუ გვიან სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადავბარგდებოდი და მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ კლუბს ჩავიბარებდი. გამოგიტყდებით, „რეალში“ მოსვლას უფრო ადრე ვგეგმავდი, მაგრამ ამაზე ახლა აღარ ვნაღვლობ. ხომ გაგიგიათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო (იცინის).

**- იძულებული ვარ, ბანალური კითხვა დაგისვათ. „რეალში“ რა გეგმებით მოხვედით?**

- ჩემი გეგმები ისევე მასშტაბური და დიადია, როგორიც თავად მადრიდის „რეალი“. ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ სამეფო კლუბში სრულიად ახალი ერა იწყება. მე სწორედ ამ ახალი ეპოქის დასაწყებად მომიწვიეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მეკისრება. სამეფო კლუბის მწვრთნელობა უდიდესი პატივია, თუმცა საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ „ბერნაბეუზე“ მუშაობა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასთანაცაა დაკავშირებული. „ვილიარეალში“ დაუვიწყარი წლები გავატარე. მიმაჩნია, რომ ძალიან ბევრი რამ გავაკეთე, მაგრამ „რეალში“ ამით არავინ დაკმაყოფილდება. როგორც იცით, „ყვითელი წყალქვეშა ნავით“ მრავალი წელი დავცურავდი, მაგრამ გუნდი ესპანეთის ჩემპიონი ერთხელაც ვერ გავხადე. მიუხედავად ამისა, არ გამაგდეს. პირიქით, მადლობას მიხდიდნენ და თანამშრომლობის გახანგრძლივებას მთავაზობდნენ. ბუნებრივია, „რეალში“ ასეთი ფუფუნება არ მექნება.

**- გასაგებია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „ვილიარეალისა“ და „რეალის“ ფინანსური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, ამ ორი გუნდის მიზნები და ამოცანებიც განსხვავებულია...**

- გეთანხმებით, მაგრამ პრინციპი მაინც ერთია. „ვილიარეალი“ ყოველი სეზონის წინ რაღაც ტიტულის მოპოვებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ეს მიზანი მიუღწეველი რჩებოდა. ბუნებრივია, ამით ბედნიერი არავინ იყო, მაგრამ იმ გუნდის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღებისას რამდენიმე პრინციპით ხელმძღვანელობდა, თუ ისინი გუნდის პროგრესს დაინახავდნენ, რადიკალურ გადაწყვეტილებას არ იღებდნენ. ანუ სენიორ როიგი მიიჩნევდა, რომ „ვილიარეალი“ პროგრესირებდა და უკან არ იხევდა. ის აბსოლუტურად სწორად აფასებდა სიტუაციას, მაგრამ დასამალი არ არის, რომ ეს მსოფლმხედველობა მადრიდელებისთვის სრულიად მიუღებელია. წინასწარ ვაცხადებ, თუ მომავალი სეზონის ბოლოს გუნდს მინიმუმ ორ ტიტულს ვერ მოვაპოვებინებ, თანამდებობას დამატოვებინებენ. წარმოგიდგენიათ? პირველივე სეზონში მინიმუმ ორი ჯილდო უნდა მოვიპოვო. ეს საკმაოდ რთულია.

**- გვარდიოლასთვის იოლი აღმოჩნდა - „ბარსელონას“ მან პირველივე სეზონში სამი ტიტული მოუტანა...**

- ეს ფენომენური შედეგი იყო. გვარდიოლას მთელი გულით ვულოცავ. მისი წარმატება ჩვენთვის სამაგალითო შემთხვევა უნდა გახდეს.

**- რას გულისხმობთ?**

- მათ ერთბაშად სამი ტიტული დაისაკუთრეს და ამით დაამტკიცეს, რომ ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია. სამეფო კლუბმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს შედეგი გაიმეოროს. თანაც, პირველივე სეზონში. წელს კატალონიელებს მთელი სამყარო ტაშს უკრავდა. ეს აპლოდისმენტები გაისად ჩვენ უნდა მოვიხვეჭოთ. მოკლედ, „ბარსელონა“ ტახტიდან უნდა ჩამოვაგდოთ. მე და ჩემი ბიჭები პრიმერა დივიზიონში რევოლუციას მოვახდენთ და თეთრ ჰეგემონიას დავამყარებთ.

**- ზედმეტად აჟიტირებული ხომ არ ხართ? ხომ არ შიშობთ, რომ მეტისმეტად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი?**

- არა. პესიმისტ მწვრთნელს სამეფო კლუბში არაფერი ესაქმება. დიახ, მე ოპტიმისტი ვარ და ამ ოპტიმიზმს რამდენიმე ფაქტი განაპირობებს. პირველ რიგში ის მახარებს, რომ გუნდის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი იქნება. ეს ის ადამიანია, რომელმაც თეთრ იმპერიას ფენომენური წარმატებები მოუტანა. მე მჯერა ფლორენტინოსი და ეჭვი არ მეპარება, რომ ის გუნდს ძველ დიდებას დაუბრუნებს. ბუნებრივია, ამ საქმეში ძალიან დიდი წვლილი უნდა შევიტანო.

**- გულშემატკივრებს რას ჰპირდებით? „რეალს“ როგორ გუნდად აქცევთ?**

- ჩვენ რამდენიმე მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. „რეალმა“ ტიტულები უნდა დაიბრუნოს, მაგრამ ამ მიზანს მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი ფეხბურთის თამაშით უნდა მივაღწიოთ. სხვაგვარად ჩვენ ისტორიაში ვერ შევალთ. შეიძლება, ჩემპიონები გავხდეთ, მაგრამ საზოგადოებას ლამაზი ფეხბურთით თავი ვერ დავამახსოვროთ. პირადად მე, ეს არ დამაკმაყოფილებს. როცა ძველი დიდების დაბრუნებაზე ვლაპარაკობ, პირველ რიგში სამეფო კლუბის ღირებულებების დაბრუნებასა და მის ერთგულებას ვგულისხმობ.

**- გულწრფელად მითხარით, მზად ხართ „რეალში“ სამუშაოდ?**

- დიახ, გულწრფელად გიპასუხებთ. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პირდაპირ სამხრეთ ამერიკიდან რომ მოვსულიყავი, ძალიან გამიჭირდებოდა. როცა ერთი კონტინენტიდან მეორეზე მიდიხარ, ძალაუნებურად პრობლემები გექმნება. საბედნიეროდ, ეს გზა მე უკვე გამოვლილი მაქვს. ადაპტაცია ჯერ კიდევ „ვილიარეალში“ მოღვაწეობის პირველ ეტაპზე გავიარე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შემიძლია, მოგახსენოთ, რომ „რეალში“ სამუშაოდ მზად ვარ. პრიმერა დივიზიონს ძალიან კარგად ვიცნობ. საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ბუნებრივია, ამ გამოცდილებას ჩემს ახალ კლუბს მოვახმარ.

**- თქვენი აზრით „რეალს“ ძველი დიდების დასაბრუნებლად რა სჭირდება?**

- აღმაფრენა, გატაცება, პროფესიონალიზმი და შემოქმედება.

**- შეგიძლიათ, უფრო განავრცოთ?**

- აღმაფრენის გარეშე ლამაზად ვერასოდეს ითამაშებ. თუ გატაცება არ გაქვს, ესე იგი ფეხბურთელი არ ყოფილხარ. პროფესიონალიზმზე აღარაფერს ვიტყვი. შემოქმედება კი ისევ და ისევ სილამაზეს სჭირდება. დასამალი არ არის, რომ ბოლო დროს „რეალში“ „რეალის“ ღირებულებები გახუნდა. ამას ბევრი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. დიდი წარმატებების შემდეგ გუნდს ჩავარდნა დაეწყო. ალბათ, არავის ეგონა, რომ კრიზისი ამდენ ხანს გაგრძელდებოდა. არა უშავს, ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ. მთავარია, რომ სწორი გეგმა შევიმუშაოთ და ამ გეგმას მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ.

**- პელეგრინი, დასახული ამოცანების გადასაჭრელად შემადგენლობის ძირეულად გადახალისება საჭირო?**

- დასამალი არ არის, რომ ყველაზე ამბიციური ამოცანების გადასაჭრელად კონკურენტუნარიანი შემადგენლობაა საჭირო. დღევანდელ ფეხბურთელებზე ჯერ ვერ ვისაუბრებ, რადგან მე მათთან არ მიმუშავია. მიუხედავად ამისა, უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ შემადგენლობაში სერიოზული ცვლილება განხორციელდება. ჩვენ მსოფლიო დონის ვარსკვლავები გვჭირდება. „ბარსელონას“ წარმატებაზე დღეს ყველა აღფრთოვანებით საუბრობს, მაგრამ თავად გვარდიოლა ამბობს, რომ ფეხბურთელების გარეშე ერთ ტიტულსაც ვერ მოიპოვებდა. პეპისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა განვაცხადო, რომ კატალონიელების მთავარი მწვრთნელი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ქადაგებს. პრაქტიკულად შეუძლებელია, მეორეხარისხოვანი ფეხბურთელებით ყველაზე ლამაზი ფეხბურთი ითამაშო, სტაბილურობა შეინარჩუნო და ტიტულები მოიპოვო.

**- ვინ არის თქვენი უპირველესი ფავორიტი?**

- ამ კითხვას ახლა ვერ ვუპასუხებ. მე ერთი რამ ვიცი, უჩემოდ ტრანსფერები არ განხორციელდება. ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებებს ჩემთან შეუთანხმებლად არ მიიღებს. სენიორ პერესთან ინტენსიური ურთიერთობა მექნება. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ხორხე ვალდანო იქნება ჩართული. ერთობლივი ძალისხმევით, საუკეთესო ფეხბურთელებს გადმოვიბირებთ და გუნდს ავაღორძინებთ. გულშემატკივრებმა სულ ცოტა ხანი უნდა გვაცადონ და სამეფო კლუბის მეორედ დაბადების მომსწრენი გახდებიან. არ იფიქროთ, რომ განდიდების მანია შემეყარა. არავითარ შემთხვევაში. ჩემს ოპტიმიზმს წარმატებული გუნდი განაპირობებს. შეგახსენებთ, ფლორენტინო პერესმა და მისმა გუნდმა ფენომენურ წარმატებებს მიაღწიეს. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ წინ კიდევ უფრო დიდი წარმატებები გველოდება.

**- „ვილიარეალიდან“ წასვლამ გული არ დაგწყვიტათ?**

- კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩემს ყოფილ გუნდში უდიდეს წარმატებებს მივაღწიე. ჩვენ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ვითამაშეთ. მცირერიცხოვანი ქალაქის გუნდი მთელ მსოფლიოს გავაცანით. „ელ მადრიგალზე“ მართლაც უბედნიერესი წლები გავატარე, მაგრამ უსასრულოდ არაფერი გრძელდება. მივხვდი, რომ ერთი დიდი ეტაპი დასრულდა და ცხოვრებამ უდიდესი გამოწვევის წინაშე დამაყენა. ამ გამოწვევაზე უარის თქმა ლაჩრობა იქნებოდა. ყველაზე მეტად კი ლაჩარი მამაკაცები მძულს. ვალდებული გახლდით, „ვილიარეალი“ დამეტოვებინა და ყველაზე დიდი ამბიციების მქონე კლუბში დამეწყო მუშაობა. ამთავითვე შემიძლია მოგახსენოთ, რომ ამ ნაბიჯს არც ერთ შემთხვევაში არ ვინანებ. თუ თავმოყვარე მწვრთნელი ხარ, ასეთმა გამოწვევამ არ უნდა შეგაშინოს.

**- კაკა მადრიდელია?**

- რამდენადაც ვიცი, ეს საკითხი თითქმის მოგვარებულია. კაკა სამეფო კლუბის ლიდერი, სიმბოლო და გმირი გახდება. ერთი სული მაქვს, შვებულება როდის დამთავრდება და მუშაობას შევუდგები. პრეტემპორადას ძალიან ნაყოფიერად ჩავატარებთ. გულშემატკივრები „რეალის“ გასაოცარ ტრანსფორმაციას ჯერ კიდევ მომავალი სეზონის დაწყებამდე დაინახავენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ჩელსი

# პირველი მერცხალი სტემფორდ ბრიჯზე



დენიელ სტარიჯი

„სტემფორდ ბრიჯზე“ **კარლო ანჩელოტის** ერა უკვე დაიწყო: გუნდმა გუშინ დილას „მანჩესტერ სიტის“ 19 წლის უნიჭიერესი თავდამსხმელი **დენიელ სტარიჯი** გადაიბირა. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა „ქალაქელებს“ კვირაში 55 ათასი გირვანქა მოსთხოვა. **მარკ ჰიუზმა** მიიჩნია, რომ ფეხბურთელის მადა მის პოტენციალს არ შეესაბამებოდა. პრინციპში, ეს კარგა ხნის წინ მოხდა და ის, რომ დენიელი „სიტი ოფ მანჩესტერზე“ არ დარჩებოდა, ისედაც ცნობილი იყო. სტარიჯმა „ჩელსის“ თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურა. ფეხბურთელი წელს „სიტის“ შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. სასტარტო შემადგენლობაში ის სულ სამჯერ მოხვდა, შეცვლაზე კი 13-ჯერ შევიდა. მის ანგარიშზე 4 გოლი და 3 საგოლე გადაცემაა. ყველაზე მეტად ფეხბურთელის „ჩელსიში“ გადაბირება კლუბის სპორტულ დირექტორ **ფრანკ არნესენს** სურდა და როგორც ხედავთ, დანიელმა ჩინოსანმა მიზანს მიაღწია.

„დეილი მეილის“ აზრით, „არისტოკრატების“ ბოსები ყველაფერს გააკეთებენ, რათა **გუუს ჰიდინკის** რეკომენდაციები გაითვალისწინონ. ჰოლანდიელმა **რომან აბრამოვიჩი** შემადგენლობის გაახალგაზრდავების აუცილებლობაში დაარწმუნა. ამ მიზნით, ისინი „მილანიდან“ კარლეტოს ყოფილ შეგირდ **ალეშანდრე პატოს** გადაბირებენო, გვარწმუნებს ავტორიტეტული გამოცემა. მასმედია იმასაც წერს, რომ აპენინელმა სპეციალისტმა რომან არკადიჩი დაარწმუნა, კლუბს „ჩელსის“ ლიდერის, **დიდიე დროგბასთვის** ახალი, სამწლიანი კონტრაქტი შეეთავაზებინა. მიუხედავად იმისა, უეფა რამდენად მკაცრად დასჯის ფეხბურთელს „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის დასრულების შემდეგ მომხდარი სკანდალის გამო, ივუარელი ფეხბურთელი „სტემფორდ ბრიჯზე“ დარჩება.

სეზონი ჯერ ხეირიანად დასრულებული არც იყო, რომ ევროპულმა გრანდებმა ვარსკვლავებზე ტაციობა ატეხეს. ბოლო დღეებში ყველაზე მეტი სწორედ „მილანის“ ვარსკვლავ **კაკაზე** ინერება. გუშინწინ ესპანურმა გამოცემა „მარკამ“ გვამცნო, რომ „მილანმა“ ფეხბურთელი „რეალში“ გაყიდა. გუშინ შუადღეზე „მილანის“ ოფიციალური განცხადება გამოქვეყნდა, სადაც „როსონერი“ გარიგების ფაქტს უარყოფს. ამასობაში კი „ჩელსი“ დანებებას არ აპირებს. „ინდეპენდენტის“ ცნობით, „ჩელსი“ მზადაა, „მილანს“ იმაზე მეტი გადაუხადოს, ვიდრე სამეფო კლუბი ჰპირდება (80 მილიონი ევრო 60-ის წინაალმდეგ), რაც შეეხება ფეხბურთელს, ლონდონელები ბრაზილიელს იმაზე მეტს შესთავაზებენ (კვირაში 150 ათას გირვანქას), ვიდრე მადრიდელები. ამრიგად, ჯერ ყველაფერი დასრულებული არ არის.

აქვე გაცნობებთ „ჩელსის“ კიდევ ერთი სატრანსფერო მიზნის შესახებაც: რამდენიმე დღის წინ რუსულმა გაზეთებმა ცსკა-ს განაპირა უნივერსალის **იური ჟირკოვის** ლონდონური ტრანსფერი გადაწყვეტილად გამოაცხადეს, თუმცა ფეხბურთელი თავად დაუკავშირდა „სპორტ ექსპრესს“ და განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. აღმოჩნდა, რომ ჯერჯერობით მოსკოვურ კლუბს ლონდონელებისგან ოფიციალური წინადადება არც კი მიუღია.

**შალვა ბიბილაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ბაიერნი ნოიერს არ უშვებს

## თუ მანუელი მიუნხენში წავა, გელზენკირხენში მას ვინ შეცვლის –

„შალკეს“ მეკარემ, **მანუელ ნოიერმა** გერმანიის ნაკრებში სადებიუტო მატჩი (7:2 არაბეთის გაერთიანებულ საამიროებთან) შესანიშნავად ჩაატარა და ექსპერტებისგან ქება-დიდება დაიმსახურა. 23 წლის პერსპექტიულმა მეკარემ მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა და შეხვედრის შემდეგ, ქება **ოლივერ კანისგანაც** დაიმსახურა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელები ნოიერს არ ეშვებიან და ყველანაირად ცდილობენ, მანუელი მიუნხენში გადაიყვანონ.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ნოიერს „ბაიერნში“ მოსალოდნელ ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა და უნდა ითქვას, რომ „შალკეს“ მეკარემ არც არაფერი უარყო და არც არაფერი დაადასტურა: *„მე ნურაფერს მეკითხებით, ეს საკითხი კლუბების გადასაწყვეტია. მე „შალკესთან“ კონტრაქტი მაკავშირებს. გამორიცხული არასდროს არაფერია. ფაქტი კი ის არის, რომ „შალკეს“ ვეკუთვნი.“*

ლეგენდარული ოლივერ კანი კი ფიქრობს, რომ „ბაიერნისა“ და „შალკეს“ ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობს. *„ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ როდესაც ასეთი კომენტარები კეთდება, ე.ი. მართლაც მიდის მოლაპარაკებები,“* - აცხადებს კანი. გარკვეული და დადასტურებული ის არის, რომ ნოიერი „ბაიერნის“ ბოსების სასურველი ფეხბურთელების სიაში პირველ ადგილზეა. მეტიც, მანუელის შეძენა თვით **ლუის ვან გაალს** მოუთხოვია. ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ ნოიერი უკვე მიუნხენშიც იმყოფებოდა, სადაც „ბაიერნის“ მენეჯერ **ული ჰიონესთან** მოლაპარაკებები გამართა, თუმცა ეს ცნობა ოფიციალურად არ დადასტურებულა. „შპორტ ბილდი“ კი იტყობინება, რომ „შალკეს“ ახალი დამრიგებელი **ფელიქს მაგათი** უკვე ზრუნავს ნოიერის შემცვლელის შეძენაზე და მიზანი „ვერდერის“ კარის დარაჯ **ტიმ ვიზესკენ** მიმართა.



მანუელ ნოიერმა გერმანიის ნაკრებში ითამაშა

## ზე რობერტო მიდის. სიტიში?

უკვე გადაწყვეტილია, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი **ზე რობერტო** „ბაიერნს“ დატოვებს. როგორც გაირკვა, 34 წლის შუახაზელი რეკორდმაისტერის შეფებს ახალ კონტრაქტზე ვერ შეუთანხმდა, რის გამოც მიუნხენს ახლავე დატოვებს. „კიკერის“ ინფორმაციით, ზე რობერტო ორწლიან კონტრაქტს ითხოვდა, „ბაიერნის“ შეფები კი მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობდნენ, რაზეც ბრაზილიელმა უარი თქვა.

*„გული დამწყდა, რადგან მიუნხენში დარჩენა მინდოდა, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორწლიან კონტრაქტს გამიფორმებდნენ. მაგრამ გუნდის ხელმძღვანელებს თავიანთი მოსაზრებები აქვთ და მეც იძულებული ვარ, მათი გადაწყვეტილება მივიღო და „ბაიერნიდან“ ავიბარგო,“* - განუცხადა ზე რობერტომ „მიუნხენერ თაგესცაითუნგს“.

რეკორდმაისტერის მენეჯერი ჰიონესი ამ გადაწყვეტილებას ასე ასაბუთებს: *„დაუშვებელია ის, რომ 32 წლის ვან ბომელს მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გავუფორმოთ, ხოლო 34 წლის ზე რობერტოს ორწლიანი ხელშეკრულება შევთავაზოთ.“* „კიკერის“ ცნობით, ზე რობერტოს გადაბირება „მანჩესტერ სიტის“ უნდა.

„კიკერის“ ცნობით, ორშაბათს ჰიონესი და „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ვან გაალს შეხვდნენ და სამომავლო გეგმებზე ესაუბრნენ. ამავე შეხვედრაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ვან გაალის პირველი ასისტენტი **ჰერმან გერლანდი** იქნება, რომელიც აქამდე „ბაიერნის“ მეორე გუნდს წვრთნიდა. ვან გაალი გერლანდს შეხვდა და თანახმაა, ჰერმანი მისი მარჯვენა ხელი იყოს. „ბაიერნის“ მეორე გუნდს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, **მეჰმეთ შოლი** გაწვრთნის.

**გოტფრიდ ლენცი**

არსენალი

# იყიდება თუ არა ყველაფერი ფულზე?

რაც უნდა ამტკიცოს **არსენ ვენგერმა**, „არსენალის“ 22 წლის კაპიტნის **ფრანსესკ ფაბრეგასის** შესაძლო ტრანსფერზე საერთოდ არ ვფიქრობო, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მას ეს იდეა ერთხელ და ორჯერ არ გაჰკრავდა თავში. რატომ? აბა წარმოიდგინეთ, რამდენ პრობლემას გადაჭრიდა ერთი ხელის მოსმით ფრანგი მწვრთნელი? დიახ, ერთადერთი ტრანსფერი და მოსიე არსენის ხელში თითქოს ჯადოსნური ჯოხი აღმოჩნდებოდა. თუკი ვინმე ფიქრობს, რომ გუნდის ლიდერისა და მით უფრო კაპიტნის გასხვისება ასე იოლი გადასაწყვეტია, ის ცდება. აქ ხომ ლაპარაკი გვაქვს ფეხბურთელზე, რომელიც 2003 წლიდან „არსენალში“ თამაშობს და რომელსაც ექსპერტები თანამედროვეობის საუკეთესო მოთამაშეთა შორის ასახელებენ. მით უფრო, რომ ესპანელი, ვინც ლონდონში 16 წლიდან ცხოვრობს, კლუბს სამუდამო ერთგულებას ეფიცება და „ემირიტსიდან“ წასვლის გაგონებაც კი არ უნდა. რა თანხა უნდა გადაიხადონ მსურველებმა, რომ ვენგერმა ყველაფერ იმას, რაც ზემოთ ვახსენეთ, მიაფურთხოს და გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგას?

ვენგერს სასწრაფოდ სჭირდება ფული შემადგენლობის გასაძლიერებლად. თანაც, მას გამოცდილი და დაღვინებული მებრძოლები სჭირდება. გამოუცდელი და ცანცარა ბიჭები „ემირიტსზე“ ბურთს რომ აგორებენ, ისედაც ბევრნი არიან. შედეგი სხვანაირად არ მოდის და ამაში ვენგერი უკვე მრავალჯერ დარწმუნდა - ოთხი წელია, გუნდი მომავლის იმედად, მაგრამ ტიტულების გარეშე დაბორიალებს. ჩამორჩენა კი „დიდი ოთხეულის“ დანარჩენ წევრებთან თვალში საცემია. სწორედ აქ მივადექით მთავარ სათქმელს: ფაბრეგასში მსურველები 40 მილიონ გირვანქას იხდიან. ფინანსური კრიზისის პირობებში ხსენებული თანხა ყურს საამოდ ხვდება. ვენგერს უჭირს დადებითი პასუხის გაცემა, რადგან ყველამ იცის, რომ მის გარდა ფაბრეგასის გაყიდვაზე ნებართვას ვერავინ გასცემს - „არსენალის“ იერარქიაში ასეთი გამბედავი ადამიანები არ მუშაობენ. ვენგერის პოზიცია ერთია, მაგრამ ბოლო სიტყვა ფრანსესკს ეკუთვნის - მას წასვლაზე უარი თქმა შეუძლია. თუმცა განა ასე ადვილია დარჩე იქ, საიდანაც შენი გაშვება სურთ? თანაც, ფაბრეგსსაც უნდა ესმოდეს ვენგერის მდგომარეობა: ექვსი წლის წინ ფრანგმა მასში 750 ათასი გირვანქა(!) გადაიხადა, დღეს კი 40 მილიონად(!) არის შეფასებული. ცდუნება დიდია. არა, ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ მოსიე არსენს ფული გონებას უბნელებს, მაგრამ მას გუნდის მომავალი და მისი განვითარება ყველაზე მეტად აინტერესებს. „არსენალი“ უფრო მეტია, ვიდრე ფაბრეგასი. აი, ამაზე კამათს კი არავინ აპირებს. თანაც... სესკმა „არსენალის“ წინასასეზონო შეკრება გამოტოვა, რადგან ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი შეიქნა და მას კარგა გვარიანი დასვენება სჭირდებოდა. ამის გამო ის ოპტიმალურ ფორმაში სეზონის მსვლელობისას შედიოდა. ეს კი შემოდგომის მიწურულამდე ვერ მოხერხდა. დეკემბერში ყველაფერი ისევ თავდაყირა დადგა - ამჯერად, ტრავმის გამო. კაპიტანი აპრილამდე მინდორზე არ დაბრუნებულა. გუნდმა საფინალო სპურტი სწორედ მის გარეშე დაიწყო. შედეგად, „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ოთხეულში ადგილი გაინაღდა, გავიდა ლიგის მეოთხედფინალში და ინგლისის თასის ნახევარფინალში. „არსენალს“ შიდა რეზერვის ხარჯზე ნამდვილად შეუძლია ესპანელის შეცვლა. ამისთვის თუნდაც **სამირ ნასრის** დასახელებაც კმარა.

არ გეგონოთ, რომ რაიმე დასკვნას გთავაზობდეთ ან ფაბრეგასის სიდიადის დაკნინებას ვცდილობდეთ. ფაქტი ერთია: გუნდში რაღაც უნდა შეიცვალოს, თანაც კარდინალურად.

**შალვა ბიბილაშვილი**

ამბები

# ადვოკაატი ბელგიაში

**დიკ ადვოკაატი** თანახმაა, ბელგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრესსპიკერის განცხადებით, ჰოლანდიელ სპეციალისტთან კონტრაქტი კვირის ბოლოსთვის გაფორმდება. თუმცა ადვოკაატი, ჯერჯერობით, „ზენიტის“ დამრიგებლად რჩება. სანკტ-პეტერბურგში ის 1 იანვრამდე იმუშავებს, მერე კი მიაშურებს ბელგიას, სადაც 2-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. 61 წლის სპეციალისტის ჯამაგირი წელიწადში 600 ათასი ევრო იქნება. უპირველეს ამოცანად მას ბელგიის ნაკრების ევრო 2012-ის ფინალურ ეტაპზე გაყვანას დაუსახავენ. წარმატების შემთხვევაში მისი კონტრაქტი კიდევ წელიწადნახევრით გაგრძელდება.

**შალვა ბიბილაშვილი**



გამოვიდა ივნისის ნომერი

რომა

# სპალეტიმ ტურინი უარყო, პეროტა რჩება



„რომას“ მთავარი მწვრთნელის, **ლუჩანო სპალეტის** საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. სპალეტი სულ მალე „ჯალოროსის“ პრეზიდენტს, **როზელა სენსის** შეხვდება და სწორედ მასთან საუბრის შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. იქამდე კი ჟურნალისტები არ ისვენებენ და ლუჩანოს „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ. რამდენიმე დღის წინ, „ვეკია სენიორას“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ გუნდს მხოლოდ იტალიელი სპეციალისტი ჩაუდგებოდა სათავეში. ბუნებრივია, ამ განცხადების შემდეგ, სპალეტის შანსები კიდევ უფრო გაიზარდა. თუმცა, ჯერ კიდევ „რომას“ თავკაცი ტურინში გადაბარგების პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებს:

*„საუბრები იმის შესახებ, რომ დღე-დღეზე „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი გავხდები, აბსურდულია. დღეს „რომას“ მწვრთნელი ვარ და არ მაქვს გადაწყვეტილი, წავალ თუ არა საერთოდ „ჯალოროსიდან“. უახლოეს დღეებში როზელა სენსის შევხვდები და ყველაფერს მასთან საუბარში გავარკვევ. ტურინიდან არავინ დამკავშირებია და სამსახური არავის შემოუთავაზებია. შესაბამისად, ვერც იმის პერსპექტივას ვხედავ, რომ უახლოეს მომავალში „ვეკია სენიორას“ დამრიგებელი გავხდე. სიმართლე გითხრათ, „რომაში“ მუშაობა ჯერ კიდევ მინდა და იმედია, სენსისთან შეხვედრა ამ კუთხით დადებით შედეგამდე მიგვიყვანს. ვიცი, რომ ჩემი გაშვება არც კლუბის მესვეურებს სურთ, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს“.*

„რომაში“ დარჩენა-არდარჩენის დილემა მხოლოდ სპალეტის არ უდგას. ფეხბურთელთა უმეტესობა სწორედ ამგვარ ვითარებაშია და ისინიც იმას აცხადებენ, რომ ყველაფერი უახლოეს მომავალში გადაწყდება. ერთადერთი, ვინც ხელშეკრულების გაგრძელებას დათანხმდა და კონტრაქტს ხელიც მოაწერა, ჩერნოგორიელი **მირკო ვუჩინიჩი** გახლავთ. გუშინ, კლუბისადმი ერთგულება გამოხატა **სიმონე პეროტამაც**. ფეხბურთელმა მისი აგენტის ენით შემოგვითვალა, რომ კარიერის დასრულებას „ჯალოროსიში“ აპირებს. მოვუსმინოთ **ჯუზეპე ბოცოს**:

*„ბოლო დღეებში, არაერთი ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ ჩემი კლიენტი „რომადან“ წასვლას აპირებს. არადა, ეს ასე ნამდვილად არ არის. პირიქით, სიმონეს კარიერის დასრულება „ჯალოროსიში“ სურს და ამის შესახებ, კლუბის მესვეურებს უკვე აცნობა კიდეც. სასიხარულოა, რომ პეროტას ამ გადაწყვეტილებას როზელა სენსი დიდი კმაყოფილებით შეხვდა. ისე კი, ვადასტურებ, რომ სიმონეს გადაბირება არაერთ ევროპულ გუნდს სურს. სხვებზე მეტად „ფიორენტინა“, „ბაიერნი“, „ვოლფსბურგი“ და „ლიონი“ აქტიურობენ. დიახ, საკმაოდ სერიოზულ კლუბებზეა საუბარი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პეროტა რომიდან წასვლას არ აპირებს“.*

მოსალოდნელი ტრანსფერები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იანსენი იუვენტუსში?

## კონტე გამოირიცხა

„იუვენტუსის“ მესვეურები გუნდის გაძლიერებისთვის ძალებს არ იშურებენ და პირველი შედეგები უკვე აქვთ. „ტუტო სპორტმა“ კლუბის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებში გამოკითხვა ჩაატარა და მათ ორი კითხვით მიმართა: რამდენად აკმაყოფილებთ ქომაგებს სატრანსფერო პოლიტიკა და რომელ მწვრთნელზე შეაჩერებდნენ არჩევანს? როგორც იცით, „ვეკია სენიორას“ მესვეურებს ჯერაც არ გადაუწყვეტიათ თუ ვინ უთავკაცებს მომავალ სეზონში გუნდს.

შედეგების მიხედვით, კლუბის ხელმძღვანელთა სატრანსფერო პოლიტიკას ტიფოზები სრულ მხარდაჭერას უცხადებენ და მეტად კმაყოფილები არიან. სხვა შედეგი ძნელად წარმოსადგენი იყო, რადგან ამ ეტაპისთვის „იუვე“ მთელი ევროპის მასშტაბით მართლაც ყველაზე აქტიურია. **დიეგოს** სახით, კლუბმა ნახევარდაცვის რგოლში სერიოზული შევსება მიიღო, **ფაბიო კანავარო** კი დაცვას აუცილებლად გააძლიერებს. თანაც, ტურინელები გაჩერებას არ აპირებენ და ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ერთ-ერთი მათგანი **ანტონიო კასანო** გახლავთ, ფეხბურთელი, რომელსაც ნიჭით ბევრი **ალესანდრო დელ პიეროზე** მაღლაც აყენებს. შესაძლოა, სწორედ პინტურიკიოს შემცვლელს ხედავენ პიემონტელები ანტონიოში და ამადაც სურთ მისი გადაბირება. გუშინ, „ტუტოსპორტმა“ კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა - თურმე, **ჯოვანი კობოლი ჯილის** „ჰამბურგის“ ახალგაზრდა ნახევარმცველის, **მარსელ იანსენის** ყიდვა სდომებია და ალბათ, უახლოეს დღეებში, ამ მიმართულებით ნაბიჯებსაც გადადგამს. იანსენი 23 წლის გახლავთ და ძირითადად მარცხენა ფლანგზე ირჯება. ნათელია, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელს **პაველ ნედვედის** შემცვლელად მოიაზრებენ.

რაც შეეხება მთავარი მწვრთნელის საკითხს, აქ გამოკითხვაში მონაწილეთა უმეტესობამ მხარი **ჩირო ფერარას** დაუჭირა. „ვეკია სენიორას“ ჯერ კიდევ დროებითმა დამრიგებელმა **ანტონიო კონტეს** და **ლუჩანო სპალეტის** გვარიანი ფორით აჯობა. გუშინვე საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა საფეხბურთო კლუბ „ბარის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა. საქმე იმაშია, რომ კონტემ „ბარისთან“ ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ამით, მისი კლუბიდან შესაძლო წასვლა გამორიცხა, შესაბამისად, ანტონიოს ტურინში დაბრუნება გაურკვეველი დროით გადაიდო. ამით კიდევ უფრო გაიზარდა ჩირო ფერარას შანსები, რომელსაც ფეხბურთელთა უმეტესობაც უჭერს მხარს.

ტრანსფერის მოლოდინში

# რა ხდება კაკას თავს?

## რატომ ჩავიდა გალიანი მადრიდში...

მოკლედ, **კაკას** გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება. მასმედიის სხვადასხვა საშუალებები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებენ. ორიოდე დღის წინ, კაკას კომენტარი გამოქვეყნდა, რომელშიც სამხრეთამერიკელი „მილანის“ ერთგულებას ფიცულობდა და „რეალში“ გადასვლას კატეგორიულად უარყოფდა, გუშინ კი სულ სხვაგვარი ამბები გავრცელდა. ესპანურ მედიას იტალიურიც აყვა და ახლა უკვე აპენინელებიც ამტკიცებენ, რომ რიკის „რეალში“ გადაბარგება ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ყველაზე უფრო კატეგორიული „სქაი იტალია“ აღმოჩნდა, რომელიც კაკას „რეალის“ მაისურში გამოწყობასაც კი არ მოერიდა. როგორც ჟურნალისტი იუწყება, მადრიდში „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** შენიშნეს, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა შემდგარი გარიგების. თუმცა გუშინვე აღნიშნულ საკითხზე განცხადება გააკეთა „მილანის“ პრესსამსახურმა. განცხადებას აქვე გთავაზობთ:

*„ვადასტურებთ, რომ ადრიანო გალიანი მადრიდში ბრძანდებოდა. თუმცა ის რომ ეს ვიზიტი კაკას ტრანსფერს უკავშირდებოდა, სრული აბსურდია. გალიანი ფლორენტინო პერესის გაპრეზიდენტების აღსანიშნავ ვახშამს დაესწრო და „რეალის“ ახალ ხელმძღვანელს გამარჯვება მიულოცა“.*

როგორც ხედავთ, „მილანმა“ შემდგარი გარიგება არ დაადასტურა, მაგრამ საგულისხმოა, რომ განცხადებაში კაკას ხელშეუხებლობის შესახებ არაფერია ნათქვამი. როგორც წესი, ასეთ სიტუაციებში „მილანის“ მესვეურები სწორედ იმას ამბობდნენ, რომ რიკის გაყიდვა გამორიცხული გახლდათ. კაკას შესაძლო ტრანსფერს, მისი თანამემამულე, **ალეშანდრე პატო** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:



*„ჯერჯერობით კაკა „მილანის“ ფეხბურთელია და ტრანსფერზე, როგორც შემდგარ ფაქტზე, საუბარი არ შეიძლება. რიკის ყოველთვის ჰყავდა მსურველები, თუმცა ის ყოველთვის „როსონერის“ ერთგული რჩებოდა. თუმცა, კარგად მესმის, რომ ერთ დღესაც ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს და ფეხბურთელს ძალების მოსინჯვა სხვაგან მოუნდეს. იმედია, მოვლენათა განვითარებით ყველა მხარე კმაყოფილი დარჩება: კაკაც, „მილანიც“ და იგივე „რეალიც“. მთავარი სწრედ ეს არის, თუ რიკი თავს მადრიდში უკეთ იგრძნობს, მისი აზრის პატივისცემა ყველას ერთად მოგვიწევს. ისე არ გამიგოთ, თითქოს კაკას წასვლას ველოდები და ასე ამადაც ვსაუბრობ, არა, ხომ გეუბნებით, ჯერ ვითარება ბურუსით გახლავთ მოცული“.*

პატოს, მის სამომავლო გეგმებზეც მოუხდა საუბარი, ინგლისელი ჟურნალისტები მას „ჩელსიში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ:

*„ვერაფერს გეტყვით, რადგან ლონდონიდან ჩემთვის არავის დაურეკავს. თანაც, სიმართლე გითხრათ, „მილანიდან“ წასვლის არავითარი სურვილი არ მაქვს. აქ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი და არაერთი ტიტული მოსაგები. ასე რომ, არსად წასვლაზე არ ვფიქრობ. კარლო ანჩელოტისთან მუშაობა ერთ რამედ ღირს, მაგრამ პირადად მე, ლეონარდოსთანაც შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ვფიქრობ, რომ მასთან ერთად „მილანი“ დიდ წარმატებებს მიაღწევს“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ჰოლანდია. ერედივიზიონი. შეჯამება


ლუის ვან გაალის საჩემპიონო მისია შესრულებულია

# ვან გაალი: ალკმაარში ვერ დავრჩებოდი...

ჰოლანდიის ბოლო ჩემპიონატი ძალზე უცნაურად წარიმართა. ფეხბურთის გულშემატკივარი მიჩვეულია იმას, რომ ერედივიზიონში, როგორც წესი, პირველობისთვის „დიდი სამეული" იბრძვის - „ეინდჰოვენი", „აიაქსი" და „ფეიენოორდი". წელს ყველაფერი „უკუღმართად" წარიმართა - ლამის მთელი სეზონი პირველ პლანზე „ალკმაარი" და „ტვენტე" იდგნენ. ჩემპიონობისთვის მხოლოდ „აიაქსმა" გაიბრძოლა, მაგრამ რბოლას ისიც ვადაზე ადრე ჩამოსცილდა. მაშ ასე, ვეცადოთ, ჰოლანდიური სეზონი ზოგადად შევაჯამოთ.

### ჩემპიონი
**ალკმაარი**

„ალკმაარმა" 2007/08 სეზონი სუსტად ჩაატარა და არც ან დასრულებული ჩემპიონატი დაუწყია გადასარევად - სასტარტო ტურებში ლუის ვან გაალის გუნდმა ორი მარცხი იწვნია (შინ „ბრედასთან" 1:2 და „დენ ჰააგთან" გასვლაზე 0:3). გუნდის ალმავლობა 20 სექტემბერს, მე-3 ტურიდან დაიწყო, როცა „ალკმაარმა" მოქმედი ჩემპიონი „ეინდჰოვენი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მართლა შემობრუნების წერტილად იქცა. ამ დღეს დაიწყო მომავალი ოქროსმედალოსნების 28-თამაშიანი წაუგებელი სერია. სერია 2009 წლის 18 აპრილს დასრულდა - „ალკმაარმა" „ვიტესთან" საშინაო არენაზე გამართულ შეხვედრაში დათმო სამი ქულა. სხვათა შორის, ამ წარუმატებლობას ხელი არ შეუშლია გუნდისთვის, რომ მეორე დღეს, ერედივიზიონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, ჩემპიონობა გაენალდებინა - „აიაქსმა" „ეინდჰოვენთან" სამარცხვინო ანგარიშით, 6:2 წააგო. ამრიგად, „ალკმაარისთვის" ეს პირველი საჩემპიონო ტიტული იყო შორეული 1981 წლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ გუნდმა 34 ტურში სულ რაღაც 22 გოლი გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ ვან გაალის შეგირდებმა სახელოვანი მეტოქეები „აიაქსი" და „ეინდჰოვენი", შესაბამისად, 12 და 15 ქულით ჩამოიტოვეს, მათზე ნაკლები გოლი გაიტანეს.

### თასის ფინალი
**ჰეერენვეენი-ტვენტე 2:2, პენ 5:4**

„ჰერენვეენის" წინა მცდელობები (სულ ორი), როგორმე ჰოლანდიის თასი მოეპოვებინა, წარუმატებლად მთავრდებოდა. მესამე ფინალი კი იღბლიანი აღმოჩნდა. „ჰერენვეენი" მაკედონიელმა მცველმა **გორან პოპოვმა** 27-ე წუთზე დააწინაურა, თუმცა **ელერო ელიამ** შესვენების შემდეგ წონასწორობა აღადგინა. დამატებით დროში თავი გამოიჩინა **ბონავენტურ კალუმ**. თუმცა **სტივ მაკლარენის** შეგირდებმა 117-ე წუთზე ანგარიში ისევ საყაიმო გახადეს. დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც უფრო გამძლე ნერვები ნორვეგიელი **ტრონდ სოლიდის** ბიჭებს აღმოაჩნდათ. ამრიგად, „ჰერენვეენმა" ისტორიაში პირველი სერიოზული ტიტული მოიგო.

### ევროთასების საგზურები
**ჩემპიონთა ლიგა.**
**ჯგუფური ეტაპი:** ალკმაარი
**ჩემპიონთა ლიგა.**
**მესამე საკვალიფიკაციო**
**ეტაპი:** ტვენტე
**ევროპის ლიგა.**
**პლეი ოფის ეტაპი:** აიაქსი
**ევროპის ლიგა. პლეი ოფის**
**ეტაპი:** ჰეერენვეენი
**ევროპის ლიგა. მესამე**
**საკვალიფიკაციო**
**ეტაპი:** ეინდჰოვენი
**ევროპის ლიგა.**
**მეორე საკვალიფიკაციო**
**ეტაპი:** ბრედა

### საუკეთესო ფეხბურთელი
**მუნირ ელ ჰამდაუი** (ალკმაარი)

მაროკოს ნაკრების თავდამსხმელი **მუნირ ელ ჰამდაუი** „ალკმაარში" მეორე სეზონს ატარებს და ფორმის პიკს სწორედ ახლა მიაღწია. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ანგარიშზე 23 გოლია, რაც ნიშნავს, რომ ჩემპიონი გუნდის ყოველი მესამე გოლი სწორედ მან გაიტანა. „ალკმაარამდე" ფეხბურთელი „ექსელსიორის", „ტოტენჰემის", „დერბი ქაუნთისა" და „ვილემის" რიგებში თამაშობდა, თუმცა ასე შთამბეჭდავად არსად უასპარეზია.

### საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი
**ელერო ელია** (ტვენტე)

ელია ნომინალურად მარჯვენა თავდამსხმელია. მას „ტვენტეს" არც ერთი შეხვედრა არ გამოუტოვებია. ფეხბურთელის ანგარიშზე ცხრა გოლია. 22 წლის ფეხბურთელმა იმდენად შთამბეჭდავი თამაში აჩვენა, რომ მას **იოჰან კრუიფის** სახელობის პრიზი დიდი ჭოჭმანის გარეშე გადასცეს. გარდა საგოლე ალღოსი და საოცარი სისწრაფისა, ელერო ბრწყინვალე ტექნიკითაც არის დაჯილდოებული. ის ერთნაირად კარგად ირჯება ორივე ფეხით და შეუძლია ცენტრალურ თავდამსხმელადაც ითამაშოს. ელია „აიაქსის" აკადემიის აღზრდილია. ახალგაზრდული ნაკრების შემდეგ **ბერტ ვან მარვიიკმა** ის ეროვნულ გუნდშიც გამოიძახა.

### სეზონის სიურპრიზი
**ბრედა**

წინა სეზონი „ბრედამ" კლუბისთვის სარეკორდოდ მაღალ, მე-3 ადგილზე დაასრულა, თუმცა **რობერტ მასკაანტის** შეგირდებმა პლეი ოფების ეტაპზე ევროთასების საგზური დათმეს და ხახამშრალები დარჩნენ. ან დასრულებულ კამპანიაში კი ყველაფერი პირიქით მოხდა. გუნდმა მე-8 ადგილი დაიკავა და ევროპის ლიგის საგზურისთვის „ფეიენოორდს" შეერკინა. ამ გზაზე გუნდმა ჯერ ჰოლანდიის 14-გზის ჩემპიონებს, შემდეგ კი „გრონინგენს" სძლია. ამრიგად, მათ ევროპაში ფანჯარა გაჭრეს. *„ისეთი გრძნობა გვიპყრობს, თითქოს რაღაც ძალიან დიდი რამე მოვიგეთ,"* - განაცხადა „გრონინგენთან" შეხვედრის დასრულების შემდეგ 40 წლის მასკაანტმა.

### საუკეთესო ბომბარდირი
**მუნირ ელ ჰამდაუი,**
**23 გოლი** (ალკმაარი)

მაროკოელზე უკვე ვილაპარაკეთ და ზედმეტად თავს აღარ შეგაწყენთ.

### სეზონის რიცხვი: 50

პირველად, ბოლო 50 წლის განმავლობაში, ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის მფლობელებს შორის „დიდი ჰოლანდიური სამეულის" ერთი წარმომადგენელიც კი ვერ მოხვდა.

### სეზონის ციტატა

„ალკმაარის" მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ჩემპიონის ტიტულის განაღდებიდან რამდენიმე დღეში მიუნხენის „ბაიერნს" მოურიგდა. სამუშაოდ გერმანიას მიაშურა და განაცხადა: **„მას შემდეგ, რაც ჩვენი საჩემპიონო მისია შესრულებულია, წასვლის ნებართვას ვითხოვ. კმაყოფილი ვარ იმ ოთხი წლით, რომელიც აქ გავატარე. გულშემატკივრები მთხოვენ, რომ დავრჩე, რაც წარმოუდგენლად მსიამოვნებს, მაგრამ ასევე დადებითად მოქმედებს ჩემზე ის გარემოება, რომ „ბაიერნი" ყველაფერს აკეთებს ჩემს გადასაბირებლად. ეს თანამდებობა ბევრის ოცნებაა, ამიტომაც ვარ ასეთი ბედნიერი".**

შალვა ბიბილაშვილი

ამბები

## ბრუსი დაინიშნა

**სტივ ბრუსს** „უიგანის" ყოფილი დამრიგებელი ჰქვია. გუშინ 48 წლის სპეციალისტი ოფიციალურად დაინიშნა „სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი (1987/96 წლებში 400-მდე შეხვედრაში ითამაშა) „შავი კატების" თავკაცის პოსტზე უახლოესი სამი წლის განმავლობაში იმუშავებს და კვირაში 60 ათას გირვანქას მიიღებს. „უიგანიდან" მის კვალს გაჰყვებიან სტივის თანაშემწეებიც. ლაპარაკია **ერიკ ბლეკზე, ნაიჯელ სპრინკსა** და **კიტ ბერსკინზე.**

შალვა ბიბილაშვილი

## ბეილს ორთვიანი შვებულება

„ტოტენჰემის" 19 წლის უელსელ მარცხენა მცველ **გარეთ ბეილს** უახლოეს დღეებში მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ, რის შემდეგაც ის 7-დან 8 კვირამდე დაისვენებს, - გვამცნობს „მამლების" ოფიციალური საიტი. ფეხბურთელი გუნდს მხოლოდ წინასასეზონო მომზადების დასრულების შემდეგ შეუერთდება.

შალვა ბიბილაშვილი

## ყველაზე მდიდარი დირექტორები

ინგლისურმა გამოცემა „გარდიანმა" ინგლისის ყველაზე მაღალანაზღაურებადი დირექტორების ვინაობა დაადგინა და თავის მკითხველს გააცნო. მიგვაჩნია, რომ ეს ინფორმაცია არც ჩვენი მკითხველისთვის უნდა იყოს უინტერესო. შენიშვნის სახით გეტყვით, რომ მონაცემები 2007/08 წლების სეზონის მიხედვით არის შედგენილი. მაშ ასე: 1. **კიტ ედელმანი** (არსენალი) - 2.73 მილიონი ფუნტი; 2. **პიტერ კენიონი** (ჩელსი) - 2.0; 3. **ბრაიან ბარვიკი** (ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია) - 1,92; 4. **დევიდ გილი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 1.74; 5. **კრის მორტი** (ნიუკასლი) - 1.36; 6. **რიჩარდ სკადამორი** (ინგლისის პრემიერლიგა) - 1.33; 7. **პიტერ სტორი** (პორტსმუთი) - 1.2; 8. **რიკ პერი** (ლივერპული) - 1.12; 9. **რიჩარდ ფიტცჯერალდი** (ასტონ ვილა) - 1.04; 10. **დენიელ ლევი** (ტოტენჰემი) - 1.0.

შალვა ბიბილაშვილი

## ბარნეტა და ბა შტუტგარტში?

„შტუტგარტი" ახალი სეზონისთვის გუნდის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს. როგორც იცით, შვაბებმა **მარიო გომესი** „ბაიერნს" 30 მილიონ ევროდ მიჰყიდეს და ამრიგად, საკმარისზე მეტი ფული აქვთ იმისათვის, რომ ახალ ფეხბურთელებზე იფიქრონ. გერმანული პრესის ცნობით, „შტუტგარტი" ორ ფეხბურთელს უმიზნებს: „ლევერკუზენის" შვეიცარიელ გარემარბ **ტრანკუილიო ბარნეტას,** რომელიც უაღრესად პერსპექტიულ ფეხბურთელად მიიჩნევა და „ჰოფენჰაიმის" სენეგალელ ფორვარდ **დემბა ბას,** რომელსაც შვაბთა თავკაცი **მარკუს ბაბელი** გომესის შემცვლელად მოიაზრებს. მეტიც: ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ბას „შტუტგარტში" გადასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია. შვაბებმა „ლევერკუზენის" ფორვარდ **პატრიკ ჰელმესის** შეძენაც მოისურვეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა შვაბებს უარი შეუთვალა, „ლევერკუზენიდან" ფეხის მოცვლას არ ვაპირებო.

გოტფრიდ ლენცი

## ჰიტცფელდმა კიოლნი იუარა

**კრისტოფ დაუმის** წასვლის შემდეგ, „კიოლნის" შეფებმა ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყეს. მენეჯერ **მიხაელ მაიერის** თქმით, კანდიდატებს შორის ფავორიტი **მიხაელ სკიბეა,** რომელიც მაიერთან ერთად დორტმუნდის „ბორუსიაში" მუშაობდა. სკიბე ფავორიტი მას შემდეგ გახდა, რაც „კიოლნის" განვრთნა შვეიცარიის ნაკრების თავკაცმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** იუარა. კანდიდატებად აღარ მოიაზრებიან **პიერ ლიტბარსკი,** რომელიც „ვადუცს" წვრთნის და **ფოლკერ ფინკე,** რომელიც იაპონიაში მუშაობს (ურავა რედ დაიმონდსი).

გოტფრიდ ლენცი

## ფრანცი აინტრახტში გადავიდა

მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი „კარლსრუეს" ცენტრალური მცველი და კაპიტანი **მაიკ ფრანცი** კარიერას ფრანკფურტის „აინტრახტში" გააგრძელებს. ეს ინფორმაცია ფრანკფურტული კლუბის შეფებმა გუშინ დაადასტურეს. 27 წლის მცველი, რომელიც ბუნდესლიგის ერთ-ერთ ყველაზე უხეშ მცველად მიიჩნევა, „აინტრახტის" ბოს **ჰერიბერტ ბრუხჰაგენს** შეუთანხმდა და კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. ფრანკფურტელებმა „კარლსრუეს" 700 000 ევრო გადაურიცხეს.

გოტფრიდ ლენცი

# მიშელ პლატინი

# ცხოვრება, როგორც მატჩი




*(გაგრძელება)*

ივლისის დასასრულია. ჩვენ ისევ ვიკრიბებით „ვილა პეროზაზე" ახალი სეზონისთვის მზადების დასაწყებად. ახლა დრო უფრო სწრაფად გარბის. ერთადერთი სურვილი მაქვს - რაც შეიძლება უკეთესად ჩავატარო მომავალი სეზონი, ტრავმებისა და ავადმყოფობების გარეშე. ამაზეა დამოკიდებული, გააგრძელებს თუ არა „იუვენტუსი" ჩემთან კონტრაქტს, რომელსაც 1984 წლის 30 ივნისს გასდის ვადა.

სექტემბრის დასაწყისში, „პარი სენ-ჟერმენის" პრეზიდენტი **ბორელი პლატინიზე** ნადირობას გახსნილად აცხადებს. ის აშკარად ჩქარობს, მაგრამ, როგორც ჩანს, არაფრის დათმობას არ აპირებს „არსენალთან" და „იუვენტუსთან" ბრძოლაში.

რა შემიძლია ვუპასუხო ფრენსის ბორელის? პირველ რიგში, უნდა მოიცადოს მომავალი წლის გაზაფხულამდე, როცა უფრო მოხერხებული მომენტი იქნება ტრანსფერებზე მოსალაპარაკებლად. მისი ნაადრევი მოქმედებები არასასურველ აჟიოტაჟს იწვევს „პარი სენ-ჟერმენისა" და „იუვენტუსის" მოთამაშეებს შორის. მით უმეტეს, რომ, ალბათ, არ დავთანხმდები მის წინადადებას: როცა ერთხელ „ფერარის" საჭეს მიუჯდები, უკვე აღარ მოგინდება „რენოს" ან „სიტროენის" საჭესთან დაჯდომა. უკვე ათასჯერ მითქვამს: ან „იუვენტუსთან" გავაფორმებ კონტრაქტს ან ნიუ იორკში გავემგზავრები „კოსმოსის" რიგებში სათამაშოდ.

როგორ ავუხსნა ბორელის, რომ აქ, იტალიაში ფეხბურთი რელიგიასავითაა. ეს არის იტალიური კორიდა. ფეხბურთის ამგვარი აღქმა ჩემთვისაც უფრო ახლოა. როცა 15 წლის ვიყავი და პირველად ვნახე **პელეს** დრიბლინგი, **კრუიფის** გარღვევები, უკვე მაშინ ვიგრძენი ამაში რაღაც ღვთაებრივი და რელიგიური. ვგრძნობდი რაღაც ტრაგიკულს იმ გუნდის სასიკვდილო განაჩენის მიმართ, რომელმაც დამარცხება განიცადა...

1983 წლის 19 ოქტომბერს, ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში „პარი სენ-ჟერმენის" წინააღმდეგ მის მოედანზე გვიწევს გამოსვლა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ წილისყრაში თვით სატანა ჩაერია! **კრისტელს** ამასთან დაკავშირებით რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა. პირადად მე ამის არ მჯეროდა და არ აღვმოჩნდი მართალი. ტელევიზიაში ჩემმა მეგობარმა **ტიერი როლანმა** არ მოიკლო სიამოვნება და ტურინში დამიკერა. მას სჯეროდა პარიზელთა შანსების, მით უმეტეს, რომ „პარკ დე პრენსზე" გვიწევდა თამაში. ის სიცილით კვდებოდა ბედის ამგვარი ირონიის გამო. მაგრამ როლანი **ტარდელისთან** ახლოსაც ვერ მივიდოდა. ჩემი თანაგუნდელი შუადღიდან მოყოლებული, სიცილისგან ჩაბჟირებული აცხადებდა, რომ მე უფრო პოპულარული ვარ საფრანგეთში, ვიდრე **ბონეკი** პოლონეთში. მას მხედველობაში ჰქონდა ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალი, რომელიც ჩვენ პოლონეთში, ქალაქ ლოძში ვითამაშეთ. ბონეკმა საკუთარ თავზე გადაიტანა პუბლიკის გაუთავებელი სტვენა. რაც შეეხებათ **როსის, ჯენტილესა** და **კაბრინის**, ისინი, როგორც ნამდვილი პროფესიონალები, არ იზიარებნენ ჩემს ტანჯვას. მათ აინტერესებდათ პარიზში მგზავრობის დეტალები, შესანიშნავი სასტუმრო, სადაც უნდა გაჩერებულიყნენ, მოსალოდნელი შოპინგი და გართობა. ისიც კი არ იცოდნენ, რომ „პარი სენ-ჟერმენი" „პარკ დე პრენსზე" თამაშობს, ბევრი არაფერი ჰქონდათ გაგებული ისეთი ფეხბურთელების შესახებ, როგორებიც იყვნენ **როშტო, ბატენეი, ფერნანდესი** ან **ბარატელი**, მათთვის „პარი სენ-ჟერმენი" იყო ნამცხვარი, რომელიც უნდა შეეჭამათ. ეს იყო საუზმე იქამდე, სანამ ევროპის თასების თასისთვის ნამდვილ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ.

მხოლოდ **ტრაპატონიმ** გადაწყვიტა „პარი სენ-ჟერმენზე" ჩემი აზრის მოსმენა. *„მითხარი მიშელ, გაგვიჭირდება მათი დამარცხება?"* ერთი წამით არ დავფიქრებულავარ, ისე ვუპასუხე: *„ვფიქრობ, რთული იქნება"*. ტრაპატონიმ ბილეთი აიღო და პარიზში გაემგზავრა, რათა პირადად დარწმუნებულიყო ჩემი სიტყვების სისწორეში. ის „პარკს დე პრენსზე" დაესწრო „პარი სენ-ჟერმენისა" და „ბრესტის" შეხვედრას. მომავალმა მეტოქემ მასზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მისივე სიტყვებით, მომავალი პრობლემების გამო თავი არ ატკივებია. მით უმეტეს, რომ პარიზში მატჩამდე, წინ 190-ე „დიდი დერბი" გველოდებოდა „იუვესა" და „ტორინოს" შორის. „დიდი დერბი" კი ღირსების საკითხია, ვენდეტა ღვიძლ ძმებს შორის.



ჩავფიქრდი. მით უარესი, თუ ჩემი ყოფილი გულშემატკივრები სტვენას ამიტეხენ. იქნებ პენალტის ან საჯარიმო დარტყმის შესრულებამ მომიწიოს? სავარაუდოდ, მაინც შევეცდები გოლის გატანას. მე ხომ „იუვენტუსის" ღირსებას ვიცავ, მის პირველ ხაზში ვთამაშობ. მე უნდა დავამარცხო „პარი სენ-ჟერმენი".

ამ მატჩის შედეგი ცნობილია - 2:2. როცა პირველი დარტყმა გავაფუჭე, „პარკ დე პრენსის" სტადიონზე შეკრებილი პუბლიკის ხმამაღალი სტვენა დავიმსახურე. რაღაცნაირი ნაღვლიანი განწყობა დამეუფლა და მატჩის ბოლომდე არ მომშორებია. მეშინოდა ბურთით წინ წასვლა. შევეცადე, რაც შეიძლება აკურატული პასები მიმეწოდებინა კაბრინისთვის ან ჯენტილესთვის. შემდეგ კი, როცა უკვე ველარ ავიტანე პუბლიკის უმადურობა, გავაკეთე ის ცნობილი ჟესტი, რომელიც ზიზღს გამოხატავდა. დღეს, ამდენი ხნის შემდეგ, ვნანობ ამ საქციელს, მაგრამ ის მიმართული იყო პუბლიკის ერთი ნაწილის მისამართით, რომელიც მისტვენდა და შეურაცხყოფას მაყენებდა... მაგრამ ეს უკვე წარსულია, რომლის დავიწყებასაც ვცდილობ. იგივე პუბლიკა, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მხურვალედ მიჭერდა მხარს, როცა „სამფეროვანთა" რიგებში გამოვდიოდი.

„პარი სენ-ჟერმენთან" მატჩის შემდეგ, პლატინიზე „ნადირობაში" მადრიდის „რეალი" ჩაება. ტურინი თუ მადრიდი? გაყვება მიშელ პლატინი **რაიმონ კოპას** ნაკვალევს? მე ყველას გასაგონად საქვეყნოდ ვაცხადებდი, რომ ტურინში ის ბუცი ვიპოვე, რომელიც კარგად მომერგო ფეხზე. რაც შეეხება მომავალ კარიერას - ვნახოთ, რა მოხდება.

ნოემბრის დასაწყისში, „მონტე კარლოს" ტელევიზიით გამოსვლისას, ჩემდა საუბედუროდ, აღმოვაჩინე, რომ მწვრთნელ ტრაპატონისთან რაღაც საკითხებში ვერ ვთანხმდებოდი, კერძოდ, სადავო თემა ჩვენს შეტევით ინიციატივას ეხებოდა, რომელიც „პარი სენ-ჟერმენთან" თამაშის დროს დავკარგეთ. ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დასრულდა.

ამავე დროს, პარიზში „ოქროს ბურთი" გადმომცეს, რომელიც ფაქტობრივად ცხვირიდან ავაცალე **დალგლიშს, სიმონსენს, სტრაჩანსა** და... ჩემს მძლეველ **მაგათს**! ერთადერთი ისლა მაკლდა, რომ „გაძეტა დელო სპორტსა" და „კორიერე დელა სერას" დაეწყოთ „იუვენტუსთან" ჩემი მომავლის შესახებ სერიოზული ლაპარაკი.

მაგრამ მოულოდნელად ირკვევა, რომ გუნდი დავალალატე იმაში, რაც **ფალკაოს** „რომაში" ბრწყინვალედ გამოუვიდა. იმაში მადანაშაულებენ, რომ „ზებრ სინიორას" ვერ მივეცი ის [illegible] ლე, რომელიც „რომაში" ბრაზილიელმა მიიტანა. იტალიურმა პრესამ ამის გამო არნახული ხმაური ატეხა. პირადად მე რაც შემეხება, მირჩევნია საკუთარი „ოქროს ბურთის" ყურებით დავტკბე, რომელიც ისტორიაში მეორე ფრანგ ფეხბურთელს ერგო. პირველი იყო კოპა, რომელმაც პრიზი 1958 წელს მიიღო. ეს ჯილდო 26 მსაჯიდან 18-მა მომანიჭა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ წინა წელს „ოქროს ბურთი" **პაოლო როსიმ** დაისაკუთრა.

საკმარისია „ვერონასთან" ერთი მატჩის მოგება (3:1), რომ ჩვენი გუნდი ისევ ზეიმობს. ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვარ! სწორედ ამ მომენტში **ანიელის** თანხმობით, ტრაპატონი ცდილობს კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გაგრძელებაზე დამითანხმოს. მე უარს არ ვამბობ, მაგრამ ყველას მივანიშნებ, ჩემი კარგი ნაცნობის, „კოსმოსის" პრეზიდენტ **ეტრეგანის** წინადადებაც არ არის ჩემთვის მეორეხარისხოვანი. მაგრამ ტურინში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, კარგად მოვეწყვე აქ მეუღლესთან და შვილებთან ერთად. და გულის სიღრმეში ვიცი, რომ ეს იქნება ჩემი არჩევანი. მაგრამ იმასაც ვცდილობ, რომ „იუვემ" ჩემთან არა ერთი, არამედ ორი წლით გაახანგრძლივოს კონტრაქტი. **ბერნარ ჟენესტარს** ბრწყინვალედ მიჰყავს ჩემი საქმეები საფრანგეთში, თვალს ადევნებს სპორტული ტანსაცმლის წარმოებასა და სპორტულ კომპლექსს სენტ-სიპრიენში. ასე რომ, ტურინში დარჩენაში ხელს არაფერი მიშლის.

უფრო მეტიც, ტურინელმა თანაგუნდელებმა, ისე რომ ერთმანეთში არ მოულაპარაკებიათ, ნამდვილი შეტევა წამოიწყეს ჩემზე. პაოლო როსი: *„თავიდან მასთან ურთიერთობაში გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარებულია. მიშელი აუცილებლად უნდა დარჩეს ჩვენთან, ეს ყველას ინტერესში შედის"*. ჩემი ძველი მეგობარი **ბონეკი**: *„არ მინდა, რომ პლატინი „იუვედან" წავიდეს. ის გუნდს სჭირდება"*. მადლობა, პაოლო. მადლობა, ზბიგნევ. ბოლოს, თავად ანიელიმ უდარდელი სახით ჩაიჩურჩულა საჭირო ყურში საჭირო სიტყვები: *„მზად ვარ პირადად ჩავერიო საქმეში და პლატინი ჩვენთან დავტოვო"*. ამის შემდეგ, სხვა გზა არ მქონდა და გუნდში დარჩენის გადაწყვეტილება მივიღე.

დიდმა მანევრებმა შედეგი გამოიღო. „იუვესთან" კიდევ ორი წლით გავახანგრძლივე კონტრაქტი. ეს მომავალზე დაფიქრების დროს მაძლევს. 1986 წლის ივნისში 31 წლის გავხდები და ბუნებრივია, დასვენების სურვილი გამიჩნდება.

იქნებ, „კოსმოსში" გავემგზავრო სათამაშოდ, თუ, რა თქმა უნდა, იქ ვინმეს დავჭირდები.

დრო სულ უფრო და უფრო სწრაფად გარბის. ის ფეხს უწყობს „შავ-თეთრების" წარმატებათა რიტმს, გუნდის გარდაუვალ ასვლას მწვერვალზე.

ვუახლოვდებით ევროპის თასების თასის ფინალს. 25 აპრილს, საკუთარ მოედანზე ვამარცხებთ „მანჩესტერ იუნაიტედს". ამის შემდეგ, გზას ბაზელში მივყავართ, სადაც 16 მაისს უნდა გაიმართოს ფინალური მატჩი. ამჯერად, აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

და ჩვენ გავიმარჯვეთ! „პორტუ" ღირსეულ წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ ჩვენ, უდავოდ უფრო ძლიერები ვიყავით. 2:1. უმაღლესი დონის მატჩი, სადაც ინტრიგაც იყო და დაძაბულობაც.

„პორტუზე" გამარჯვების შემდეგ, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ მომავალში არც ერთ თამაშს აღარ წავაგებდი, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების გამარჯვების დიდი იმედი მქონდა.

მაშ ასე, სრულდება ჩემი მეორე სეზონი იტალიაში. „სამბენედეტეზე", იტალიის თასის გათამაშებაში მეასე მატჩი ჩავატარე „შავ-თეთრების" მაისურით. აქედან 58 მატჩი იყო ჩემპიონატიდან (36 გოლი გავიტანე), 25 მატჩი - იტალიის თასზე (13 გოლი) და კიდევ 17 შეხვედრა ევროთასებზე (7 გოლი). გარდა ამისა, საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა.

*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ქართველთა ერთობა მალე დაიშალა

ვერ აღმოჩნდა საქართველოს პირველი და მეორე ჩოგნების დუეტი წარმატებული - იტალიის ქალაქ გალატინას საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) მე-4 ნომრად განთესილებმა **ანა ტატიშვილმა** (176) და **მაკა ჩახნაშვილმა** (234) წყვილთა თანრიგის პირველივე წრეში წააგეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ. ქართველთა მეტოქეები ესპანელი **ესტრელა კაბესა** (169) და არგენტინელი **აგუსტინა ლეპორე** (284) იყვნენ. ჩვენებმა მხოლოდ მეორე სეტში აჯობეს პირწმინდად მეტოქეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისთვის - 3:6, 6:1, 5:10. ქართველები ერთეულთა თანრიგში გადაერთვნენ, სადაც მე-6 ნომრად განთესილი ტატიშვილი იტალიელ **ნატალი ვიერინს** (237) ეთამაშება, ხოლო განუთესავი ჩახნაშვილი - მავრიკელ **მარინე ჟირაუდს** (239). ტურნირზე ერთი სენსაცია უკვე მოხდა - მეორე ნომრად განთესილი რუსი **ელენა ბოვინა** (154), მსოფლიოს ყოფილი მე-14 ჩოგანი, კოლუმბიელმა **კატალინა კასტანიომ** (297) გააგდო - 6:4, 2:6, 6:2.

ერთდროულად ოთხი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება უზბეკეთის ქალაქ ბუხარას საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $), სამმა მათგანმა პირველი წრე დასძლია, არ გაუმართლა მხოლოდ მათგან ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე **სოფიო შაფათავას** (265) - მე-3 ნომრად განთესილმა სოფიომ რუს **არინა როდიონოვასთან** (363) წააგო - 3:6, 2:6. მე-7 ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (326) საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ **მარტა სიროტკინას** (732) მოუგო - 6:2, 7:5. **სოფიო ქვაცაბაიამ** (563) ბელარუს **ვიქტორია იემიალიანოვას** (697) აჯობა - 6:4, 6:4. მოიგო **ეკა გორგოძემაც** (580), მან ბრძოლიდან მე-5 ნომრად განთესილი უკრაინელი **კრისტინა ანტონიჩუკი** (272) გამოთიშა, რომელმაც ამას წინათ ხარკოვის ტურნირის ფინალში კალაშნიკოვა დაგვიმარცხა. ეკამ სამ სეტში იყოჩაღა - 6:2, 4:6, 7:5. მერვედფინალში ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე კვლავ რუსია, ამჯერად **ეკატერინა დრანეცი** (564). ქვაცაბაია მე-4 ნომრად განთესილ ავსტრიელ **ნიკოლა ჰოფმანოვას** (27,1) შეხვდება. გორგოძის მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული მასპინძელი **ნიგინა აბდურაიმოვაა**.

წყვილთა თანრიგში ოთხივე ჩვენებურმა გადაწყვიტა უცხოელთან შეწყვილება. პირველ წრეში კალაშნიკოვასა და ანტონიჩუკის დუეტმა გორგოძისა და იამიალიანოვას გუნდი დაამარცხა - 6:2, 6:0. შაფათავა რუს **ელენა კულიკოვას** (331) შეუამხანაგდა, მათი დუეტი მე-4 ნომრით განთესეს. შაფათავამ და კულიკოვამ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს შვეიცარიელი **რინერი** და უზბეკი **კოლესნიჩენკო** - 5:7, 7:5, 10:5. პირველ წრეში წააგო ქვაცაბაიასა და რუსი **ავგუსტა ციბიშევას** (617) დუეტმა, მათ უკრაინელებმა (**ვასილიევა, რიბაკოვა**) აჯობეს - 6:3, 3:6, 10:6.

თელ-ავივის (ისრაელი) ქალთა საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) მე-6 ნომრად განთესილმა **მანანა შაფაქიძემ** (721) იოლად დაჯაბნა პირველი მეტოქე, რუსი **ირინა კოტკინა** - 6:1, 6:1. მანანა ებრაელ **ჩენ ასტროგოსთან** (552) ერთად წყვილთა თანრიგში მეორე ნომრადაა განთესილი. ამერიკაში ჰილთონ ჰედ აილენდის ტურნირში (10 ათასი $) **სალომე დევიძე** (1062) ბადის მესამე ნომერ სლოვენიელს, **პეტრა რამპრეს** (404) ხვდება. ეს ჩოგბურთელები აქამდე ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, სამჯერ ქართველმა იმარჯვა.

პოლონეთის ქალაქ კოჟალინში წარუმატებლად იასპარეზა **ლაზარე კუხალაშვილმა** (851). მან პირველივე წრეში დათმო პოლონელ **იედრჟეი ზარსკისთან** (1077) - 2:6, 7:6 (4), 4:6. ლაზარემ ბოლოს ერთი თვის წინ მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

# ჩაფლავებული სტარტი

გუშინ, თურქეთის კურორტ ანთალიაში სტარტი აიღო მშვილდოსნობის მსოფლიოს თასის მე-3 ეტაპმა. შეჯიბრებაში საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებები მონაწილეობენ. გუშინვე ჩვენმა ვაჟებმა დაიწყეს, თუმცა სასიხარულო არაფერია - ინდივიდუალურ საკვალიფიკაციოში ერთმანეთზე უარესად ისროლეს. 102 მონაწილეს შორის **ტარიელ ქადიძე** 852 ქულით 91-ე ადგილზე გავიდა და ეს მისი შედეგი საუკეთესო იყო ქართველთა შორის. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღით ადრე ქადიძემ საქართველოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. **შალვა ნიბლიაშვილმა** ჯამში 826 ქულას მოუყარა თავი, რაც მას მხოლოდ 95-ე ადგილის დასაკავებლად ეყო. **დიმიტრი სორდია** 812 ქულით 97-ე ადგილზე გავიდა. შედარებისთვის გეტყვით, რომ საკვალიფიკაციო სროლების შემდეგ პირველ ადგილზე მყოფმა კორეელმა **დონგ-იუნ იმმა** 1005 ქულას მოუყარა თავი. ანუ ლამის ორასი ქულით მეტს, ვიდრე ჩვენებურებმა! ეს ქულები გუნდურ საკვალიფიკაციოშიც შეჯამდა. 24 ნაკრებს შორის საქართველო 2490 ქულით 22-ე ადგილზე გავიდა და მხოლოდ საუდის არაბეთსა და საბერძნეთს გაუსწრო. პირველ ადგილზე კი სამხრეთ კორეის ნაკრებია 2980 ქულით.

დღეს მსოფლიოს თასზე ქალები, **ასმათ დიასამიძე, ხათუნა ნარიმანიძე** და **ნათია ცინცაძე** ჩაებმებიან. როგორც წესი, ჩვენი ქალები გაცილებით უკეთესად ასპარეზობენ, ვიდრე ვაჟები...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# მაინც დანელია და ჯავახაძე

დასრულდა თექვსმეტწლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი გოგონათა და ვაჟთა შორის, რომელსაც ქალაქი ფოთი მასპინძლობდა. მეცხრე ტურში პირველ დაფებზე უშელავათო ბრძოლები უნდა გამართულიყო და ასეც მოხდა - ჩემპიონობისთვის მხოლოდ გამარჯვებები აძლევდა ხელს უმთავრეს ფავორიტებს. გოგონათა შორის სამ მონაწილეს მოუგროვდა ერთნაირი ქულები - **მარიამ დანელია, ნანი უნაფქოშვილი** და **ლელა უგულავა** ეცილებოდნენ ტიტულს ერთმანეთს. დანელია ამათ კოეფიციენტით სჯობდა და მეტოქედაც არცთუ ძლიერი მოჭადრაკე ჰყავდა - მეთვრამეტედ განთესილი **თათია კოხრეიძე**. თეთრებიც მარიამის არჩივი გახლდათ და ამიტომ მისი გამარჯვება იოლად პროგნოზირებადი იყო. დანელიამ სასურველი შედეგის მიღება შეძლო და შვიდი ქულით საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამასთანავე მან იმავე ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც დაიგულა. მეორე ადგილზე ნანი უნაფქოშვილი გავიდა, რომელმაც შავებით სძლია იოლანდა მადოიანს. კოეფიციენტის გამო მას ვერცხლის მედალი ხვდა წილად, რაც თავისთავად შესანიშნავი შედეგია. ნანი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. მესამე ადგილი ერგო ლელა უგულავას - ბოლო ტურში თეთრებით დაამარცხა **მარიამ სულამანიძე**, რომელმაც მერვე ტურში დანელიას მოუგო. ამჯერად იმავეს გაკეთება ვერ მოახერხა მარიამმა, უგულავამ უკეთ ითამაშა, გაიმარჯვა და ბრინჯაო დაისაკუთრა.

ვაჟებშიც ვერავინ იტყოდა წინასწარ, თუ ვინ გახდებოდა გამარჯვებული, მაგრამ **ზურაბ ჯავახაძეს** რომ სხვაზე მეტი შანსი ჰქონდა, მისი რეიტინგი და კოეფიციენტიც მეტყველებდა; ზურას მეტოქეც არ ჰყავდა „გრანდთაგან" - **ნიკა ლვამბერია** მას შესამჩნევად ჩამორჩება ოსტატობაში. აქაც, ისევე, როგორც გოგონათა შემთხვევაში, ფავორიტმა იმარჯვა და ჩემპიონის ტიტული და მსოფლიო ჩემიონატზე გამგზავრების უფლება მოიპოვა. ზურაბმა 7,5 ქულა დააგროვა. ნახევარი ქულით ჩამორჩა ჩემპიონს და მეორე ადგილზე გავიდა **გიორგი ნიკოლაშვილი**. მან ბოლო ტურში **ნიკა ვოლკოვთან** ქულა გაიყო. მესამეზე **ნოდარ ლორთქიფანიძეა** - ნოდარმა გუშინ შავებით აჯობა **ნიკოლოზ შენგელიას** და 6,5 ქულას მოუყარა თავი.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს თურქული ანტალია უმასპინძლებს ნოემბრის თვეში, ხოლო ევროპის ჩემპიონატი ოქტომბერში იტალიის ქალაქ სან-ჯორჯინოში გაიმართება.

**ზვიად შათირიშვილი**

# ჩიბურდანიძის თასისთვის ბრძოლა იწყება

ხვალიდან თბილისის ჭადრაკის სასახლეში საათს ჩართავენ მოჭადრაკე ქალები და ერთმანეთს **მაია ჩიბურდანიძის** სახელობის თასისთვის შეებრძოლებიან. შეჯიბრებას საერთაშორისო სტატუსი აქვს და ტრადიციულია, მაგრამ ჯერ მხოლოდ ორჯერ მოესწრო გამართვა - პირველად 2004 წელს, მეორედ კი - 2007 - ში. თუ რატომ იყო ასეთი წყვეტა, ამჯერად არ ვისაუბრებთ. მიზეზებზე ხვალინდელ ნომერში ტურნირის გამართვის იდეის ავტორი და მოთავე, დიდოსტატი **ნინო გურიელი** გვესაუბრება. ჩიბურდანიძის ავტორიტეტი როგორია მსოფლიო ჭადრაკში, ამის ახსნა-განმარტება უხერხულიც კია. როცა ტურნირს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა აქვს, ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების ჩამოსვლა სულაც არ არის უტოპია. სხვათა შორის, წლევანდელი ტურნირი ფინანსურად კარგად არის უზრუნველყოფილი და ამიტომ მონაწილეობის სურვილი ბევრმა გამოთქვა, მაგრამ საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ უმეტესობა დააფრთხო და თავი შეიკავეს სტუმრობისაგან. თუმცა რამდენიმემ ზურგი არ გვაქცია და დაამშვენებენ ჩვენს ტურნირს. საბოლოო სიას ხვალ მოგაწვდით, რადგანაც ბოლო წუთამდე არ არის ცნობილი, ვინ ჩამობრძანდება, თუმცა უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ვიხილავთ ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკეს, სლოვენიის სახელით მოასპარეზე უკრაინელ **ანა მუზიჩუკს** და მის დას, უკრაინის სახელით მოთამაშე **მარია მუზიჩუკს**, - ესენი უკვე თბილისში არიან და სასტუმრო „ვარაზში" დაბინავდნენ. გვესტუმრება სომეხი დიდოსტატი **ლილიტ მკრტჩიანი**, რომელმაც წლეულს, მარტში გამართულ ევროპის ქალთა ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. პატივს დაგვდებენ ძლიერი რუმინელი და აზერბაიჯანელი დიდოსტატებიც... ქართველთა ამალაც სრული მზადყოფნით ხვდება ტურნირს - გარდა მაია ჩიბურდანიძისა, თითქმის ყველა უძლიერესი ჩაერთვება საჭადრაკო მარულაში.

საცდური საკმაოდ არის და იმედია, რომ მრავალრიცხოვანი ტურნირი გამოვა, თუმცა ყველაზე მთავარი მაინც ხარისხია.

გათამაშების სისტემა შვეიცარიულია და ცხრა ტური გაიმართება. მოსაფიქრებლად 90 წუთია გამოყოფილი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში კოეფიციენტი დაითვლება „პროგრესის" მიხედვით.

ტურის დაწყების დრო დღის სამი საათია. დღეს, 14 საათზე, ჭადრაკის სასახლეში გაიმართება ტურნირისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია.

**ზვიად შათირიშვილი**

ძიუდო

# ნუთუ, ისევ გადაზრდილები?!

— ნახეთ, რა ეფექტურ ფანდებს ასრულებენ, რა ლამაზად ჭიდაობენ ეს პატარა ბიჭები. ნამდვილი ჩემპიონები გვეზრდებიან, — მითხრა საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **თემურ ხუბულურმა**, რომელიც **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში 1997-1998 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა საქართველოს პირველობას ესწრებოდა.


ტრისტან მაისურაძე

გულშემატკივრებმა ორი დღის განმავლობაში, მართლაც, საინტერესო, დაძაბული ორთაბრძოლები იხილეს. განსაკუთრებით ფინალური შეხვედრები გამოირჩეოდა. ყველაზე მეტად კახელებმა გამოიჩინეს თავი — 14 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიხვეჭეს, მათ შორის — 5 ოქროსი, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოსი.


გიორგი ყალაბეგაშვილი

— შეჯიბრებაზე 40 ნორჩი მოჭიდავე ჩამოვიყვანეთ, — გვითხრა კახეთის მხარის ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ტარიელ შათირიშვილმა**. — ხუთი პირველადგილოსანი გვყავს: ორი ახმეტელია, თითო — თელაველი, ყვარლელი და ლაგოდეხელი. წარმატებაში იმან შეგვიწყო ხელი, რომ რეგიონისა თუ რაიონების ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას უთმობენ ძიუდოს. ბოლო წლებში კეთილმოწყობილი სასპორტო დარბაზები გაიხსნა საგარეჯოში, ლაგოდეხში, ახმეტაში, ასევე, კახეთის მხარის რამდენიმე სოფელში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყნის პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს, სეოკ-ის თავკაც **გია ნაცვლიშვილს**. მის დაწყებულ გზას ღირსეულად განაგრძობს ამჟამინდელი გუბერნატორი **გიორგი ლვინიაშვილი**. დიდ დახმარებას გვიწევს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, რომელმაც ტატამებითა და კიმონოებით მოგვამარაგა. ყოველწლიურად სახელოვანი სპორტსმენების სახელობის ტურნირებს ვმართავთ. საქართველოს პირველობის წინ მხარის პირველობას ვატარებთ და იქ ვარჩევთ წონაში ოთხ-ოთხ საუკეთესოს. 12-13 ივნისს ცნობილი ფალავნის **ბუღდან ბალაკაშვილის** სახელობის ტურნირი გვაქვს დაგეგმილი ახმეტაში. ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ ჩვენს სპორტსმენებს მეტი საშეჯიბრო გამოცდილება შევძინოთ შინა ასპარეზობებში, რადგან უსახსრობის გამო უცხოეთში ვერ მივდივართ.


მათე ბენდელიანი

რამდენიმე თვის წინ ძიუდოს სამხარეო ფედერაცია დავაფუძნეთ (პრეზიდენტი **თამაზ დულაშვილი**). მისი დახმარებითა და მხარდაჭერით მუშაობას გავააქტიურებთ. დიდ ყურადღებას მივაქცევთ ქართულ ჭიდაობას, რათა ჩვენი ბიჭების ტექნიკური არსენალი სწორედ ეროვნული საუნჯის ფანდებით გავამდიდროთ.


დავით რამაზაშვილი

— საინტერესო შეჯიბრება გამოგვივიდა, — ჩაერია საუბარში ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი **ანზორ მარტყოფლიშვილი**. — კმაყოფილი დავრჩი მოზარდების ჭიდაობით, თუმცა, უსიამოვნებას მაინც ვერ ავცდით: ასპარეზობის რამდენიმე მონაწილეზე საჩივარი შემოვიდა — გადაზრდილები იყვნენო. საბუთების მიხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამ სიგნალებს უყურადღებოდ არ დავტოვებთ. მით უმეტეს, რომ წლების წინ სწორედ ჩვენმა ფედერაციამ დაიწყო აქტიური ბრძოლა გადაზრდილი მოჭიდავეების წინააღმდეგ. ვითომ მოვადუნეთ ყურადღება? ვერაფერს გეტყვით. უახლოეს დღეებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული მოჭიდავეების საბუთებს შესაბამის რაიონებში სკოლების მიხედვით გადავამოწმებთ და შედეგებს აუცილებლად გაცნობებთ...


დავით რაზმაძე

გუშინ ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. გაგაცნობთ მათს ვინაობას:

46 კგ. 1. ტრისტან მაისურაძე (შიდა ქართლი), 2. ალეკო ბაზაზაშვილი (თბილისი), 3. გიორგი გოდუაძე (იმერეთი) და დავით ტრამაკიძე (თბილისი).

50 კგ. 1. გიორგი ყალაბეგაშვილი (თბილისი), 2. გიორგი მულაძე (შიდა ქართლი), 3. გივი პეპინაშვილი (კახეთი) და ანრი ნამიჭეიშვილი (იმერეთი).

55 კგ. 1. მათე ბენდელიანი (რაჭალეჩხუმი, ქვემო სვანეთი), 2. ომარ ოქროპირიძე (შიდა ქართლი), 3. ამირან ბახსოლიანი და ლევან ძიბელგაშვილი (ორივე — კახეთი).

60 კგ. 1. დავით რამაზაშვილი (კახეთი), 2. ლაშა ხერგიანი (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. შალვა ჯავახიშვილი (კახეთი) და ავთანდილ ხუჯაძე (იმერეთი).

+60 კგ. 1. დავით რაზმაძე (კახეთი), 2. ოთარ გოგისვანიძე (იმერეთი), 3. კოტე ხაბეიშვილი (აჭარა) და გიორგი გველესიანი (თბილისი).

საერთო გუნდური ადგილები: 1. კახეთი — 66 ქულა, 2. თბილისი — 35 ქულა, 3. შიდა ქართლი — 17 ქულა.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ციბონა ისევ დაწინაურდა

ხორვატიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში მესამე მატჩი გაიმართა. ზაგრების "ციბონამ" **ვლადიმერ ბოისას** "ზადარს" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 83:79 იმარჯვა.

შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები 25 ქულის სხვაობით იგებდნენ, თუმცა დიდი შესვენებისას მწვრთნელის, **ზმაგო საგადინის** შეფუცხუნებამ გაჭრა და მეორე ტაიმში "ზადარმა" მეტოქეს აშკარად აჯობა. ბოლო მეოთხედში სტუმრებმა სულაც 33:21 მოიგეს, მაგრამ გამარჯვებამდე 4 ქულა რომ დააკლდათ, უკვე მოგახსენეთ.

ამ მოგების შემდეგ "ციბონა" სერიაში 2:1 დაწინაურდა. მომდევნო მატჩი ზადარში გაიმართება და თუ სტუმრები იყოჩაღებენ, ხორვატიის ჩემპიონობასაც მოიპოვებენ. საპირისპიროს იმედი გვაქვს ჩვენც და ვლადიმერ ბოისასაც. "ზადარს" შინ "ციბონას" ძლევა ხელეწიფება. ასეთ შემთხვევაში მეხუთე, გადამწყვეტი შეხვედრა ისევ ზაგრებში შედგება.

დავუბრუნდეთ სერიის მესამე მატჩს. ვოვა ბოისამ მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან 24 წუთში 7 ქულა, 5 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 2-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი გამოიყენა.

"ზადარის" შემადგენლობაში **დამირ რანჩიჩი** გამოირჩა, რომელმაც 20 ქულა ჩააგდო, ხოლო მატჩის სნაიპერობა მასპინძელმა **ანდერსონმა** იკისრა – 25 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი

# ვაჟებში ენერჯი, ქალებში თსუ

თუკი, ვაჟთა ჩემპიონატი და თასი რუსთავის "ენერჯიმ" მოიგო, ქალთა შორის იგივე შედეგი სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა გაიმეორა. თსუელებმა ჯერ თასი მოიპოვეს, ახლა კი ჩემპიონისთვის განკუთვნილ ოქროს დაეპატრონნენ.

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ტურობრივი სისტემით გაიმართა. გუნდები ჯერ ერთ ქალაქში იკრიბებოდნენ, შემდეგ მეორეში და ჩემპიონი ხუთი ტურის შედეგების მიხედვით გამოვლინდა. დაგეგმილი იყო, მაგრამ ტური არ ჩატარდა გორში, სადაც დარბაზი აგვისტოს დაბომბვისგან იყო დაზიანებული.

ბოლო მატჩებს თბილისმა უმასპინძლა. ამ შეხვედრების დაწყებამდეც ცნობილი იყო, რომ ჩემპიონობა **ელდარ კაპანაძის** თსუ-ს დარჩებოდა, რადგან მანამდე სტუდენტებს ყველა მატჩი მოგებული ჰქონდათ და მათი დამწევი აღარავინ იყო.

ჯერ შემოგთავაზებთ გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას, შემდეგ – საქართველოს ჩემპიონატის საბოლოო სატურნირო ცხრილს.

აი, ჩემპიონი თსუ–ს შემადგენლობა: **რუსუდან სიდამონიძე, ნათია აბულაძე, ხათუნა საჯაია, სალომე სირბილაძე, ანა იორაშვილი, ნათია ფუტკარაძე, თეონა კიკაბიძე, ნინო ულენტი, ლალი ურუშაძე, ლია რამიშვილი, დარეჯან ჭიქორიძე, თამუნა კაკულია**

მწვრთნელი: ელდარ კაპანაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 15 | 15 | 0 | 30 |
| 2. ქუთაისი | 15 | 8 | 7 | 23 |
| 3. ზესტაფონი | 15 | 6 | 9 | 21 |
| 4. გორი | 15 | 1 | 14 | 18 |

**ვაჟა სიმონიშვილი**



# ჯეკ ბენდერი: ატლანტა ზაზას ემშვიდობება

## ბობ ფინანი: კლივლენდს ფაჩულია სურს

საქართველოს ნაკრების მეფარე **ზაზა ფაჩულიას** სეზონის დასრულებასთან ერთად "ატლანტა ჰოქსთან" ოთხი წლის წინ გაფორმებული კონტრაქტი ამოეწურა. ფაჩულიამ ირიბად თქვა – ატლანტაში დარჩენას ვისურვებო, თუმცა, ჩვენც და თავად კალათბურთელიც უკეთეს კლუბში გადასვლას ამჯობინებს - იქ, სადაც მეტად ენდობიან...

გუშინ ამერიკულმა პრესამ ზაზას ორის საინტერესო სტატია მიუძღვნა. გაზეთ "ბიჩერრეპორტის" მტკიცებით "ატლანტა" ზაზას ემშვიდობება, ხოლო გაზეთი "ნიუს ჰერალდის" თქმით, ქართველი ცენტრით "კლივლენდ კავალიერსია" დაინტერესებული. გაგაცნობთ ორივე სტატიის ქართულ თარგმანს და დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია.

ჯერ "ბიჩერრეპორტის" ჟურნალისტ **ჯეკ ბენდერს** მოვუსმინოთ.

*"ატლანტელები ზაზა ფაჩულიასთან დასამშვიდობებლად ემზადებიან. იგი თავისუფალი აგენტია და თუ გუნდში არ დაბრუნდება, გამოთავისუფლებული თანხით ისეთი მეფარის შეძენას აპირებენ, რომელიც აღმოსავლეთის კონფერენციის "დიდ ძაღლებს" გაუმკლავდება.*

*2008 წლის პლეი ოფისას ზაზა ფაჩულიას "ბოსტონთან" თამაშით მოხიბლული დავრჩი, მაგრამ წლეულს "ორლანდოსთან", "კლივლენდთან" და "ბოსტონთან" მატჩებმა დაგვანახვა, რომ "ატლანტას" წინა ხაზში გაძლიერება სჭირდება.*

*თუმცა, ზოგიერთი წყარო საპირისპიროს ამბობს: "ატლანტას" გენერალურ მენეჯერ რიკ სანდს ფაჩულიას დასატოვებლად ფული უკვე მომარჯვებული აქვსო..."*

კომენტარისგან თავს შევიკავებთ და გადავალთ მომდევნო სტატიაზე. კლივლენდური გაზეთ "ნიუს ჰერალდის" კორესპონდენტი **ბობ ფინანი** წერს:

*"სეზონის დასრულების შემდეგ აშკარად დავინახეთ, რომ "კლივლენდ კავალიერსს" წინა ხაზის გაძლიერება სჭირდება. გუნდში აუცილებელია მაღალი დონის მეფარე.*

*"კავალიერსის" უფროსობა პირველ რიგში სამიდან ერთი ტანმაღალი მოთამაშის გადაბირებას შეეცდება – შაკილ ო'ნილის, კრის ბოშის, ან ტაისონ ჩენდლერის. თუ ამ სამიდან ერთ-ერთის შეძენა ვერ მოხერხდა, არის კიდევ ორი კანდიდატურა: "ორლანდოს" ცენტრი მარცინ გორტატი და ატლანტელი ზაზა ფაჩულია".*

აქვე იმასაც დავძენთ, რომ "კილვლენდის" 34 წლის ცენტრმა **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** გუნდთან კონტრაქტის გაგრძელებაზე თანხმობა განაცხადა.

ბობ ფინანის სტატიას გამოეხმაურა "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტი **სეკუ სმიტი**, რომელიც "ჰოქსს" ყოველ გასვლით მატჩზე დაჰყვება.

*"ჩემმა მეგობარმა ფინანმა დაწერა, რომ "კლივლენდი" ზაზა ფაჩულიათია დაინტერესებული. ასეთი კალათბურთელის დამატებას ნებისმიერი საპლეიოფო გუნდი ისურვებდა. ზაზა ხომ მაღალია, ფიზიკურად ძლიერი, კარგად თამაშობს შეტევაში.*

*თავის მხრივ, "ჰოქსისთვის" დიდი დანაკლისი იქნება ასეთი ხარისხიანი ცენტრის დაკარგვა. მას კონტრაქტის ვადა ამოეწურა და ნამდვილად უგუნური გადაწყვეტილება იქნება, თუ ზაზას ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ შესთავაზებენ. მით უმეტეს, რომ საკალათბურთო ბაზარზე მეფარეების დეფიციტია.*

*შემიძლია, დაბეჯითებით გითხრათ, რომ ქართველით არა მხოლოდ "კლივლენდი", არამედ აღმოსავლეთის კონფერენციის რამდენიმე ძლიერი კლუბია დაინტერესებული. ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოლაპარაკებებიც წარმოებდა, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ზაზას წასვლის შემთხვევაში, "ატლანტაში" შეიძლება რაშიდ უოლასი, ანტონიო მაკდაიესი, კრის უილკოქსი, ან ჯო სმიტი ვიხილოთ. თუმცა ფაჩულიას გაშვება და მათი აყვანა ერთგვარ რისკს წარმოადგენს, რადგან ზაზაზე გაცილებით ხანდაზმულები არიან და ზოგიერთს მეტი სალარო სჭირდება.*

*„ცხადია, ყველა ფიქრობს წინა ხაზის გაძლიერებაზე, მაგრამ ზოგჯერ არც ისე იოლია იმაზე უკეთესი კალათბურთელის დამატება, ვიდრე გყავს. ამ შემთხვევაში, არ მგონია, თავისუფალ აგენტთა ბაზარზე ან მომავალ დრაფტზე ზაზაზე უკეთესი ვარიანტი არსებობდეს."*

სამი ამერიკელი ჟურნალისტი საკუთარ მოსაზრებებს კლუბების უფროსობის გამონათქვამებზე დაყრდნობით ავრცობს. ერთ მოსაზრებას ჩვენც გაგანდობთ, რომელიც სეკუ სმიტის ნათქვამს ეფუძნება. მან აღნიშნა, რომ ქართველის გადაბირება აღმოსავლეთის კონფერენციის რამდენიმე წამყვან კლუბს სურს. ასეთთა შორისაა "მაიამიც", რომელიც წინა ხაზში გაძლიერებას აშკარად საჭიროებს. პლეი ოფის მატჩებისას ხომ "ატლანტა" ფაჩულიას წინამძღოლობით მაიამელებს ფარქვეშ აშკარად სჯობნიდა. ერთი მატჩი ზაზამ ფლორიდელებს მარტომ მოუგო – 12 ქულა და 18 მოხსნა მიითვალა. ლოგიკას რომ მივყვეთ, მაიამელები როცა ცენტრის შეძენაზე დაფიქრდებიან, პირველ რიგში, თვალწინ ქართველი ფაჩულია უნდა წარმოუდგეთ. სხვათა შორის, "ჰიტის" პრეზიდენტი **პატ რაილის** ევროპელებს სწყალობს. სწორედ მან გახსნა ბოლომდე **ვლადიმერ სტეფანია**. ვოვას სიტყვებიც გავიხსენოთ: ზაზასთვის შესაფერისი გუნდი "მაიამია", სადაც აქცენტი გუნდურ კალათბურთზე კეთდება. ასეთ პირობებში ფაჩულია გაცილებით უკეთ გამოჩნდება, ვიდრე "ატლანტაში".

**ვაჟა სიმონიშვილი**




რაგბი

ჩერჩილის თასი

# კანადის წინააღმდეგ ორი დებიუტანტით




საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, რომელიც საფრანგეთში შეკრებაზე იმყოფებოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. აქ, ქალაქ დენვერში ბორჯღალოსნები ჩერჩილის თასის გათამაშებაში მონაწილეობენ.

ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა უკვე გამართა რამდენიმე ვარჯიში და ნაკრების ავსტრალიელმა მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** პირველ მატჩში, რომელსაც კანადის ნაკრების წინააღმდეგ გავმართავთ 6 ივნისს, დამწყები თხუთმეტეულის ვინაობა გააცხადა:

**15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. სანდრო თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. რეზო გიგაური, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. გიორგი როხვაძე.**

**1. ზერო პეტრიაშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. გიორგი ჟღენტი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კახაბერ უჩავა, 6. რატი ურუშაძე, 7. გია ლაბაძე, 8. დიმიტრი ბასილაია.**

მათგან ორი დებიუტანტია: ქუთაისის „აიას" ცხრა ნომერი **გიორგი როხვაძე** და თბილისის „ლოკომოტივის" პირველხაზელი **ზერო პეტრიაშვილი.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები დენვერში A ჯგუფში იასპარეზებს, სადაც კანადელთა გარდა კიდევ ერთი მეტოქე ირლანდიის A ნაკრები იქნება. ამათთან ბორჯღალოსნები შეხვედრას 14 ივნისს გამართავენ.

მესამე შეხვედრაში ჩვენი გუნდის მეტოქე B ჯგუფიდან იქნება, რომელშიც აშშ-ის ეროვნული ნაკრები, არგენტინისა და ინგლისის A ნაკრებები გაარკვევენ ურთიერთობას. ბორჯღალოსნებს ამათგან ერთ-ერთის წინააღმდეგ მოუწევთ თამაში. ვინ იქნება მეტოქე, ჯგუფში დაკავებულ ადგილზეა დამოკიდებული.

**ჩერჩილის თასი**

A ჯგუფი: **საქართველო, კანადა, ირლანდია A**

B ჯგუფი: **აშშ, არგენტინა A , ინგლისი A**

6 ივნისი: **საქართველო - კანადა**

14 ივნისი: **საქართველო - ირლანდია A**

**21 ივნისი: ფინალი**

**ბესიკ ჯანგავაძე**

შვიდკაცა რაგბი. ევროპის სერია

# შვიდკაცას ნაკრებში ცვლილებებია

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მომავალ უქმეებზე უკრაინის ქალაქ ოდესაში, ევროპის სერიის მორიგ ეტაპზე იასპარეზებს. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში ოთხი ცვლილება მოხდა. ევროპის სერიის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებაში ქართველ მეშვიდკაცეებს საფრანგეთში მოთამაშე სამი ლეგიონერი დაეხმარება. ესენი არიან: **გიორგი ჩხაიძე** (მონპელიე), **დავით ბოლღაშვილი** (ლილი) და **შალვა სუთიაშვილი** (მასი). ამასთან ნაკრებს დაემატა თბილისის „ლოკომოტივის" შუამარბი **დავით ჟამუტაშვილი** .

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები ოდესაში A ჯგუფში იასპარეზებს შვეიცარიის, რუმინეთის, პოლონეთისა და საბერძნეთის ნაკრებების წინააღმდეგ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. IV ტური

**დინამო ივერია (თბ)-ხულიგანა (თბ) 16:54, არმაზი (თბ)-ბაგრატი (ქუთ) 50:8, აიეტი (ფოთი)-თიბისი (თბ) 17:17, არწივები (ოზ)-დევები (თბ) 18:35.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. არმაზი - 8 ქულა, 2. ხულიგანა - 8, 3. დევები - 4, 4. ბაგრატი - 4, 5. აიეტი - 3, 6. თიბისი - 3, 7. დინამო ივერია - 0, 8. არწივები - 0**

# ევროპის ჩემპიონატები

## ევროპის ჩემპიონები

1. აბრამაშვილი ზაქარია - ბატუტი (1990 – 3).
2. აბუაშვილი ემზარ – აკრობატიკა (1993)
3. არაყიშვილი ვაჟა – აკრობატიკა (1993)
4. არახამია-გრანტი ქეთევან – ჭადრაკი - 1997
5. აზმაიფარაშვილი ზურაბ – ჭადრაკი (2002)
6. ანისიმოვა ნატალია – აკრობატიკა (1988,1990)
7. ანტონოვი ბორის – სასტენდო სროლა (1955)
8. ასანიძე გიორგი – ძალოსნობა (2000, 2001, 2002)
9. ასიტაშვილი ალისა – კალათბურთი (1954,1956)
10. აფხაზავა თეიმურაზ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1983,1984)
11. არქანია გოგიტა – კარატე (2004)
12. ახალბედაშვილი იოსებ – სამბო (1998)
13. ახვლედიანი გივი – ფრენბურთი (1951)
14. ბარათაშვილი გელა — სამბო (2004)
15. ბედინეიშვილი ემზარ – თავისუფალი ჭიდაობა (2000)
16. ბედოშვილი ელისო – მხატვრული ტანვარჯიში (1990)
17. ბიბილაშვილი ნიკოლოზ – სამბო (2000)
18. ბიგანიშვილი გურამ — აფროსნობა (1980)
19. ბერიაშვილი ზარბეგ – თავისუფალი ჭიდაობა (1965, 1966,1967,1970)
20. ბერუაშვილი მალხაზ – სამბო (1991)
21. ბენუაშვილი გელა - მკლავჭიდი (1991, 1993, 1994)
22. ბლაგიძე ვახტანგ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1978,1980)
23. ბლიაძე ომარ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1968)
24. ბოდაველი დავით – ძიუდო (1981)
25. ბოდაველი მინდია — სამბო (2007)
26. გაზოვი ალექსანდრე – ტყვიის სროლა (1977, 1979)
27. გამხიტაშვილი ვანო — სამბო (1999)
28. გვიჩიანი გია — მკლავჭიდი — 1992
29. გიგოლაშვილი ვურამ - მკლავჭიდი (1997)
30. გიორგაძე მიხეილ – წყალბურთი (1983, 1985, 1987)
31. გიორგობიანი ინგა – აკრობატიკა (1988, 1990)
32. გეთიაშვილი ჯაბა – მკლავჭიდი (2006)
33. გობეჯიშვილი დავით – თავისუფალი ჭიდაობა (1985)
34. გოგოლაური გურამ – ძიუდო (1972, 1973, 1974)
35. გოგშელიძე გიორგი – თავისუფალი ჭიდაობა (2008)
36. გოროდიანკინი ალექსანდრე – ტყვიის სროლა (1978)
37. გუბიევა მაია – სასტენდო სროლა (1990)
38. გუგენიშვილი ზაზა – მკლავჭიდი (1996)
39. გურჩიანი ერეკლე – მკლავჭიდი (1991, 1992, 1993, 1994–2, 1997–2, 1998–2, 1999, 2005)
40. დავითაშვილი ალექსი – ძიუდო (2002, 2003)
41. დგებუაძე ვლადიმერ – ძიუდო (1993)
42. დერიუგინი ნიკოლოზ – კალათბურთი (1981)
43. დოლგარიოვი ანდრეი – ტყვიის სროლა (1987)
44. დოროხოვი ვლადიმირ – ფრენბურთი (1974, 1975, 1979, 1981)
45. დოლონაძე ანა – ბატუტი (1989, 1997, 1998 პირადი და სინქრონი, 2001)
46. დოხტურიშვილი ალექსანდრე – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (2001)
47. დუმბაძე ნინო – მძლეოსნობა (1946,1950)
48. ებანოიძე ლევან – სუმო (1999)
49. ვანშტეინი ლევ – ტყვიის სროლა (1955 – 2)
50. ვაზაგაშვილი გიორგი – ძიუდო (1993, 1997)
51. ზოზიროვი ზაზა – თავისუფალი ჭიდაობა (1993, 1999)
52. ზვიადაური ზურაბ – ძიუდო (2002, 2003)
53. ზურაბიანი ოლეგ – ძიუდო (1977)
54. თადუმაძე მორის – ძიუდო (2002)
55. თედიაშვილი ლევან – თავისუფალი ჭიდაობა (1974, 1976, 1978)
56. თოდაძე კობა – მკლავჭიდი (1994, 1995)
57. თურმანიძე ზაზა - თავისუფალი ჭიდაობა (1987)
58. თურქია მურთაზ - სამბო (1991)
59. იაგორაშვილი ვახტანგ – თანამედროვე ხუთჭიდი (1987, 1989)
60. იმნაიშვილი თამაზ – სასტენდო სროლა (1977, 1978, 1980, 1981, 1984, 1985, 1987)
61. კაკულია თეიმურაზ – ჩოგბურთი, (1974, 1976, 1976, 1977)
62. კანდელაკი გიორგი – კრივი (1993)
63. კარტოზია დიმიტრი – აკრობატიკა (1993)
64. კაჭარავა ვაჟა – ფრენბურთი (1967)
65. კახიაშვილი კახი – ძალოსნობა (1992, 1993, 1995, 1996)
66. კედელაშვილი ზაზა – ძიუდო (2006, 2007, 2008)
67. კვაჭაძე დავით – კრივი (1977)
68. კვირკველია მანუჩარ — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (2007)
69. კიკილაშვილი ნანა – აკრობატიკა (1980)
70. კიკნაძე ანზორ – ძიუდო (1962, 1964, 1965, 1966 პირადი+4 გუნდური ოქრო)
71. კობერიძე კონსტანტინე – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1947)
72. კოვალენკო სერგეი – კალათბურთი (1997-2, 1999, 2000, 2001, 2002, 2003.)
73. კოკორევი ბორის – ტყვიის სროლა (1988)
74. კოსმინინი კონსტანტინე – ტყვიის სროლა (1981, 1982)
75. კოლუაშვილი გიორგი – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1995, 1996, 2002)
76. კუზანაშვილი უშანგი — სამბო (2007)
77. კურდღელაშვილი მამუკა – სამბო (1997)
78. კურტანიძე ლუკა – თავისუფალი ჭიდაობა (1996, 1997, 1998, 2001, 2005)
79. კურტანიძე კობა – ძიუდო (1987, 1989)
80. ლეკვეიშვილი თინათინ – ცურვა (1970)
81. ლიპარტაშვილი თემურ – მკლავჭიდი (1997)
82. ლომიძე შოთა – თავისუფალი ჭიდაობა (1966, 1969)
83. ლოსაბერიძე ქეთევან – მშვილდოსნობა (1972, 1978, 1980) ოქრო - 5
84. მაკარიჩევა სვეტლანა – აკრობატიკა (1988)
85. მამრიკიშვილი გრიგოლ — ძიუდო ( 2003)
86. მარგოშვილი დავით – ძიუდო (2002)
87. მარტყოფლიშვილი ანზორ – ძიუდო (1968)
88. მალალთაძე როინ – ძიუდო (1968)
89. მედოევი ალექსანდრე — ძალოსნობა — 1982
90. მელაძე მევლუდ – სამბო (1990)
91. მერაბიშვილი ჯონი – მკლავჭიდი (1991, 1993, 1994)
92. მეტრეველი ალექსანდრე – ჩოგბურთი (6-ჯერ პირადი, 10-ჯერ წყვილებში, 1970, 1971, 1973, 1975, 1977, 1978)
93. მეტრეველი სლავა – ფეხბურთი (1960)
94. მესხი მიხეილ – ფეხბურთი (1960)
95. მინაშვილი გურამ – კალათბურთი (1957, 1959, 1963)
96. მინდორაშვილი რევაზ – თავისუფალი ჭიდაობა (2003)
97. მნათობიშვილი მანანა – აკრობატიკა (1980)
98. მოდებაძე ნოდარ – თავისუფალი ჭიდაობა (1973)
99. მორჩილაძე შოთა – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1974)
100. მოშიაშვილი ანატოლი – მძლეოსნობა (1974)
101. მოძმანაშვილი დავით – თავისუფალი ჭიდაობა (2008)
102. მუზაშვილი ჯონდო – სამბო (1994)
103. მჭედლიშვილი ჯემალ – სამბო (1987, 1989, 1991)
104. ნადარაია დავით – ძიუდო (2003)
105. ნამგალაური თამაზ – ძიუდო (1984, 1985)
106. ნასარიძე ნატო–მშვილდოსნობა (1990, 1996, 2000 პირადი და გუნდ. 6)
107. ნაცვლიშვილი გია – სამბო (1991)
108. ნიკიტინი ბორის – ცურვა (1958)
109. ნიჟარაძე ჯიბილო – ძიუდო (1975)
110. ნოზაძე რამაზ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (2003, 2007)
111. ობგაიძე ამირან — ძიუდო (1979)
112. ონაშვილი გივი – ძიუდო (1970, 1974,1975)
113. პავლიაშვილი მირიან – სამბო (2008)
114. პაპავა მარლენ – ტყვიის სროლა (1976)
115. პაპოშვილი ივანე – აკრობატიკა (1993)
116. პოლოსიანი დავით – თავისუფალი ჭიდაობა (1997,1998)
117. ჟღენტი ტარიელ – სასტენდო სროლა (1972-1981წ 8 ოქრო)
118. რევაზიშვილი გიორგი – ძიუდო (1996, 2002, 2003)
119. საკანდელიძე ზურაბ – კალათბურთი (1965,1967,1969, 1971)
120. სალუქვაძე ნინო – ტყვიით სროლა (1989 –1993 პირადი და გუნდ–5)
121. სამხარაძე გოჩა – კარატე (2006)
122. სამხარაძე ვეფხია – მკლავჭიდი (1994, 1995, 1996, 1997)
123. სანაძე ლევან – მძლეოსნობა (1950)
124. სანეევი ვიქტორ – მძლეოსნობა (1969-1977 რვა ოქრო)
125. სალარაძე გურამ – თავისუფალი ჭიდაობა (1965)
126. სალიანი ლერი – მკლავჭიდი (1993, 1994, 1995)
127. სვეტილკო ვლადიმერ – ძალოსნობა (1950)
128. სვიმონიშვილი დავით — სამბო (2007)
129. სხიერელი ამირან – კალათბურთი (1965)
130. ტოტიკაშვილი ამირან – ძიუდო (1988,1989)
131. ტუტაკაევი ალექსანდრე – ცურვა (1966)
132. უგრეხელიძე ვლადიმერ – კალათბურთი (1961)
133. ფალასანიდი ქრისტინე – სინქრონული ცურვა (1989)
134. ფალიანი რამაზ - კრივი (1996, 1998, 2000)
135. ფირცხელაური შენგელი – ძიუდო (1973, 1974, 1975)
136. ქევხიშვილი დავით – ძიუდო (2002)
137. ქეთიშვილი გიორგი — თავისუფალი ჭიდაობა (2007)
138. ქველიაშვილი შოთა – ტყვიის სროლა (1959, 1969 — 3 ოქრო)
139. ქვრივიშვილი ხათუნა – მშვილდოსნობა (1990, 1992 – 2)
140. ქიბროწაშვილი ანზორ – ძიუდო (ორი პირადი 1962, 1963, ოთხი გუნდური 1962, 1963, 1966, 1967)
141. ქორქია მიხეილ – კალათბურთი (1971)
142. ქორქია ოთარ - კალათბურთი (1947, 1951, 1953)
143. შანიძე დიტო – ძალოსნობა (1972, 1973)
144. შილაკაძე მაია – აკრობატიკა (1980)
145. ჩიკვილაძე ფარნაოზ – ძიუდო (1965)
146. ჩიმიშკიანი რაფაელ – ძალოსნობა (1950, 1954, 1955, 1956, 1957)
147. ჩინჩალაძე ზვიად — სამბო (2003)
148. ჩოგოვაძე გიორგი – წყალში ხტომა (1987, 1989)
149. ჩოჩიშვილი შოთა – ძიუდო (1975)
150. ჩოხელი არჩილ —სამბო (1998)
151. ჩოხელი გივი – ფეხბურთი (1960)
152. ჩუტკერაშვილი თამაზ – მკლავჭიდი (1997)
153. ცხადაძე ზაურ – მკლავჭიდი (1991, 1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 1998, 1999)
154. ცხოვრებოვი ანდრეი – თავისუფალი ჭიდაობა (1968)
155. ჭელიძე დავითი – მკლავჭიდი (1993, 1994, 1995, 1997, 1999 – 2)
156. ხაბარელი შოთა – ძიუდო (1979,1983)
157. ხაბელოვი ლერი – თავისუფალი ჭიდაობა (1985, 1987, 1988, 1992)
158. ხაბულიანი დილარ – ძიუდო (1977)
159. ხანჯალიაშვილი ზვიად — ძიუდო (2006)
160. ხასაია ბადრი – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (2002)
161. ხაჩიძე გია – მკლავჭიდი (1996 – 2, 1997 – 2)
162. ხახალეიშვილი დავით – ძიუდო (1993 მძიმე და აბსოლიტური, 1996–3)
163. ხერგიანი ნესტორ – ძიუდო (1998, 2002, 2003)
164. ხოფერია რუსუდან - ბატუტი (1987, 1989 - 2, 1997)
165. ხუბულური თემურ – ძიუდო (1976, 1977)
166. ხუტაბა რაშ – თავისუფალი ჭიდაობა (1982)
167. წიკლაური მირიან – სამბო (2008)
168. ჯაჭველიანი სოსო – მკლავჭიდი (1997)
169. ჯავახაძე ვახტანგ – მკლავჭიდი (1992, 2000)
170. ჯანიაშვილი ედუარდ – კარატე (2004)
171. ჯიქურაული ივერი — ძიუდო (2002, 2003)
172. ჯორჯიკია ნოდარ – კალათბურთი (1947)

*დასაწყისი ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

გურამ ძაგანია, პროფესორი

# ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირების ქრონიკები

**1962 წლამდე** ეწყობოდა ცალკეული სამატჩო შეხვედრები.

**1962 წელი.** აპრილი, თბილისში ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში პირველი დიდი ტურნირი სსრკ, ფინეთის, პოლონეთის და კუბის ფალავნების მონაწილეობით. საქართველოდან 14-მა ფალავანმა იჭიდავა.

**1968 წელი.** ტურნირის გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების შემდეგ თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყო **ნესტორ ესებუას** თასის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში.

**1969 წელი.** ტურნირზე ნაცვლად რვისა, პირველად გაიმართა შეჯიბრება ათ წონით კატეგორიაში.

**1971 წელი.** ტურნირში პირველად იასპარეზეს ამერიკელებმა.

**1972 წელი** პირველად ჩატარდა თბილისის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

**1972 წელი.** თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირს ეწოდა **ვახტანგ ბალავაძის** სახელი.

**1973 წელი.** ტურნირზე დიდი სპორტიდან საზეიმოდ გააცილეს **შოთა ლომიძე** და **ზარბეგ ბერიაშვილი**; 1974 წელს - **გურამ სალარაძე**; 1977 წელს - **ნოდარ ხოხაშვილი** და **გივი ყვარელაშვილი**; 1981 წელს - **ლევან თედიაშვილი**; 1985 წელს - **ნოდარ მოდებაძე**.

**1973 წელი.** ამერიკელმა მწვრთნელმა **ჯეიმს პეკჰემმა** თბილისის ტურნირს „მინიოლიმპიადა" უწოდა.

**1976 წელი.** 17 წლის **გიორგი მაკასარაშვილი** (68 კგ) გახდა ტურნირის გამარჯვებული. ფინალი მან მსოფლიოს ჩემპიონს, მონღოლ ზევეგეინ იოდოვს მოუგო.

**1980 წელი.** მოსკოვის ოლიმპიადისადმი ბოიკოტის მიუხედავად, ამერიკელები თბილისში ჩამოდიან. ტურნირის შემდეგ საქართველო-აშშ-ის მატჩში 6:3 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**1983 წელი.** თავისუფალ ჭიდაობაში მოსკოვის ოლიმპიადის სამი ჩემპიონი - **მაგომედ აბუშევი, საიფულა აბსაიდოვი** და **სანასარ ოგანესიანი** - გამოდიოდა თბილისის ტურნირში და სამივე უმედლოდ დარჩა.

**1991 წელი** ამერიკელი **დევიდ შულცი** თბილისში მხოლოდ მეათედ ასპარეზობისას გახდა ტურნირის გამარჯვებული.

**2001 წელს.** თბილისის სპორტის სასახლეს და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირს ეწოდა **გივი კარტოზიას** სახელი.

მოამზადა
**გაბრიელ ბარჯაძემ**

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** მხედარი საქართველოდან, რომელმაც წარმატებას მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე, არის თბილისელი **ივანე ნორაკიძე**. 2009 წლის მაისში ივანე ნორაკიძემ მოიგო მსოფლიო თასის ეტაპის გრან-პრი.

**პირველმა** და ერთადერთმა საქართველოს მშვილდოსნებიდან სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიილო **ქეთევან ლოსაბერიძემ.**

**პირველად** სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ჩატარდა 1945 წელს. ჩემპიონატში სენსაციურ წარმატებას მიაღწიეს ქართული ჭიდაობის ტრადიციებზე აღზრდილმა ჩვენმა ფალავნებმა, **ვასილ ილურიძემ, დავით ციმაკურიძემ, ვავარშაკ მაკჩალიანმა** და **არსენ მეკოკიშვილმა,** რომლებმაც ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვეს.

## 4-10 ივნისი

**4 ივნისი, 1967 წ.** დაიბადა **აქვსენტი გიორგაძე**. რაგბი.

**4 ივნისი, 1991 წ.** დაფუძნდა კალათბურთის ეროვნული ფედერაცია.

**5 ივნისი. 1990 წ.** დაფუძნდა ხელბურთის ასოციაცია.

**7 ივნისი, 1948 წ.** დაიბადნენ: **თემურ ბენდიაშვილი**, რაგბი; **ანზორ ექსელიძე** (გარდაიცვალა 2001 წელს) - ხელბურთი.

**7 ივნისი, 1991 წ.** დაფუძნდა ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია.

**8 ივნისი, 1959 წ.** დაიბადა **ზურაბ სტურუა**. ჭადრაკი.

**9 ივნისი, 1981 წ.** დაიბადა **ირაკლი ლაბაძე**. ჩოგბურთი.

**1.** სამბოში სსრკ-ის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი გაიმართა 1940 წელს. ერთი წლით ადრე ჩატარდა სამბისტთა პირადი პირველობა, რომელიც მოიგო:

ა - შალვა ნოზაძემ
ბ - კონსტანტინე კობერიძემ
გ - არსენ მეკოკიშვილმა

**2.** ევროპის რამდენგზის აბსოლუტური ჩემპიონი იყო ძიუდოში ანზორ კიკნაძე?

ა - ორგზის
ბ - სამგზის
გ - ოთხგზის

**3.** საქართველოს 1983 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა მოჭიდავე. ვინ იყო იგი?

ა - თემურ აფხაზავა
ბ - დავით გაჩეჩილაძე
გ - გურამ გედეხაური

**4.** დაასახელეთ ფალავანი, რომელსაც არ წაუგია არც ერთი საერთაშორისო შეხვედრა

ა - გივი კარტოზია
ბ - ვახტანგ ბალავაძე
გ - როსტომ აბაშიძე

**5.** როგორ მოიხსენიებოდა ერთ დროს ბერძნულ-რომაული ჭიდაობა?

ა - რომაული ჭიდაობა
ბ - ფრანგული ჭიდაობა
გ - ელინური ჭიდაობა

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ.

იაპონიაში ყოველწლიურად იმართება ლეგენდარული ქართველი ძიუდოისტის **ანზორ კიკნაძის** ხსოვნის ტურნირი.

# ეს რა ნახა ინდოეთმა...

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართველი სპორტის სპეციალისტები ხშირად წლობით იგზავნებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოდ. უმეტესობა ოჯახებით მიდიოდა ხანგრძლივ მივლინებაში. ეპიზოდი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ერთი ასეთი ქართული ოჯახის ისტორიას ეხება. ამბავი კი ქართული სპორტის ისტორიის ნაწილად იქცა.

„ინდოეთის ქალაქ ლუდიანაში ტარდებოდა ქვეყნის პირველობა ტანვარჯიშში. მთავარი მსაჯი იყო ნ. თაყაიშვილი. მეუღლე ტატიანა, რომელიც ექიმად მუშაობდა, რიგით მსაჯად მიიწვიეს, 13 წლის ქალიშვილი ნანა კი შეჯიბრებაზე მივიდა, როგორც მონაწილე. მოხდა საოცარი ამბავი. პატარა ნანა თაყაიშვილი გახდა ინდოეთის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში ქალთა შორის, ხოლო სამ იარაღზე პირველი ადგილის დაკავებისათვის, პატარა გოგონას, მკერდზე სამი ოქროს მედალი ჩამოჰკიდეს, მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა ნანა. მან მონაწილეობა მიიღო პენჯაპის შტატის პირველობაზე ცურვაში და ბატერფლაის სტილით მოცურავეთა შორის პირველი აღმოჩნდა, რითაც კიდევ უფრო გაამრავლა სპორტული ჯილდოების რიცხვი".



ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. III მატჩი

# პინგვინები არ ნებდებიან




„პიტსბურგმა" ფინალური სერიის პირველ საშინაო შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა.

დღემდე, სტენლის თასის ფინალების ისტორიაში 32 შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ერთი გუნდი სერიაში 2:0 იყო დაწინაურებული და აქედან მხოლოდ ერთხელ შეძლო ჩამორჩენილმა გუნდმა საპატიო პრიზის მოპოვება. ასეთი გმირობა 1971 წელს „მონრეალ კანადიენსმა" ჩაიდინა, როცა 0:2-დან მოუგო სერია „ჩიკაგოს".

მატჩის წინ, „პინგვინები" ყველანაირად ცდილობდნენ საბრძოლო განწყობილების ამაღლებას. ამ გუნდის მოთამაშეები ხშირად იხსენებდნენ „ვაშინგტონ კეპიტალზთან" მეორე წრის სერიას, როცა ასევე ორმატჩიანი დეფიციტი ჰქონდათ და საბოლოოდ, შვიდ შეხვედრაში მოიგეს სერია.

მაგრამ „დეტროიტი" გაცილებით აღემატება კლასით „ვაშინგტონს". ეს არის ლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი გუნდი, რომელიც ყველა რგოლში თანაბრად არის დაბალანსებული. „რედ უინგზს" ბრწყინვალე დაცვა ჰყავს, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სამ მატჩში მხოლოდ ერთი ქულის დაგროვება მოახერხა NHL-ის ვარსკვლავმა **სიდნი კროსბიმ**. შეტევაში კი „დეტროიტის" ნებისმიერ ჰოკეისტს შეუძლია გუნდისთვის გამარჯვების მოპოვება, რაც წინა ორმა მატჩმაც დაადასტურა, როცა ორი შაიბა გაიტანა სათადარიგო ფორვარდმა **ჯასტინ აბდელკადერმა**.

მიუხედავად ამისა, „პინგვინზმა" შეძლო ამ კონკრეტული მატჩისთვის ძალების მობილიზება. პირველ პერიოდში გუნდებმა ორ-ორი შაიბა გაცვალეს და ამის შემდეგ, ისეთი თამაში წავიდა, რომ მორიგი გოლი შეიძლება გადამწყვეტი ყოფილიყო შეხვედრაში. ასეც მოხდა. „პიტსბურგის" რუსმა მცველმა **სერგეი გონჩარმა** მესამე პერიოდის შუაში ცისფერი ხაზიდან გაისროლა და წინა ორი მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, „დეტროიტის" მეკარე **კრის ოსგუდმა** რეაგირება ვერ მოასწრო. ბოლო წამებზე **მაქს ტელბოტის** მიერ ცარიელ კარში გატანილმა შაიბამ მხოლოდ გაამყარა მასპინძლების უპირატესობა.

წლევანდელი ფინალური სერია შარშანდელის ანალოგიურად ვითარდება. მაშინაც პირველი ორი მატჩი შინ „დეტროიტმა" მოიგო, მესამე მატჩში კი „პიტსბურგმა" 3:2 გაიმარჯვა. ის სერია „პინგვინებმა" 2:4 წააგეს, ვნახოთ, ამჯერად რამდენ ხანს გაუძლებენ პიტსბურგელი ახალგაზრდები დეტროიტელ „ბებრებს".

**პიტსბურგი–დეტროიტი 4:2**

2:2, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 ტელბოტი-5 (მალკინი-18, ლეტანგი-8), 1:1 ზეტერბერგი-10 (ლეინო-2, ფრანცენი-10), 1:2 ფრანცენი-12 (ზეტერბერგი-11, კრონვალი-7), 2:2 ლეტანგი-4 (მალკინი-19, გონჩარი-11), 3:2 გონჩარი-3 (მალკინი-20, კროსბი-15), 4:2 ტელბოტი-6 (ფედოტენკო-6).

სერია: 1:2

ველოსპორტი

# ტურ დე ფრანსი ლენსისა და კონტადორის გარეშე?



კითხვისნიშნის ქვეშ დგას მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ველოსაჯინიბოს „ასტანას" ტურ დე ფრანსზე გამოსვლა.

ყაზახეთის ველოსპორტის ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, თუ 11 ივნისამდე „ასტანა" არ დაფარავს თავისი ველომრბოლებისადმი სახელფასო დავალიანებას, შესაძლოა, ყაზახურ გუნდს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ველომარათონში გამოსვლის უფლება არ მისცენ. *„ჯერჯერობით, გუნდის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თუ 11 ივნისამდე ყველა ვალს გავისტუმრებთ, გუნდი „ტურ დე ფრანსზე" მიიღებს მონაწილეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოსვლის ნებას არ დაგვრთავენ"*, - განაცხადა ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

„ასტანას" ფინანსური პრობლემები აპრილში დაიწყო, როდესაც რამდენიმე სპონსორმა უარი თქვა გუნდის ბიუჯეტში დაპირებული თანხის ჩარიცხვაზე. როგორც ამბობენ, დავალიანება დაახლოებით 12 მილიონ ევროს შეადგენს და დღეისთვის სხვა სპონსორებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს ამ ვალის გასტუმრების გამო.

ჯირო დ'იტალიას დასრულების შემდეგ, სადაც „ასტანამ" პირველი გუნდური ადგილი დაიკავა, გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **იოჰან ბრიუნელმა** ისიც განაცხადა, რომ „ასტანას" ფინანსირების პრობლემები ბოლომდე არ არის მოგვარებული. *„იმედი მაქვს, სპონსორები მანამდე მოასწრებენ ყველა ვალის დაფარვას, სანამ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი დისკვალიფიკაციას გამოგვიწერს. კავშირი იმასაც ითხოვს, რომ ფინანსური გარანტიები წლის ბოლომდე უნდა გავრცელდეს"*, - ამბობს ბრიუნელი.

შეგახსენებთ, რომ „ასტანას" პრო-ტურში ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს. აქ ირიცხებიან ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი **ლენს არმსტრონგი** და „გრან-ტურების" (ტურ დე ფრანსი, ჯირო დ'იტალია, ვუელტა) სამგზის გამარჯვებული **ალბერტო კონტადორი**, რომელმაც წლევანდელი ჯირო ტურ დე ფრანსისთვის უკეთესად მომზადების მიზნით გამოტოვა.

ამ ველომრბოლებისთვის ნამდვილი ტრაგედია იქნება, თუ ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებენ წლევანდელ ტურში. თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, რომ „ასტანას" დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, ამ სპორტსმენებმა მაინც მოახერხონ საფრანგეთის გზებზე რბოლა.

ბოლო დროს, სულ უფრო რეალური ჩანს ლეგენდარული არმსტრონგის მიერ საკუთარი გუნდის შექმნის ვარიანტი. მოვლენათა სავარაუდო განვითარების გეგმა ასეთია: „ასტანას" დალუპვის მეორე დღესვე, ამერიკელი თავისი ველოჯგუფის შექმნას გამოაცხადებს, სადაც ყველა ძლიერი ველომრბოლი და მენეჯმენტი გადავა, ამერიკელი სპონსორები კი „ასტანას" მთელ ქონებას ძალიან იაფად შეიძენენ.

მძლეოსნობა

# ბოლტის ლონდონური გეგმები



სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **უსაინ ბოლტი** აცხადებს, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე არ აპირებს სამ ინდივიდუალურ დისციპლინაში გამოსვლას. იამაიკელი სპრინტერის აზრით, მომავალ თამაშებზე მას გაუჭირდება 100, 200 და 400 მეტრ დისტანციებზე ოქროს სამი მედლის მოპოვება.

*„არასოდეს მითქვამს, რომ ამის გაკეთებას შევძლებდი, იმიტომ, რომ ეს ძალიან დიდი დატვირთვაა. ეჭვი მეპარება იმაში, ეს რეალური იყოს. ვფიქრობ, შემდეგ ოლიმპიადაზე 100 და 200 მეტრებზე, ან 200 და 400 მეტრ დისტანციებზე გამოვალ, მაგრამ სამივეში მონაწილეობა გამორიცხულია"*, - აცხადებს პეკინის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

სხვადასხვა

ჩოგბურთი

## მოია გაისად დაბრუნდება

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგბურთელის კარლოს მოიას ტრავმირებული [illegible]საზარდულის მკურნალობას იმაზე მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე თავდაპირველად ექიმები ვარაუდობდნენ. ამიტომაც, როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი მომავალ სეზონამდე ვერ შეძლებს კორტზე გასვლას.

შეგახსენებთ, რომ ესპანელი ჩოგბურთელის ბოლო განცხადებით, ის სექტემბერში, აშშ-ის ღია პირველობისთვის აპირებდა კორტზე დაბრუნებას.

ფორმულა 1

## ექლსტოუნმა რომის გრან-პრი დაარეგისტრირა

ლონდონური გაზეთის Evening Standard-ის ცნობით, ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ექლსტოუნმა** ევროპის სარეგისტრაციო პალატას მიმართა და ოფიციალურად გაატარა რეგისტრაციაში სახელწოდება რომის გრან-პრი - Formula 1 Gran Premio di Roma.

ადრე, რომის გრან-პრი რამდენჯერმე გაიმართა, თუმცა 1954-63 წლებში ეს ეტაპი არ იყო შეტანილი ფორმულა 1-ის ოფიციალურ კალენდარში, შემდეგ კი ამ სახელს სხვა სერიის ორგანიზატორები იყენებდნენ.

სავარაუდოდ, რომის გრან-პრი ქალაქის ერთ-ერთ უბანში სახელდახელოდ მოწყობილ ქუჩის ტრასაზე 2011 წელს გაიმართება.

## კიმი რალის არ დატოვებს

ცნობილია, რომ ფორმულა 1-ის 2007 წლის ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** სერიოზულად არის გატაცებული რალით. ამ სარბოლო სერიაში კიმის თანაშემწემ **კაი ლინდსტრიომმა** განაცხადა, რომ რაიკონენი მომავალშიც გააგრძელებს რალიში გამოსვლას.

შეგახსენებთ, რომ კიმიმ ზამთარში ფინეთის რალის ჩემპიონატის ორ ეტაპში მიიღო მონაწილეობა, გასულ უქმეებზე კი იტალიაში Rally della Marca-ში იასპარეზა. ფინურ რბოლებში რაიკონენი ღირსეულად გამოვიდა, იტალიაში კი ავარიაში მოყვა.

*„დიახ, კიმი მომავალშიც აპირებს რალიში გამოსვლას. სავარაუდოდ, ის წელსაც მიუჯდება რალის მანქანის საჭეს"*, - ამბობს კაი ლინდსტრიომი, რომელიც დიდი ხანი ლეგენდარული რალისტის **ტომი მიაკინენის** შტურმანი იყო.

კალათბურთი

## ობამას ფავორიტი ლეიკერსია

ამერიკის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** NBA-ის ფინალური სერიის პროგნოზი შემოგვთავაზა.

კალათბურთის დიდი თაყვანისმცემლის აზრით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და „ორლანდო მეჯიქის" დაპირისპირებაში **ფილ ჯექსონის** გუნდი გაიმარჯვებს. ამერიკის პრეზიდენტმა ფინალური სერიის ანგარიშიც დაასახელა - მას მიაჩნია, რომ „ლეიკერსს" ექვსი მატჩის ჩატარება დასჭირდება „ორლანდოს" დასამარცხებლად.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბაჰრეინი-იორდანია | 4:0 |
| **UNDER 21** | |
| ბულგარეთი-ავსტრია | 0:1 |
| ლიხტენშტაინი-ბოსნია | 0:1 |
| თურქეთი-აზერბაიჯანი | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **პლეი ოფი** | |
| კამბური-როდა | 1:1, პენ. 1:3 |
| ვაალვიკი-გრააფსხაპი | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ტელეკომი-ალბა | 75:72 (ო) |
| **საბერძნეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| არისი-მარუსი | 72:76 |
| **იტალია** | |
| **პლეი ოფი** | |
| სიენა-ბენეტონი | 101:76 |

TV პროგრამა

**4 ივნისი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:40 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
07:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:40 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ალმერია.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. კანი-ბორდო.
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგის პლეი ოფი. საპასუხო მატჩი. ნიურნბერგი-კოტბუსი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 სასტვენი.
20:00 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
22:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:50 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-სან ლორენსო.
00:40 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
01:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:40 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
04:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-რეალი.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
10:45 ცხენოსნობა. ერთა თასი. იტალია.
11:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-არგენტინა. ტულონი. საფრანგეთი.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი.
15:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
16:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
20:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ჩილე. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:15 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი ტურნირი.
22:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-კატარი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
00:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი.
02:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ჩილე. ტულონი. საფრანგეთი.
03:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-არგენტინა. ტულონი. საფრანგეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-არგენტინა. ტულონი. საფრანგეთი.
17:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-საემიროები. ტულონი. საფრანგეთი.
18:00 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი ტურნირი. თურქეთი-ესპანეთი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
21:00 ხტომები.
21:30 ახალი ამბები.
22:00 რესტლინგი.
22:30 AIR RACE - ავიარბოლები თვითმფრინავებით. მსოფლიოს სერია. სან დიეგო. აშშ.
23:30 მოტოფრისტაილი. პრალა. ჩეხეთი.
00:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
00:45 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ფინალი. პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი.
01:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
02:00 ახალი ამბები.
02:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი.** NBA ფინალური სერიის წინ




# ფავორიტი ლეიკერსია

„ორლანდო მეჯიქმა“ აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში ექვს მატჩში დაამარცხა ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი „კლივლენდი“, რითაც დაასამარა ექსპერტთა პროგნოზები, რომლებიც „კავალიერზისა“ და „ლეიკერსის“ ოცნების ფინალს წინასწარმეტყველებდნენ.

ახლა, სპეციალისტები „ორლანდოს“ სხვა თვალით უყურებენ და აღიარებენ, რომ „მეჯიქს“ მართალია მინიმალური, მაგრამ მაინც გააჩნია „ლეიკერსის“ დამარცხების შანსი.

მოდი, განვიხილოთ სხვადასხვა სათამაშო კომპონენტებში ფინალის მონაწილეთა შესაძლებლობები და ვნახოთ, ვის რა შანსი აქვს ფინალურ სერიაში, რომელიც დღეს დაიწყება.

**ფიზიკური მომზადება.** ფინალამდე ორივე გუნდის გზა ერთნაირად რთული იყო. ასე რომ, ფიზიკური მომზადების მხრივ არც ერთ გუნდს არ ექნება განსაკუთრებული უპირატესობა. მეტ-ნაკლებად იოლი მერვედფინალების შემდეგ („ლეიკერსმა“ 4:1 მოუგო „იუტას“, „ორლანდომ“ 4:2 - „ფილადელფიას“), მეოთხედფინალში მომავალი მეტოქეები ბოლომდე დაიხარჯნენ და მხოლოდ მეშვიდე მატჩებში მოიპოვეს კონფერენციის ფინალში თამაშის უფლება.

კალიფორნიელები მოულოდნელად ურთულეს ბარიერს გადააწყდნენ „ჰიუსტონ როკეტსის“ სახით, „ორლანდომ“ კი შანსი არ დაუტოვა შარშანდელ ჩემპიონ „ბოსტონ სელტიქსს“. დაბოლოს, კონფერენციის ფინალებში ორივემ ერთნაირი ანგარიშით - 4:2 მოიგო. ასე რომ, დასვენებისთვის მეტოქეებს თითქმის თანაბარი დრო ჰქონდათ.

**შეფასება:** ლეიკერსი-ორლანდო 8:8.

**სასტარტო შემადგენლობა.** ამ კომპონენტში უპირატესობა „ლეიკერსს“ უნდა მიეკუთვნოს. ძლიერი წინა ხაზი - **პაუ გასოლი-ენდრიუ ბინუმი** (ან **ლამარ ოდომი**) პლიუს შეუდარებელი **კობი ბრაიანტი**, რომელსაც მთელი მსოფლიოს დამარცხება შეუძლია. თუ ამ ტრიოს ყველაფერი წესრიგში ექნება, „ლეიკერსის“ შეჩერება შეუძლებელი ჩანს. სასტარტო ხუთეულის დარჩენილი ორი წევრი (**დერეკ ფიშერი, ტრევორ არიზა**) კლასით თუ არ აღემატებიან თავიანთ ორლანდოელ თანაამპლუელებს, არც არაფრით ჩამოუვარდებიან მათ.

ამ მხრივ „ორლანდოს“ როგორ აქვს საქმე? **დუაიტ ჰოვარდთან** მიმართებაში ყველაფერი გასაგებია - სუპერმენი ყველგან სუპერმენია. მაგრამ ლიგის საუკეთესო ცენტრს მაინც გაუჭირდება გასოლისა და ბინუმის ორმაგი წინააღმდეგობის გადალახვა. **რაშარდ ლუისი, ჰედო თურქოღლუ** და **კორტნი ლი** - მაღალი დონის მოთამაშეები არიან, კარგად დაყენებული საშუალო და შორეული ტყორცნებით. მაგრამ მათ სუპერმენებისა და სუპერვარსკვლავების კატეგორიაში ვერ შევიყვანთ. იგივე ითქმის გამთამაშებელ **რაფერ ელსტონზე**, თუმცა ფინალურ სერიაში უნდა დაბრუნდეს **ჯამირ ნელსონი** და ამან შეიძლება, ოდნავ გააძლიეროს ფლორიდელთა უკანა ხაზი. საერთო ჯამში კი, „ლეიკერსის“ შემადგენლობა უფრო ძლიერი ჩანს. თუმცა ეს ყველაფერი ქაღალდზეა, აი, მოედანზე რა მოხდება, არავინ იცის.

**შეფასება:** ლეიკერსი-ორლანდო 9:7.

**სათადარიგოთა სკამი.** აქაც უდავო უპირატესობა „ლეიკერსს“ აქვს. **ფილ ჯექსონი** მუდმივად იყენებს თავის როტაციაში ლამარ ოდომს, **საშა ვუიაჩიჩსა** და **ჯორდან ფარმარს** და ამ ტრიოდან ნებისმიერს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს გუნდის გამარჯვებაში. „ორლანდოს“ სათადარიგოებიდან კი მხოლოდ **მიკაელ პიეტრუსის** გამოყოფა შეიძლება, რომელსაც კობის წინააღმდეგ პერსონალურადაც შეუძლია თამაში და შეტევაშიც ბევრ საქმეს გააკეთებს. ასევე შეიძლება პოლონელი **მარსინ გორტატის** აღნიშვნა, რომელიც შესანიშნავად გამოიყურებოდა „კლივლენდთან“ სერიაში. მან ჰოვარდს ამოსუნთქვის საშუალება მისცა და ორივე ფარზე სასარგებლოდ ითამაშა. მაგრამ პიეტრუსი არასტაბილურია, გორტატს კი გამოცდილება არ ჰყოფნის...

**შეფასება:** ლეიკერსი-ორლანდო 7:6.

**მწვრთნელები.** ფილ ჯექსონზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. თუ „ლეიკერსი“ ჩემპიონობას მოიპოვებს, ფილი ლიგის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი გახდება. ეს მისი მეათე ჩემპიონობა იქნება კარიერაში. სტენ **ვან განდი** კი ჯერ მხოლოდ გრძელი გზის დასაწყისში იმყოფება და დიდი გამარჯვებებისთვის არ მიუღწევია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინალის გადამწყვეტ მომენტებზე. თუმცა „სელტიქსთან“ და „კავალიერზთან“ მოგებული ურთულესი სერიები ამ მწვრთნელის მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს.

**შეფასება:** ლეიკერსი-ორლანდო 10:7.

**ფსიქოლოგია.** „ორლანდომ“ გზად შარშანდელი ჩემპიონი („ბოსტონი“) და რეგულარულის საუკეთესო გუნდი („კლივლენდი“) დაამარცხა და ამაღლებული განწყობით ხვდება ფინალს. მაგრამ არც მის ოპონენტს დაეწუნება წლევანდელ სეზონში მიღწეული შედეგები - დასავლეთი კონფერენციის საუკეთესო გუნდი, ზედიზედ მეორე ფინალი... ეს ყველაფერი „ლეიკერსის“ მოთამაშეებს დამაჯერებლობას მატებს. „ჰიუსტონთან“ და „დენვერთან“ ურთულესი სერიების მოგებამ დაგვანახვა, რომ ნერვების მხრივ კალიფორნიელებს ყველაფერი წესრიგში აქვთ.

**შეფასება:** ლეიკერსი-ორლანდო 8:9.

**განსაკუთრებული ფაქტორები.** „ლეიკერსი“ ამ სერიაში ფავორიტია, და ამით ყველაფერი ნათქვამია. მაგრამ არსებობს კიდევ ე. წ. „განსაკუთრებული ფაქტორები“. ჯერ ერთი, ფავორიტის სტატუსი დამატებით ტვირთს ჰკიდებს გუნდს. „ორლანდომ“ კი აქამდე ორი ფავორიტი გამოთიშა ბრძოლას. მეორე ფაქტორი - სავარაუდოდ, ამ სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობას განსაკუთრებული ყურადღება არ მიენიჭება - „ორლანდომ“ უკვე მოიგო ორი სერია, რომელშიც მის მოწინააღმდეგეებს უფრო მაღალი განთესვის ნომერი ჰქონდათ. ამასთან, „მეჯიქმა“ რეგულარულ ჩემპიონატში მეორე შედეგი აჩვენა სტუმრად მოგებული მატჩების რაოდენობით.

დაბოლოს, „ორლანდომ“ რეგულარულში წარმატებით ითამაშა დასავლეთი კონფერენციის გუნდების წინააღმდეგ - 22 მოგება და 8 წაგება. აღმოსავლეთის გუნდებთან „ლეიკერსის“ ანალოგიური მაჩვენებლებია - 21/9.

**შეფასება:** ლეიკერსი-ორლანდო 8:9.

**გამარჯვების რეცეპტი.** „ლეიკერსისთვის“ რეცეპტი მარტივია - ითამაშოს თავისი თამაში. კობი ბრაიანტისთვის პერსონალური რეცეპტია - მჭიდრო მეურვეობის შემთხვევაში, მეტი იფიქროს პარტნიორებზე და არ ეცადოს მატჩების მარტო მოგებას.

„ორლანდოს“ რეცეპტიც გასაგებია - თუ ყველა მოთამაშე პერიმეტრიდან კარგად ისვრის, თან სამწამიანიდან გამოიტყუებს „ლეიკერსის“ მაღლებს და დუაიტ ჰოვარდს მეტ სივრცეს შეუქმნის, „მეჯიქს“ კიდევ ერთი სასწაულის მოხდენის შანსი მიეცემა.

**ფინალის პროგნოზი:** ლეიკერსი-ორლანდო 4:2.

**ფინალის კალენდარი**

| | |
|---|---|
| 4 ივნისი | ლეიკერსი-ორლანდო |
| 7 ივნისი | ლეიკერსი-ორლანდო |
| 9 ივნისი | ორლანდო-ლეიკერსი |
| 11 ივნისი | ორლანდო-ლეიკერსი |
| 14 ივნისი* | ორლანდო-ლეიკერსი |
| 16 ივნისი* | ლეიკერსი-ორლანდო |
| 18 ივნისი* | ლეიკერსი-ორლანდო |

* - საჭიროების შემთხვევაში

**ჩოგბურთი.** როლან გაროსი

# ფედერერის კომპლექსი

როლან გაროსზე ყველა ნახევარფინალისტი ცნობილია. მამაკაცებს შორის დარჩენილმა ორმა მეოთხედფინალმა ულიმლამო ბრძოლაში ჩაიარა. შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** და არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** იოლად მოუგეს თავიანთ მეტოქეებს და ხვალ ერთმანეთში გაარკვევენ ფინალში გამსვლელის ვინაობას.

ფრანგმა **გაელ მონფილსმა** მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა ფედერერს. ფრანგული პუბლიკის ბოლო იმედს აქტიურად უჭერდნენ მხარს ტრიბუნებიდან და მონფილსს ცოტა დააკლდა პირველი პარტიაში გასამარჯვებლად. მეტოქეები დამაჯერებლად იგებდნენ თავიანთ მოწოდებებს. კვანძი კინაღამ მე-11 გეიმში გაიხსნა, როცა მონფილსმა ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ფედერერმა მისი გამოყენება არ დაანება. საბოლოოდ, საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ასევე თანაბარი ბრძოლა იყო, სანამ როჯერმა 6:6-ზე ზედიზედ ორი გათამაშება არ მოიგო.

მეორე პარტიაში ფედერერის შეჩერება შეუძლებელი გახდა. მონფილსმა მხოლოდ 0:4-ზე შეძლო პირველი გეიმის მოგება. როჯერმა მეტოქის განადგურებას 28 წუთი მოანდომა და სეტში 6:2 გაიმარჯვა.

ფრანგმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ მესამე სეტში მონდომება და კლასი მხოლოდ მეცხრე გეიმამდე ეყო. 4:4-ზე ფედერერმა მორიგი ბრეიკი გააკეთა და მეათე გეიმში წერტილი დაუსვა შეხვედრას. მონფილსმა ვერ შეძლო შარშანდელ როლან გაროსზე წაგებული ნახევარფინალისთვის რევანშის აღება.

დაახლოებით ანალოგიური სცენარით წარიმართა ხუან მარტინ დელ პოტროსა და ესპანელი **ტომი რობრედოს** შეხვედრა. სამხრეთამერიკელმა ერთი ბრეიკიც არ გააკეთებინა მეტოქეს. თავის მოწოდებაზე დამაჯერებლად ითამაშა და ერთადერთი ორმაგი შეცდომა ბოლო სეტის ბოლო გეიმში დაუშვა. ეს მატჩი დაწვრილებით კომენტარს არ საჭიროებს. გაცილებით საინტერესოა დელ პოტროსა და მისი მომავალი მეტოქის როჯერ ფედერერის ურთიერთდაპირისპირებათა ისტორია. არგენტინელი და შვეიცარიელი მეექვსედ შეხვდებიან ერთმანეთს. წინა ხუთ მატჩში, დელ პოტროს ერთი სეტიც(!) არ მოუგია მსოფლიოს მეორე ჩოგნისთვის, ასე რომ, მომავალ ნახევარფინალში არგენტინელს ფედერერის კომპლექსის მოხსნაზე მოუწევს ზრუნვა.

■ ■ ■

გადავინაცვლოთ ქალთა ბადეში, სადაც მეორე ნახევარფინალური წყვილის შემადგენლობა გახდა ცნობილი. ზედიზედ ანადგურებს მეტოქეებს 25 წლის ავსტრალიელი **სამანტა სტოსური.** ამჯერად მისი მსხვერპლი გახდა რუმინელი **სორანა კირსტეა,** რომელმაც წინა ორ წრეში რეიტინგის საუკეთესო ათეულის წევრები - დანიელი **კაროლინ ვოზნიაჩკი** და სერბი **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა.

მაგრამ რუმინელმა ვერაფერი მოუხერხა სტოსურის აგრესიულ თამაშს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ავსტრალიელი პირველ სეტში, როცა ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ მისცა მეტოქეს, რაც ქალთა ჩოგბურთში იშვიათად ხდება. სამანტას არც მეორე პარტიაში ჰქონია პრობლემები და საბოლოოდ, ჯამში ოთხი გეიმი მოაგებინა კირსტეას.

სტოსური ნახევარფინალში რუს **სვეტლანა კუზნეცოვას** შეხვდება, რომელმაც უმძიმეს ბრძოლაში **სერენა უილიამსი** დაამარცხა. 7:6, 5:7, 7:5 - ასეთია ამ მატჩის საბოლოო ანგარიში. შეხვედრაში გამარჯვებულის წინასწარმეტყველება შეუძლებელი იყო. ნახევარფინალის საგზური უფრო მტკიცე ნერვების მქონე რუსს ერგო, რომელიც ბოლო სეტში ბრეიკით აგებდა, მაგრამ მოახერხა ამ რთული სიტუაციიდან გამოძრომა. ამერიკელი ბოლომდე უძალიანდებოდა მეტოქეს, მაგრამ რიგით მეოთხე მატჩ-პოინტს ვერაფერი მოუხერხა და ნახევარფინალში კუზნეცოვა გაატარა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-გაელ მონფილსი (საფ, 11) 7:6(6), 6:2, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 5)**-ტომი რობრედო (ესპ, 16) 6:3, 6:4, 6:2.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 12)-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 23); როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 5).

**ქალები**

**1/4 ფინალი**

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 7)**-სერენა უილიამსი (აშშ, 2) 7:6 (3), 5:7, 7:5; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 30)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:1, 6:3.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

დინარა საფინა (რუს, 1)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 20); სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 7)-სამანტა სტოსური (ავსტრა, 30).



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge